ქართული გამოცემისათვის.

როგორც აღნიშნულია „ოქტომბრის რევოლიუციის“ რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში, ჩემი წიგნაკი დაიწერა დიდი სიჩქარით ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკების დროს. ამიტომ იგი მოკლებულია სისრულეს. მე არ მსურს დავუტევო აზრი, რომ როდისმე ვიპოვი დროს მის უკეთ დასამუშავებლად. მაგრამ ვფიქრობ ახლაც, რომ საქმის ძირითადი მსვლელობა და, რაც უმთავრესია, მისი შინაგანი კლასიური ლოლიკა სწორედ არის გადმოცემული წიგნში.

აქ არ შევუდგები იმის გამოკვლევას, თუ რა კავშირია რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციისა და მისი განვითარების შორის საქართველოში, რადგან ეს დაწვრილებით აღვნიშნე ჩემს წიგნაკში „იმპერიალიზმისა და რევოლიუციის შუა“,*) რომელიც საკუთრივ საქართველოზეა დაწერილი. ამიტომ ნებას ვაძლევ ჩემ თავს წინასიტყვაობის მაგიერ მივმართო მხოლოდ ძმური სალამით ქართველ მუშებსა და მოწინავე გლეხებს, სოციალისტური აღმშენებლობის მონაწილეთ.

ლ. ტროცკი.

10 ოქტომბერი 1922.
მოსკოვი.

---

*) ეს წიგნი უკვე გამოიცა ქართულად.

რუსული გამოცემისათვის.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ გავიდა რვა თვეზე მეტი. რეჟიმი, რომელსაც მრავალმა კეთილმორწმუნე პოლიტიკოსმა უწინასწარმეტყველა დაღუპვა „რამდენიმე დღის შემდეგ", უკვე ახლავე აღმოჩნდა უფრო დღეგრძელი რევოლიუციის ორ წინმავალ რეჟიმზე: წმიდა ბურჟუაზიულზე და „კოალიციურზე".

საბჭოთა რეჟიმს აქვს უკვე თავისი მდიდარი ისტორია და არა ნაკლებ მდიდარი ლეგენდა. ისტორია შეისწავლება შემდეგ—წლობით და ათწლობით; ხოლო ლეგენდას ქმნიან და ავრცელებენ ახლა: მუშათა რევოლიუციის შეგნებული მტრები, ქუჩის სალახანები და ყვითელი პრესის დაქირავებული შარლატანები. ამ წიგნაკში აღდგენილია ზოგადად საბჭოთა რეჟიმის წარმოშობის და მისი ოთხი თვის არსებობის ისტორია. ეს წიგნაკი, დაწერილი სპეციალურად საბჭოთა წესწყობილების აზრის და მიზნების უცხოელ მუშათათვის გასაცნობად, გამოდის ამ ჟამად რამდენიმე ენაზე. თუ მე ვბეჭდავ მას ამავე დროს რუსულადაც, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ დავუპირდაპირო იგი შარლატანების და სალახანების „ნათხზავ" ლეგენდებს.

როგორც ნათქვამია უცხოურ გამოცემათა წინასიტყვაობაში, ეს წიგნაკი დაწერილია არა საბუთების, არამედ მეხსიერების მიხედვით. არა მგონია კი, რომ მასში იყვეს რაოდენადმე არსებითი შეცდომები ფაქტიური ხასიათისა. მაგრამ იმავე დროს ლაპარაკიც კი ზედმეტია მოთხრობის დალაგების რაიმე სისრულეზე. მაგალ., სოციალური ღონისძიებანი საბჭოთა რეჟიმისა ოდნავ არის მოხსენიებული ბროშჟურაში: მათი დალაგება და სისტემატიზაცია უმეტესად გულდასმითი და რთული შრომის საგანი უნდა გახდეს. ჩვენ იძულებული ვიყავით შევხებოდით უმეტეს ნაწილად მუშათა და გლეხთა ხელისუფლების შინაგანი პოლიტიკური ბრძოლის და საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებს. სწორედ ამ დარგში დახარჯეს მეტი ენერგია საერთაშორისო ტელეგრაფმა, რადიოტელეგრაფმა და იმპერიალისტური სიცრუის სხვა იარაღებმა...

ბროშჟურის დაუდევარი სტილი, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე, აიხსნება მით, რომ წიგნაკი არ დაწერილა მა-

გიდაზე, არამედ ჩაწერილ იქნა კარნახით სტენოგრაფების მიერ. ჯერ კიდევ ბევრი დრო გაივლის, ვიდრე ისტორია ჩადგებოდეს ქალაპოტში და შექმნიდეს პირობებს უფრო წესიერისა და გულდასმითი მუშაობისთვის.

ლ. ტროცკი.

მოსკოვი.
16 ივლისი 1918 წ.

წინასიტყვაობა.

ეს ბროშურა უმეტეს ნაწილად დაწერილია ნაწყვეტ-ნაწყვეტად,—და ისეთ გარემოებაში, რომელიც სავსებით არა ხელისშემწყობი იყო სისტემატიური მუშაობისთვის: ბრესტ-ლიტოვსკში, საზავო მოლაპარაკების სხდომათა შუა, იწერებოდა ცალკე თავები ამ ნარკვევისა, რომელსაც თავის უმთავრეს ამოცანად დასახული აქვს რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციის მიზეზების, მსვლელობის და აზრის გაცნობა მსოფლიო პროლეტარიატის საზოგადოებრივი აზრისათვის. ისტორია მოეწყო ისე, რომ წარმომადგენლებს ყველაზე რევოლიუციური რეჟიმისას, რომელიც სცოდნია როდისმე კაცობრიობას, მოუხდათ დიპლომატიური მოლაპარაკების წარმოება ყველა მმართველ კლასთა შორის უმეტესად რეაქციური კასტის წარმომადგენლებთან. საზავო კონფერენციის სხდომებზე ჩვენ ერთი წუთითაც არ დაგვივიწყებია, რომ ვიყავით რევოლიუციური კლასის წარმომადგენლები. ჩვენი სიტყვა მიმართული იყო ომით წელში გაწყვეტილ ყველა ქვეყნის მუშებისადმი. ჩვენ გვამხნევებდა ღრმა რწმენა, რომ უკანასკნელ სიტყვას ომის ლიკვიდაციის საქმეში, როგორც ყველა დანარჩენ საკითხებში, იტყვის ევროპის პროლეტარიატი. როდესაც ჩვენ ველაპარაკებოდით კაულმანს და ჩერნინს, ჩვენ ვიგონებდით ჩვენს მეგობრებსა და თანამოაზრეებს—კარლ ლიბკნეხტსა და ფრიც ადლერს—და ვფიქრობდით მათზე. მეცადინეობისგან თავისუფალ საათებს ვანდომებდით ბროშურას, დანიშნულს გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის და ყველა სხვა ქვეყნების მუშებისთვის. მთელი ევროპის ბურჟუაზიული პრესა იჩენს დიდ ერთსულოვნებას რუსეთის პროლეტარული რეჟიმის შესახებ სიცრუისა და ცილისწამების გავრცელების საქმეში. სოციალ-პატრიოტული პრესა—ლაჩარი, უიდეო, თავისი საქმის რწმენას მოკლებული—ამჟღავნებს თავის სრულ უნიჭობას შეიგნოს და განუმარტოს მშრომელთა მასებს რუსეთის რევოლიუციის აზრი. ამ ბროშურით ჩვენ გვსურს დავეხმაროთ მათ. ჩვენ გვწამს, რომ ევროპის და ყველა სხვა ქვეყნების რევოლიუციური მუშები მიხვდებიან ჩვენს გულისთქმას. ჩვენ გვწამს, რომ ისინი მალე შეუდგებიან იმ მუშაობას, რომელსაც ვე-

წევით ჩვენ,—მაგრამ, თავის უფრო მდიდარ გამოცდილებაზე და უფრო მაღალ იდეურ და ტეხნიკურ საშუალებებზე დამყარებულნი, ისინი შეასრულებენ ამ მუშაობას უფრო საფუძვლიანად და ჩვენც დაგვეხმარებიან ყველა სიძნელეთა დაძლევაში.

ბრესტ-ლიტოვსკი, 12 თებერვალი 1918 წ.

P. S. ასეთ მშფოთვარე ეპოქაში, როგორიც არის ჩვენი, ამბები და მათი შინაგანი კავშირი სწრაფად ჰქრებიან მონაწილეთა მეხსიერებიდან. ამიტომ მე სასარგებლოდ მიმაჩნია გამოქვეყნება ამ ბროშურისა აგრეთვე რუსულ ენაზეც.

მოსკოვი, 29 მაისი 1918 წ.

მეშჩანური ინტელიგენცია რევოლიუციაში.

ამბები ჩვენს ეპოქაში ვითარდებიან ისეთი სისწრაფით, რომ ძნელი ხდება მათი აღდგენა მეხსიერებაში, მათი უბრალო ქრონოლოგიური მიმდევნობითაც კი. აქ ჩვენ არ გვაქვს ხელთ არც გაზეთები, არც საბუთები. ამავე დროს კი ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკების პერიოდული შეწყვეტა ქმნის თავისუფალ დროს, რომელსაც აწინდელ პირობებში უკვე ვეღარ ელირსები. ამიტომ მე შევეცდები აღვადგინო მეხსიერებაში მსვლელობა და განვითარება ოქტომბრის რევოლიუციისა, და დავიტოვებ უფლებას შევავსო და შევასწორო შემდეგ მოთხრობა საბუთების თანახმად.

ჩვენი პარტიის უმთავრეს დამახასიათებელ თვისებას რევოლიუციის პირველი დღეებიდანვე შეადგენდა ის რწმენა,— რომ ამბების შემდეგი ლოლიკა მიიყვანს მას ძალა-უფლების ხელში აღებამდე. მე არ ვლაპარაკობ პარტიის თეორეტიკოსებზე, რომლებიც დიდი ხნის წინ რევოლიუციამდე, ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლიუციამდე, იღებდენ რა დასაბამად რუსეთში არსებულ კლასიურ ურთიერთობათა ანალიზს, მიდიოდენ იმ დასკვნამდე, რომ რევოლიუციის ძლევამოსილი განვითარება გადასცემს ძალა-უფლებას პროლეტარიატს, დამყარებულს უღარიბესი გლეხობის ფართე მასებზე. ამ წინასწარ-ხედვის უმთავრეს საფუძველს შეადგენდა რუსეთის ბურჟუაზიული დემოკრატიის არარაობა და შეჯგუფებითი ხასიათი რუსეთის მრეწველობისა, და, მაშასადამე, რუსეთის პროლეტარიატის დიდი სოციალური მნიშვნელობა. ბურჟუაზიული დემოკრატიის არარაობა არის უკუღმა მხარე პროლეტარიატის ძალისა და მნიშვნელობის. მართალია, ომმა მოატყუა ამ მხრივ დროებით ძლიერ ბევრი და უპირველეს ყოვლისა თვით ბურჟუაზიული დემოკრატიის ხელმძღვანელი ჯგუფები. ომმა მიაკუთვნა გადამწყვეტი როლი რევოლიუციის ამბებში— ლაშქარს. ძველი ლაშქარი, ეს—გლეხობაა. რევოლიუცია რომ განვი-

თარებულიყო უფრო ნორმალურად, ე. ი. მშვიდობიანი დროის პირობებში, როგორც იგი დაიწყო 1912 წლიდან, პროლეტარიატს აუცილებლად ეჭირებოდა ყოველთვის ხელმძღვანელი ადგილი და ის თავისი ბუქსირით ჩაითრევდა თანდათან რევოლიუციის მორევში გლეხთა მასებსაც. მაგრამ ომმა შექმნა ამბების სულ სხვაგვარი მექანიკა. ლაშქარმა შეაკავშირა გლეხობა არა პოლიტიკურის, არამედ სამხედრო კავშირით. ვიდრე გლეხთა მასები მოასწრებდენ შეკავშირებას განსაზღვრული რევოლიუციური მოთხოვნებით და იდეებით, იგინი უკვე გაერთიანებულ იქნენ პოლკებში, დივიზიებში, კორპუსებში, ლაშქარში. წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის ელემენტები, რომელნიც გაფანტული იყვნენ ამ ლაშქარში და ასრულებდენ მასში ხელმძღვანელ როლს, როგორც სამხედრო საქმეში, ისე იდეურად ჯითქმის მთლად იყვნენ გამსჭვალული მეშჩანურ—რევოლიუციური სულით. მასების ღრმა სოციალური უკმაყოფილება გამწვავდა და ლამობდა გადმოხეთქვას, რასაც მეტად უწყობდა ხელს ცარიზმის სამხედრო დამსხვრევა. რევოლიუციის დაწყებისთანავე პროლეტარიატმა თავისი მოწინავე წრეების საშუალებით აღადგინა 1905 წლის ტრადიცია და მოუწოდა ხალხთა მასებს შეექმნათ დეპუტატთა საბჭოები, როგორც წარმომადგენლობითი დაწესებულებანი. ლაშქარი იძულებული შეიქნა გაეგზავნა თავისი წარმომადგენლები რევოლიუციურ დაწესებულებებში, როდესაც მისი პოლიტიკური შეგნება ჯერ კიდევ ვერ დაახლოვებოდა მიმდინარე რევოლიუციური ამბების დონეს. ვისი გაგზავნა შეეძლოთ ჯარისკაცებს დეპუტატებად? ინტელიგენციის იმ წარმომადგენლებისა, რომლებიც იყვნენ მათ წრეში და რომლებსაც ქონდათ პოლიტიკურ ცოდნათა ერთგვარი, თუნდაც მინიმალური მარაგი და შეეძლოთ მათი გამოთქმა. ამგვარად წვრილბურჟუაზიული ინტელიგენცია გალვიძებული ლაშქრის ნებით აყვანილ იქნა დიდ სიმაღლეზე, ექიმები, ინჟინრები, ვექილები, ჟურნალისტები, მოხალისენი, რომლებიც ომამდე ცხოვრობდენ წმიდა მეშჩანური ცხოვრებით და არ აცხადებდენ პრეტენზიას არავითარ როლზე, უცებ გახდენ ახლა მთელი კორპუსების და არმიების წარმომადგენლებად და რევოლიუციის „ბელადებად" იგრძნეს თავი. მათი პოლიტიკური იდეოლოგიის ბუნდოვანობა სავსებით შეეფერებოდა მასების რევოლიუ-

ციური შეგნების უფორმობას. ეს ელემენტები უკიდურესი ზვიადობით გვეპყრობოდენ ჩვენ, „სექტანტებს“, რომლებიც ვწევდით წინ მუშათა და გლეხთა სოციალურ მოთხოვნებს მთელი სიმძაფრითა და შეურიგებლობით. ამავე დროს წვრილ ბურჟუაზიული დემოკრატია რევოლიუციური მეტიჩარის ზვიადობის ქვეშ ფარავდა ულრმეს უნდობლობას თავისადმი და იმ მასისადმი, რომელმაც აიყვანა იგი მოულოდნელ სიმაღლეზე. ინტელიგენცია, რომელიც უწოდებდა თავის თავს სოციალისტურს და სთვლიდა კიდეც ასეთად, ცუდად დაფარული მოკრძალებით ეპყრობოდა ლიბერალური ბურჟუაზიის პოლიტიკურ ძლიერებას, მის ცოდნას და მეთოდებს. აქედან წარმოსდგებოდა მისწრაფება წვრილბურჟუაზიული ბელადებისა რადაც არ უნდა დასჯდომოდათ მიეღწიათ ორგანიზაციისა, კავშირისა და კოალიციისთვის ლიბერალურ ბურჟუაზიასთან. სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის პროგრამა — შემდგარი მთლად ბუნდოვანი ჰუმანიტარული ფორმულებიდან, რომელიც სცვლიდა თავისით კლასიურ მეთოდს სანტიმენტალური ზოგადი იდგილებით და მორალისტური ახრებით — წარმოადგენდა უმეტესად შესაფერ სულიერ სამოსს ასეთი ჯურის ბელადებისთვის ad hoc. მათი მისწრაფება თავისი სულიერი და პოლიტიკური უმწეობის შეფარებისადმი მათთვის სათაყვანო ბურჟუაზიული მეცნიერებისა და პოლიტიკის კალთის ქვეშ პოულობდა თავის თეორიულ გამართლებას მენშევიკთა მოძღვრებაში, რომელიც განმარტავდა, რომ ნამდვილი რევოლიუციაა ბურჟუაზიული რევოლიუცია და, მასადამე, აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ბურჟუაზიის მონაწილეობა ძალა-უფლებაშიო. ამგვარად წარმოიშვა ბუნებრივი ბლოკი სოციალისტ-რევოლიუციონერებისა და მენშევიკებისა, რომელშიც ერთსა და იმავე დროს განსახიერებული იყო მეშჩანური ინტელიგენციის პოლიტიკური უსრულობა და მისი ვასსალური დამოკიდებულება იმპერიალისტური ლიბერალიზმისადმი.

ჩვენთვის სრულიად ნათელი იყო, რომ კლასთა ბრძოლის ლოღიკა ადრე თუ გვიან დაამსხვრევდა ამ დროებით კოშინაციას და უკუაგდებდა გადამსვლელი პერიოდის ბელადებს. წვრილ ბურჟუაზიული ინტელიგენციის გეგემონია მოასწავებდა, არსებითად, იმ ფაქტს, რომ გლეხობამ, სამხედრო

აპპარატის საშუალებით ანაზღეულად მოწვეულმა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მისაღებად, თავისი სიმრავლით დაჩრდილა და დროებით ჩამოაყენა უკან მუშათა კლასი. კიდევ უფრო მეტი. რამდენადაც მეშჩანური ბელადები აყვანილ იქნენ დიდ სიმაღლეზე ლაშქრის სიმრავლის გამო, თვით პროლეტარიატს, თავისი მოწინავე უმცირესობის გამოკლებით, არ შეეძლო არ გამსჭვალულიყო ერთგვარი პოლიტიკური პატივისცემით მათდამი, არ შეეძლო არ ცდილიყო დაეცვა პოლიტიკური კავშირი მათთან,—წინააღმდეგ შემთხვევაში მას მოელოდა გლეხობისგან გათიშვა—ჩამოშორება სავსებით. მუშათა უფროს თაობას კი კარგად ახსოვდა 1905 წლის გაკვეთილი, როდესაც პროლეტარიატი დამარცხდა სწორედ იმიტომ, რომ გლეხობის მძიმე სათადარიგო ნაწილებმა ვერ მოუსწრო გადამწყვეტი ბრძოლის დროს. აი რა იყო მიზეზი, რომ რევოლიუციის პირველ ეპოქაში თვით პროლეტარული მასებიც კი ითვისებდენ სოციალისტ-რევოლიუციონერებისა და მენშევიკების პოლიტიკურ იდეოლოგიას, მით უმეტეს, რომ რევოლიუციამ გამოაღვიძა მანამდე მთვლემარე პროლეტარული მასები და, ამგვარად, უფორმო ინტელიგენტური რადიკალიზმი მათ შემმზადებელ სკოლად გადააქცია. მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოები ნიშნავდა ამ პირობებში ბატონობას გლეხური უფორმობისას პროლეტარულ სოციალიზმზე და ბატონობას ინტელიგენტური რადიკალიზმისას გლეხურ უფორმობაზე. საბჭოთა შენობა ასეთი სისწრაფით ავიდა დიდ სიმაღლეზე უმეტეს ნაწილად ინტელიგენციის ხელმძღვანელი როლის გამო საბჭოთა მუშაობაში და მისი ტეხნიკური ცოდნისა და ბურჟუაზიულ ნაცნობობათა წყალობით. მაგრამ ჩვენთვის ნათელი იყო, რომ ეს დიდი შენობა აგებულია ულრმეს შინაგან წინააღმდეგობებზე და რომ სრულიად აუცილებელია მისი დამხობა რევოლიუციის შემდეგ საფეხურზე.

ომის საკითხი

რევოლიუცია უშუალოდ ომიდან აღმოცენდა და ომივე იქცა სალესად ყველა პარტიებისა და რევოლიუციის ძალთათვის. ინტელიგენტური ბელადები „ომის წინააღმდეგი“ იყვნენ; ბევრი მათგანი ცარიზმის დროს სთვლიდა თავის თავს

ინტერნაციონალის მარცხენა ფრთის მომხრედ, ეკედლებოდა ციმმერვალდს. მაგრამ ყველაფერი უცებ შეიცვალა, როდესაც მათ იგრძნეს თავი „საპასუხისმგებლო" ადგილებზე. რევოლიუციური სოციალიზმის პოლიტიკის წარმოება ასეთ პირობებში ნიშნავდა განხეთქილებას როგორც საკუთარ, ისე მოკავშირეთა ბურჟუაზიასთან. ჩვენ კი უკვე ვთქვით, რომ ინტელიგენტური და ნახევრად-ინტელიგენტური მეშჩანობა ცდილობდა თავისი პოლიტიკური უმწეობის მიფარებას ბურჟუაზიულ ლიბერალიზმთან დაკავშირებითო. აქედან წარმოსდგა უბადრუკი და ჭეშმარიტად სამარცხვინო როლი მენშევიკური ბელადებისა ომის საკითხში, ისინი ზლუდავდენ ამ მხრივ თავის მოქმედებას ოხვრით, ფრაზებით, საიდუმლო შეგონებით ან კიდევ ვედრებით მოკავშირეთა მიმართ, ნამდვილად კი მიმიდიოდენ იმავე გზით, როგორითაც ვიდოდა ლიბერალური ბურჟუაზია. ჯარისკაცთა მასებს, რომლებითაც გამოჭედილი იყო სანგრები, არ შეეძლოთ, რასაკვირველია, მისვლა იმ დასკვნამდე, რომ ომმა, რომელშიც ისინი იღებდენ მონაწილეობას თითქმის სამი წლის განმავლობაში, შეიცვალა თავისი ხასიათი მხოლოდ იმიტომ, რომ პეტროგრადის მთავრობაში მონაწილეობენ ვიღაც ახალი პირები, რომლებიც უწოდებენ თავის თავს სოციალისტ-რევოლიუციონერებსა და ან მენშევიკებს. მილიუკოვმა შესცვალა ჩინოვნიკი პოკროვსკი, ტერეშჩენკომ შესცვალა მილიუკოვი—ეს ნიშნავს, რომ ბიუროკრატიული ვერაგობა შეიცვალა ჯერ მეომრული კადეტური იმპერიალიზმით, შემდეგ უპრინციპო ბუნდოვანობით და პოლიტიკური ლაქიობით, მაგრამ ამით არ ხდებოდა ობიექტიური ცვლილებანი და გამოსავალი ომის საშინელი წრიდან არ სჩანდა. სწორედ აქ არის ჩამარხული ლაშქრის შემდეგი გახრწნის პირველი მიზეზი. ჯარისკაცთა მასას აგიტატორები ეუბნებოდენ, რომ მეფის მთავრობა გზავნიდა მას სასიკვდილოდ უმიზნოდ და უაზროდ. ხოლო მათ, რომლებმაც შესცვალეს მეფე, ვერა მხრით ვერ შესძლეს შეცვლა ომის ხასიათისა, როგორც ვერ შესძლეს დადგომა ხავისთვის ბრძოლის გზაზე. პირველი თვეები იყო ერთ ადგილზე ბორძიკის დრო. ეს იწვევდა როგორც ლაშქრის, ისე მოკავშირეთა მოუთმენლობას. აქედან წარმოიშვა 18 ივნისის შეტევა. მას მოითხოვდენ მოკავშირეები და თან უდგენდენ გასანალდებლად

მეფის ძველ თამასუქებს. მეშჩანობის ბელადებმა, შეშინებულებმა თავისი საკუთარი უმწეობით და მასების თანდათან მზარდი მოუთმენლობით, აასრულეს ეს მოთხოვნა. მათ მართლაც მოეჩვენათ, რომ ზავის მისაღწევად მხოლოდ და მხოლოდ სულ ლაშქრის შეტევა იყო საჭირო. შეტევა მათ ეჩვენებოდათ გამოსავლად მძიმე მდგომარეობიდან, საკითხის გადაწყვეტად, ხსნად. ძნელია წარმოდგენაც კი ამაზე უფრო საოცარი, უფრო სადანაშაულო გზა-აბნეულობისა. ისინი ლაპარაკობდენ იმ დროს შეტევის შესახებ ისეთივე სიტყვებით, როგორითაც ლაპარაკობდენ ყველა ქვეყნის სოციალ-პატრიოტები ომის პირველ დღეებში და კვირეებში ეროვნული თავდაცვის საქმის ხელისშეწყობის აუცილებლობის შესახებ, ხალხთა წმიდა ერთობის განმტკიცების საჭიროების შესახებ და სხვა და სხვა. ყველა მათი ციმმერვალდური ინტერნაციონალური გატაცებანი გაქრენ. ჩვენთვის, შეურიგებელ ოპოზიციაში მდგომთათვის, ცხადი იყო, რომ შეტევის გზა არის გზა საშინელი საფრთხისა, შეიძლება, მთელი რევოლიუციის დალუპვისაც. ჩვენ წინდაწინვე ვეუბნებოდით, რომ შეუძლებელია გაგზავნა საბრძოლველად ლაშქრისა, რომელიც გააღვიძა და შეარყია მისგან ჯერ კიდევ არა სავსებით შეგნებული ამბების ქუხილმა, მისთვის ახალი იდეების მიუცემლად, როგორც მელთა შეგნებაც მას შეეძლებოდა, საკუთარი იდეებისა. ჩვენ ვაფრთხილებდით, ვამჟღავნებდით, ვემუქრებოდით. მაგრამ რადგან ხელმძღვანელი პარტიებისთვის, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ საკუთარ და მოკავშირეთა ბურჟუაზიასთან, აღარ იყო სხვა გზა გამოსავალი, ამიტომ იგინი ჩვენ, ბუნებრივია, გვმტრობდენ, უფრო მეტი—გვეპყრობოდენ უკიდურესი სიძულვილით.

კამპანია ბოლშევიკების წინააღმდეგ.

მომავალი ისტორიკოსი აუღელვებლად ვერ გადაათვალიერებს რუსულ გაზეთებს მაის—ივნისისას, როდესაც სწარმოებდა შეტევის იდეური შემზადება. თითქმის ყველა წერილები მთავრობის და ოფიციოზურ ყველა გაზეთებში მიმართული იყო ბოლშევიკების წინააღმდეგ. არ იყო ისეთი ბრალდება, არ იყო ისეთი ცილისწამება, რომელსაც არ გვახვევდენ

ჩვენ თავს იმ დროს. ხელმძღვანელ როლს თამაშობდა ამ კამპანიაში, რა თქმა უნდა, კადეტური ბურჟუაზია, რომელსაც მისი კლასიური ინსტინქტი უკარნახებდა, რომ საქმე შეეხება არა მხოლოდ შეტევას, არამედ რევოლიუციის მთელ შემდეგ განვითარებას და უპირველეს ყოვლისა სახელმწიფო ხელისუფლების ბედ-იღბალს. „საზოგადოებრივი აზრის“ ბურჟუაზიულმა აპპარატმა აამუშავა აქ მთელი თავისი ძალები. ყველა ორგანოები, დაწესებულებანი, გამოცემები, ტრიბუნები, კათედრები ემსახურებოდენ ერთ საერთო მიზანს: დაეკნინ-დაემცირებინათ ბოლშევიკები, როგორც პოლიტიკური პარტია. ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართული საგაზეთო კამპანიის გააფთრებასა და დრამატიზმში უკვე გამოსჭვიოდა ის სამოქალაქო ომი, რომელიც უნდა დაწყებულიყო რევოლიუციის შემდეგ საფეხურზე. დევნა-შევიწროვებისა და ცილისწამების ამოცანას შეადგენდა შექმნა სრული გათიშულობისა და მტრობისა, შექმნა გაუვალი ზღუდისა ერთი მხრით მშრომელთა მასების და მეორე მხრით „განათლებული საზოგადოების“ შორის. ლიბერალურ ბურჟუაზიას ესმოდა, რომ მას შეუძლია შეჩვევა მასებისა მხოლოდ იმ მეშჩანური დემოკრატიის დახმარებითა და შემწეობით, რომელიც, როგორც ზევით იყო აღნიშნული, გახდა დროებით რევოლიუციური ორგანიზაციების ხელმძღვანელი. ამიტომ ბოლშევიკების პოლიტიკურად დევნა-შევიწროვების უშუალო ამოცანას შეადგენდა შეტანა გამწვავებული მტრობისა ჩვენი პარტიისა და „სოციალისტური ინტელიგენციის“ ფართე წრეების შორის, რომელიც, ჩამოშორდა რა პროლეტარიატს, დაემორჩილა სავსებით ლიბერალურ ბურჟუაზიას.

სრულიად რუსეთის საბჭოთა პირველი ყრილობის დროს გაისმა პირველი შესაშფოთებელი ქუხილი, რომელიც მოასწავებდა მომავალ მრისხანე ამბებს. ათი ივნისისთვის პარტიამ დანიშნა პეტროგრადში შეიარაღებული დემონსტრაცია. ამის უშუალო ამოცანას შეადგენდა ზეგავლენის მოხდენა სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობაზე.—„აიღეთ ხელში ძალა-უფლება,—ასე უნდოდათ ეთქვათ პეტროგრადის მუშებს სახელმწიფოს ყველა კუთხეებიდან ჩამოსული ს.-რ. და მენშევიკებისთვის.—გასწყვიტეთ კავშირი ბურჟუაზიასთან, უკუაგდეთ კოალიციის იდეა და აიღეთ ხელში ძალა-უფლებაო.“ ჩვენ-

თვის ნათელი იყო, რომ განხეთქილება ს.-რ. და მენშევიკებისა ლიბერალურ ბურჟუაზიასთან აიძულებდა მათ დაყრდნობოდენ უმეტესად გაბედულ, მოწინავე წრეებს პროლეტარიატისას და მით უზრუნველყოფდა ამ უკანასკნელებისთვის ხელმძღვანელ მნიშვნელობას. მაგრამ სწორედ ამისი შეშინდათ მენშევიკებმა ბელადებს. მთავრობასთან შეთანხმებით, რომელშიც მათ ყავდათ თავისი წარმომადგენლები, ლიბერალურ და კონტრ-რევოლიუციურ ბურჟუაზიასთან ხელიხელ ჩაკიდებულებმა მათ, ჰეშმარიტად, გაცოფებით გაილაშქრეს განზრახული დემონსტრაციის წინააღმდეგ, როგორც კი გაიგეს მის შესახებ. ყველაფერი ფეხზე იქნა დაყენებული. ჩვენ მაშინ შევადგენდით ყრილობაზე უმცირესობას და—დავიხიეთ. დემონსტრაცია არ შესდგა. მაგრამ ამ ჩაშლილმა დემონსტრაციამ დასტოვა ღრმა კვალი ორივე მხარის შეგნებაში, გააღრმავა წინააღმდეგობანი, გაამწვავა მტრობა. ყრილობის პრეზიდიუმის დახურულ სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობდენ ფრაქციათა წარმომადგენლები, წერეთელი, მაშინ კოალიციური მთავრობის მინისტრი, შეზლუდული მეშჩანური დოქტრინიორის უკიდურესი გაბედულებით ამბობდა, რომ ერთად ერთ საფრთხეს, რომელიც ემუქრება რევოლიუციას, წარმოადგენენ ბოლშევიკები და მათ მიერ შეიარაღებული პეტროგრადის პროლეტარიატი. აქედან მას გამოყავდა დასკვნა, რომ აუცილებელია განიარაღება ხალხისა, რომელმაც „არ იცის იარაღის ხმარებაო“: ეს შეეხებოდა მუშებს და პეტროგრადის გარნიზონის იმ ნაწილებს, რომლებიც ემხრობოდენ ჩვენს პარტიას. მაგრამ განიარაღება მაინც არ მოხდა—ასეთი ფიცხელი ზომისთვის ჯერ კიდევ საკმაოდ არ იყო შემზადებული პოლიტიკური და ფსიხოლოგიური პირობები.

რომ დაეკმაყოფილებინა მასები, საბჭოთა ყრილობამ, გაუქმებული დემონსტრაციის სამაგიეროდ, დანიშნა საერთო, უიარაღო დემონსტრაცია 18 ივნისისთვის. მაგრამ სწორედ ეს დღე შეიქნა ჩვენი პარტიის პოლიტიკური გამარჯვების დღედ. მასები გამოვიდენ ქუჩებში მძლავრ რაზმებად, და, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გამოწვეული იყვნენ ოფიციალური საბჭოთა დაწესებულების მიერ ჩვენი ჩაშლილი 10 ივნისის მანიფესტაციისთვის დასაპირისპირებლად, მუშებმა და ჯარისკაცებმა დააწერეს თავის დროშებზე და პლაკატებზე ჩვენი

პარტიის ლოზუნგები: „ძირს საიდუმლო ხელშეკრულებანი“; „ძირს შეტევის პოლიტიკა“; „გაუმარჯოს პატიოსან ზავს“; „ძირს ათი მინისტრი-კაპიტალისტი“; „მთელი ძალა-უფლება საბჭოებს“. პლაკატები კოალიციური მთავრობისადმი ნდობის გამოთქმით იყო მხოლოდ სამი: ერთი კაზაკთა პოლკისა, მეორე პლეხანოვის ჯგუფისა და მესამე ბუნდის პეტროგრადის ორგანიზაციისა, რომელიც შესდგებოდა უმთავრესად არაპროლეტარული ელემენტებიდან. ამ დემონსტრაციამ დაანახვა არა მხოლოდ ჩვენ მტრებს, არამედ თვით ჩვენც, რომ ჩვენ პეტროგრადში ვიყავით გაცილებით უფრო ძლიერი, ვიდრე გვეგონა.

18 ივნისის შეტევა.

რევოლიუციური მასების ამ დემონსტრაციას ფეთქა აუცილებლად უნდა მოყოლოდა შედეგად მთავრობის კრიზისი. მაგრამ დემონსტრაციის შთაბეჭდილება გააქარწყლა ცნობამ ფრონტიდან, რომ რევოლიუციური ლაშქარი შეტევაზე გადავიდაო. სწორედ იმ დღეს, როდესაც პროლეტარიატი და პეტროგრადის გარნიზონი მოითხოვდენ საიდუმლო ხელშეკრულებათა გამოქვეყნებას და ზავის წინადადების აშკარად მიცემას, კერენსკიმ რევოლიუციური ჯარები გადაიყვანა შეტევაზე. ეს მოვლენა, რასაკვირველია, არ იყო შემთხვევითი. პროექტორებმა მოამზადეს ყველაფერი წინდაწინ, და შეტევაზე გადასვლის მომენტი შერჩეულ იქნა არა სამხედრო, არამედ პოლიტიკური მოსაზრებით. 19 ივნისს პეტროგრადის ქუჩებში იმართებოდა ე. წ. პატრიოტული მანიფესტაციები. ნევის პროსპექტი—ბურჟუაზიის უმთავრესი არტერია—მოფენილი იყო მთლად აღელვებული ჯგუფებით, რომელთა შორისაც ოფიცრები, ჟურნალისტები და კოპწიად გამოწყობილი ქალები ეწეოდენ მხურვალე აგიტაციას ბოლშევიკების წინააღმდეგ. პირველი ცნობები შეტევის შესახებ დამამშვიდებელი იყო. ხელმძღვანელი ლიბერალური პრესა ფიქრობდა, რომ უმთავრესი გაკეთებულია, რომ 18 ივნისის შეტევა, მიუხედავად მისი შემდეგი სამხედრო შედეგებისა, მომაკვდინებელი იქნება რევოლიუციის განვითარებისთვის, შექმნის ძველ დისციპლინას ლაშქარში და განამტკიცებს ლიბერალური ბურჟუაზიის გაბატონებულ

მდგომარეობას სახელმწიფოში. ჩვენ სულ სხვას ვწინასწარმეტყველებდით. განსაკუთრებულ დეკლარაციაში, რომელიც ჩვენ გამოვაქვეყნეთ საბჭოთა პირველ ყრილობაზე რამდენიმე დღით წინ 18 ივნისის შეტევამდე, ჩვენ განვაცხადეთ, რომ ეს შეტევა აუცილებლად დაარღვევს შინაგან კავშირს ლაშქარში, დაუპირდაპირებს მის ცალკე ნაწილებს ერთმანეთს, შემატებს ძალას კონტრ-რევოლიუციურ ელემენტებს, ვინაიდან დაცვა დისციპლინისა შეუძლებელია სასტიკი რეპრესიების მიუღებლად. სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩვენ ვწინასწარმეტყველებდით ამ დეკლარაციაში იმ შედეგებს, რომლებმაც შემდეგ მიიღეს ხოგადი სახელი »კორნილოვშჩინა“. ჩვენ ვფიქრობდით, რომ რევოლიუციას მოელის უდიდესი საფრთხე ომიდან შემთხვევაში—შეტევის გამარჯვებით დამთავრების დროსაც, რაც ჩვენ არ გვჯეროდა, და დამარცხების დროსაც, რაიც ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნდა. შეტევის გამარჯვებით დამთავრებას უნდა შეეკავშირებინა მეშჩანობა ბურჟუაზიასთან შოვინისტური განწყობილების ერთიანობით და გამოეკალკევებინა ამგვარად რევოლიუციური პროლეტარიატი. დამარცხება იმუქრებოდა ლაშქრის სრული დანგრევით, მისი სტიქიური უკან დახევით, კიდევ ახალი პროვინციების დაკარგვით, მასების გულის გატეხით და სასოწარკვეთილებით. ამბები წავიდა მეორე გზით. გამარჯვების შესახებ ცნობები დიდხანს არ მოდიოდა. იგინი შეიცვალენ საშინელი ცნობებით მრავალი ნაწილების მიერ მეიერიშეთათვის დახმარებაზე უარის განცხადების შესახებ, ოფიცრობის დალუპვის შესახებ, რომლისგანაც ზოგჯერ შეადგენდენ ხოლმე შემტევ ერთეულებს და სხვ. *).

---

*) დიდი ისტორიული მნიშვნელობის გამო მოგვყავს აქ ნაწყვეტობით საბუთი, რომელიც გამოაქვეყნა ჩვენმა პარტიამ სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობაზე 1917 წლის ივნისის 3, ე. ი. ორი კვირის წინ შეტევამდე: „ჩვენ ვთვლით აუცილებლად ყრილობის სამუშაოთა პირველ რიგში დასმულ იქნეს საკითხი, რომლისგანაც დამოკიდებულია ყრილობის არა მხოლოდ ყველა დანარჩენ ღონისძიებათა ბედ-იღბალი, არამედ—სიტყვის სრული და სწორი მნიშვნელობით—ბედ-იღბალი რუსეთის მთელი რევოლიუციისა: საკითხი სამხედრო შეტევისა, რაიც მზადდება უახლოესი დროისთვის.

დააყენეს რა ხალხი და ლაშქარი, რომელმაც არ იცის, თუ

შინაგანი მდგომარეობა.

სამხედრო ამბების აღმოცენება და განვითარება სწარმოებდა თანდათან მოზარდ სიძნელეთა და შეჭირვებათა საფუძველზე სახელმწიფოს შინაგან ცხოვრებაში. მიწის საკითხის, მრეწველობის, ეროვნულ ურთიერთობათა დარგში მთავრობა არ დგამდა არც ერთ გაბედულ ნაბიჯს წინ. სურსათ-სანოვაგისა და ტრანსპორტის საქმე დღითი-დღე უკან მიდიოდა. შეტაკებანი ადგილებზე ხშირდებოდა. „სოციალისტი“ მინისტრები აცდევინებდენ მასებს შეპირებით. ყველა გადაწყვეტილებანი და ზომები გადაიდებოდა ხოლმე, მათ შორის დამფუძნებელი კრებაც. მთავრობის უადგილობა და უძლურება ცხადი იყო. შესაძლებელი გამოსავალი იყო ორი: გამოცლა ძალა-უფლებისა ბურჟუაზიის ხელიდან და ამოძრავება რევოლიუციისა, ან გადასვლა ხალხთა მასების „ალაგმვაზე“ სასტიკი რეპრესიების საშუალებით. კერენსკი და წერეთელი ადგენ საშუალო გზას და ამით უფრო ართულებდენ მდგომარეობას. როდესაც კადეტები, კოალიციის უმეტესად ჰკვიანი და შორსმჭვრეტი წარმომადგენლები, მიხვდენ, რომ 18 ივნისის ჩაშლილ შეტევას შეიძლება ქონ-

---

შექმნილ პირობებში სახელდობ რა საერთაშორისო მიზნებისთვის უნდა ღვაროს სისხლი, შეტევის ფაქტის წინაშე ყველა მისი შედეგებით, რუსეთის კონტრ-რევოლიუციური წრეები იმედოვნებენ აგრეთვე, რომ შეტევა მთლად ჩაუგდებს ხელში ძალა-უფლებას სამხედრო-დიპლომატიურ და კაპიტალისტურ ჯგუფებს, დაკავშირებულთ ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის იმპერიალიზმთან და გაათავისუფლებს მათ აუცილებლობისგან გაუწიონ შემდეგში ანგარიში რუსეთის დემოკრატიის ორგანიზაციულ ნებისყოფას.

შეტევის კონტრ-რევოლიუციური ინიციატორები, რომლებიც არ ჩერდებიან „სამხედრო ავანტიურის“ წინაშე, შეგნებულად ცდილობენ თამაშს ლაშქრის გახრწნაზე, რაიც გამოწვეულია სახელმწიფოს მთელი შინაგანი და საერთაშორისო მდგომარეობით და ამ მიზნით უნერგავენ დემოკრატიის სასოწარკვეთილ ელემენტებს იმ, სავსებით შემცდარ, აზრს, ვითომ თვით ფაქტს შეტევისას შეუძლია „აღდგენა“ ლაშქრისა და ანაზღაურება ასეთი მექანიკური საშუალებით ომის ლიკვიდაციის გარკვეული სამოქმედო პროგრამის უქონლობისა. ამავე დროს კი ცხადია, რომ ასეთ შეტევას მოყვება ლაშქრის მხოლოდ საბოლოო დეზორგანიზაცია, დაუპირდაპირებს რა იგი ერთ ნაწილებს მეორეებს“.

დეს ცუდი შედეგი არა მხოლოდ რევოლიუციისთვის, არამედ მშართველი პარტიებისთვისაც, მათ დააჩქარეს ჩამოცლა დრო-ებით საქმეებისგან და პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე დაა-კისრეს თავის მოკავშირეებს მარცხნით. 2 ივლისს მოხდა სა-მინისტროს კრიზისი, რომლის ფორმალურ საბაბად შეიქნა უკრაინის საკითხი. ეს იყო მომენტი უკიდურესი პოლიტიკუ-რი დაპირისპირებისა. ფრონტის სხვა და სხვა კუთხეებიდან მოდ-ოდენ დელეგაციები და მოჰქონდათ ამბავი იმ ქაოსის შესა-ხებ, რომელიც გამეფდა ლაშქარში შეტევის წყალობით. ეგ-რეთ წოდებული სახელმწიფო პრესა მოითხოვდა სასტიკ რე-პრესიებს. ასეთივე ხმები უფრო და უფრო ხშირად გაისმოდა ეგრეთ წოდებულ სოციალისტურ პრესაშიც. კერენსკი უფრო და უფრო მეტად, ანუ, უმეტესად სწორედ რომ ვთქვათ, უფ-რო აშკარად გადადიოდა კადეტების და კადეტთა გენერლე-ბის მხარეზე და თან დემონსტრატიულად ამყარებდა არა მხოლოდ თავის სიძულვილს ბოლშევიკებისადმი, არამედ თა-ვის მტრობას რევოლიუციური პარტიებისადმი საერთოდ. მო-კავშირეთა საელჩოები მოითხოვდენ მთავრობისგან დისციპ-ლინის აღდგენას და შეტევის გაგრძელებას. მთავრობის წრე-ებში დიდი არევ-დარევა მეფობდა. მუშათა მასებში დაგროვ-და აღშფოთება, რომელიც მზად იყო გადმოხეთქილიყო. „ისა-რგებლეთ კადეტი მინისტრების გამოსვლით მთავრობიდან და აიღეთ ხელში მთელი ძალა-უფლებაო!“ —ასეთი იყო პეტრო-გრადის მუშების მოწოდება, მიმართული ხელმძღვანელი საბ-ჭოთა პარტიებისადმი, სოციალისტ-რევოლიუციონერებისა და მენშევიკებისადმი. მე მაგონდება აღმასრულებელი კომიტეტის 2 ივლისის სხდომა. სოციალისტი-მინისტრები მოვიდენ იქ მოხსენების გასაკეთებლად მთავრობის ახალი კრიზისის შესა-ხებ. ჩვენ გამახვილებული ინტერესით ვუცქიდით, თუ რა პოზიციას დაიჭერენ ისინი ახლა, როდესაც კოალიცია, რო-მელსაც ისინი ქმნიდენ და იცავდენ, დაიშალა ასე უსახელოდ თვით კოალიციურივე პოლიტიკით გამოწვეული მძიმე განც-დის დროს. მომხსენებელი იყო წერეთელი. ის ვრცლად უმარ-ტავდა აღმასრულებელ კომიტეტს, რომ ის დათმობანი კი-ევის რადისათვის, რომელზეც წავიდენ ის და ტერეშჩენკო, სრულიადაც არ ნიშნავდა სახელმწიფოს დანაწილებას და ამი-ტომ არ აძლევდა კადეტებს საკმაო საბაბს მთავრობიდან გას-

ვლისთვის. წერეთელი ბრალს სდებდა კადეტთა ბელადებს ცენტრალისტურ დოქტრინიორობაში, უკრაინელთათვის კომპრომისის აუცილებლობის გაუგებრობაში და სხვ. შთაბეჭდილება იქმნებოდა უკიდურესობამდე უბადრუკი. კოალიციის უიმედო დოქტრინიორი სდებდა ბრალს დოქტრინიორობაში კაპიტალის ფხიზელ პოლიტიკოსებს, რომლებმაც ისარგებლეს პირველივე შესაფერი საბაბით, რომ იძულებულ ეყოთ თავისი პოლიტიკური ნოქრები ეგოთ პასუხი იმ ხელადებითი გადახვევისთვის, რომელიც მისცა საქმეთა მსვლელობას 18 ივნისის შეტევამ. დასკვნა კი? კოალიციის ყველა წინმავალი ცდის შემდეგ თითქო შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთი დასკვნა—გაწყვეტა კავშირისა კადეტებთან, საბჭოთა ხელისუფლების შექმნა. საბჭოთა შიგნით ძალთა განწყობილება მაშინ ისეთი იყო, რომ საბჭოთა ძალა-უფლება პარტიული აზრით შერჩებოდათ უშუალოდ ხელში სოციალისტ-რევოლიუციონერებსა და მენშევიკებს. ჩყენ შეგნებულად ვუწყობდით ამას ხელს. საბჭოთა მექანიზმი, მუდმივი ხელახალი არჩევნების შესაძლებლობის საშუალებით, უზრუნველყოფდა საკმაო ნათელ გამოხატულებას მუშათა და ჯარისკაცთა მასების აზრის გადახრისას მარცხნისკენ. ამასთანავე ბურჟუაზიასთან კოალიციის მოსპობის შემდეგ რადიკალურ ტენდენციებს, ჩვენი აზრით, უნდა გადაეჭარბებინათ საბჭოთა შემადგენლობაში. ასეთ პირობებში ბრძოლა პროლეტარიატისა ძალაუფლებისთვის შევიდოდა ბუნებრივად საბჭოთა ორგანიზაციის კალაპოტში და იწყებდა განვითარებას უმტკივნეულოდ. გასწყვეტდა რა კავშირს ბურჟუაზიასთან, მენშევიკური დემოკრატია, მისი გამოლაშქრებისგან თავის დასაცავად, იძულებული შეიქნებოდა დაკავშირებოდა მჭიდროდ სოციალისტურ პროლეტარიატს, ხოლო მისი გაუბედაობა და პოლიტიკური უფორმობა ადრე თუ გვიან დაიძლეოდა მშრომელთა მასების მიერ ჩვენი კრიტიკის დახმარებით. აი რად მოვითხოვდით ჩვენ ხელმძღვანელი საბჭოთა პარტიებისგან, რომელთადმი არ გვქონდა პოლიტიკური ნდობა და არც ვფარავდით ამას, აელოთ ხელში ძალა-უფლება.

მაგრამ 2 ივლისის მთავრობის კრიზისის შემდეგაც წერეთელმა და მისმა თანამოაზრეებმა არ უარყვეს თავისი კოალიციური „იდეა“. მათ განმარტეს აღმასრულებელ კომიტე-

ტში. რომ ხელმძღვანელი კადეტები, მართალია, გარყვნილი არიან დოქტრინიორობით და თითქმის კონტრ-რევოლიუციურობითაც; მაგრამ პროვინციაში მრავლად არის ბურჟუაზიული ელემენტები, რომლებსაც ჯერ კიდევ შეუძლიათ ხელი ჩაიდებულად სცლა რევოლიუციურ დემოკრატიასთან და რომ მათთან თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად საჭიროა მოწვევა ახალი სამინისტროს შემადგენლობაში ბურჟუაზიის წარმომადგენლებისა. დანი უკვე ამყარებდა დიდ იმედებს რადიკალურ-დემოკრატიულ პარტიაზე, რომელიც შეთხზილ იქნა იმ დროსთვის რამდენიმე პრობლემატიური პოლიტიკოსის მიერ. ცნობა იმის შესახებ, რომ კოალიცია დაიმსხვრა მხოლოდ ახალი კოალიციისათვის ადგილის დასათმობად, სწრაფად მოედო პეტროგრადს და გამოიწვია საშინელი აღშფოთება მუშებისა და ჯარისკაცების უბნებში. ასე აღმოცენდა 3—ნ ივლისის ამბები.

ივლისის დღეები.

უკვე აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის დროს ჩვენ შეგვატყობინეს ტელეფონით, რომ ტყვიასმფრქვეველთა პოლკი ემზადება შეტევისთვისო. ჩვენ ტელეფონითვე მივიღეთ ზომები მის შესაჩერებლად. მაგრამ მასებში სწარმოებდა თავისი დიდი მუშაობა: ფრონტიდან მოდიოდენ ჟურჩობისთვის დაშლილი ნაწილების წარმომადგენლები, მოჰქონდათ ცნობები რეპრესიების შესახებ და აღელვებდენ გარნიზონს. პეტროგრადის მუშათა შორის უკმაყოფილება ხელმძღვანელებით მით უფრო მწვავე იყო, რომ წერეთელი, დანი და ჩხეიძე ასხვაფერებდენ პროლეტარიატის საზოგადოებრივ აზრს, და ცდილობდენ არ მიეცათ შესაძლებლობა პეტროგრადის საბჭოსთვის გამხდარიყო მშრომელთა მასების ახალი განწყობილების გამომხატველად. სრულიად რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტი, შექმნილი ივნისის ყრილობაზე და უმეტესად ჩამორჩენილ პროვინციაზე დამყარებული, უფრო და უფრო მეტად ავიწროებდა პეტროგრადის საბჭოს და იღებდა ხელში თვით პეტროგრადის საქმეთა ხელმძღვანელობასაც კი. შეტაკება შეიქნა აუცილებელი. მუშები და ჯარისკაცები, რომლებიც აღ-

შფოთებით გამოსთქვამდენ თავის უკმაყოფილებას ოფიციალური საბჭოთა პოლიტიკით, აწვებოდენ დაბლიდან და მოითხოვდენ ჩვენი პარტიისგან უფრო გადაწყვეტით მოქმედებას. ჩვენ კი, გვქონდა რა მხედველობაში პროვინციის ჩამორჩენილობა, ვფიქრობდით, რომ ჯერ არ დამდგარა დრო ასეთი მოქმედებისთვის. მაგრამ იმავე დროს ჩვენ ვშიშობდით, რომ ფრონტის ამბებს არ შეეტანა უზომო ქაოსი რევოლუციაში და სასოწარკვეთილება არ ჩაენერგა გულში მასებისთვის. ჩვენი პარტიის წრეებში დამოკიდებულება 3—5 ივლისის მოძრაობისადმი არ იყო სავსებით გარკვეული. ერთი მხრით გვეშინოდა, რომ პეტროგრადი შეიძლება მოწყვეტილიყო დანარჩენი ქვეყნისგან, მეორე მხრით კი იმედი გვქონდა, რომ მხოლოდ ენერგიულ და აქტიურ ჩარევას პეტროგრადისას საქმეში შეეძლებოდა მდგომარეობის გამოსწორება. პარტიული აგიტატორები დაბლა მიდიოდენ მასასთან ერთად და აწარმოებდენ შეურიგებელ აგიტაციას.

იყო კიდევ ცოტაოდენი იმედი, რომ გამოსვლა რევოლიუციური მასებისა ქუჩებში დააშხვრევდა შემთანხმებელთა ჯიუტ დოქტრინიორობას და შეაგნებინებდა მათ, რომ ძალაუფლების შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ ბურჟუაზიასთან კავშირის აშკარაჲ გაწყვეტით. წინააღმდეგ იმისა, რასაც ლაპარაკობდენ და რასაც სწერდა შემდეგ დღეებში ბურჟუაზიული პრესა, ჩვენ პარტიას სრულებითაც არ ქონია გეგმა ძალა-უფლების ხელში ჩაგდებისა შეიარაღებული ამბოხების გზით. საქმე შეეხებოდა რევოლიუციურ დემონსტრაციას, წარმოშობილს სტიქიურად, მაგრამ პოლიტიკურად ჩვენ მიერ ნახელმძღვანელებს.

ტავრიდის სასახლეში გამართული იყო სხდომა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, როდესაც ჯარისკაცთა და მუშათა მშფოთვარე ტალღები შემოერტყენ სასახლეს ყოველ მხრივ. დემონსტრანტებს შორის იყო ანარქიული ელემენტებიც, რომლებიც მზად იყვნენ ეხმარათ იარაღი საბჭოთა ცენტრის წინააღმდეგ, მაგრამ იგინი, რა თქმა უნდა, შეადგენდენ უმცირესობას. იყო ნაძირალი, შავრაზმული, პირდაპირ დაქირავებული ელემენტებიც, რომლებიც ცდილობდენ გამოეყენებინათ მდგომარეობა და გამოეწვიათ რბევა. ეს ელემენტები მოითხოვდენ ჩერნოვისა და წერეთლის დაპატიმრე-

ბას. აღმასრულებელი კომიტეტის გარეკვას და სხვ. იყო კი-
დეც ცდა ჩერნოვის დაპატიმრებისა. შემდეგ, კრესტში
(Кресты). მე ვიცანი ერთერთი მატროსთაგანი, რომელიც
იღებდა მონაწილეობას ამ ცდაში: ის ბოროტმომქმედი აღ-
მოჩნდა და კრესტში იჯდა ძარცვისთვის. მაგრამ ბურჟუაზიულმა
და შემთანხმებელთა პრესამ დასახა მთელი მოძრაობა მრბევ-
ლურად, კონტრ-რევოლიუციურად და, იმავე დროს, ბოლ-
შევიკურ გაღაშქრებად, რომლის უშუალო ამოცანას შეად-
გენდა ვითომ ჩაგდება ხელში ძალა-უფლებისა ცენტრალურ
აღმასრულებელ კომიტეტზე შეიარაღებული თავდასხმით.

3—5 ივლისის მოძრაობამ უკვე სავსებით ცხადჰყო, რომ
მმართველ საბჭოთა პარტიების გარშემო პეტროგრადში დამ-
კვიდრებულა სიცალიერე. ჯერ კიდევ მთელი გარნიზონი არ
იყო ჩვენ მხარეზე იმ დროს. იყო მერყევი ნაწილები, გაუბე-
დავი, პასსიური. მაგრამ თუ არ ჩავთვლით იუნკრებს, არ იყო
არც ერთი ისეთი ნაწილი, რომელიც კი ყოფილიყო მზად
გამოელაშქრა ჩვენს წინააღმდეგ მთავრობის ან ხელმძღვანელი
საბჭოთა პარტიების დასაცავად. საჭირო შეიქნა გამოწვევა ჯა-
რებისა ფრონტიდან. მთელი სტრატეგია წერეთლისა, ჩერნო-
ვისა და სხვ. 3 ივლისს შესდგებოდა იმაში, რომ მოეგოთ
დრო და მიეცათ კერენსკისთვის შესაძლებლობა მოეწვია
პეტროგრადთან „საიმედო“ ნაწილები. აუარებელი შეიარა-
ღებული ხალხით გარშემორტყმულ ტაძრიდის სასახლის დარ-
ბაზში შედიოდა ერთი მეორეზე დეპუტაციები, რომლებიც
მოითხოვდენ ბურჟუაზიასთან კავშირის გაწყვეტას სავსებით,
გადაწყვეტილ სოციალურ რეფორმებს და საზავო მოლაპარა-
კების დაწყებას. ჩვენ, ბოლშევიკები, ვეგებებოდით ქუჩაზე
თუ ეზოში დემონსტრანტების ყოველ ახალ რაზმს სიტყვებით,
რომლითაც მოვუწოდებდით მათ დამშვიდებულიყვნენ და გა-
მოვთქვამდით იმედს, რომ მასების ახლანდელი განწყობილე-
ბის დროს შემთანხმებლები ვერ მოახერხებენ ახალი კოალი-
ციური მთავრობის შექმნას. განსაკუთრებით მეომრულად
იყვნენ განწყობილი კრონშტადტელები, რომელთა შეჩერებას
დემონსტრაციის ფარგლებში ძლივს ვახერხებდით. ითხში
დემონსტრაციამ უფრო ფართო ხასიათი მიიღო—უკვე ჩვენი
პარტიის პირდაპირი ხელმძღვანელობით. საბჭოთა ბელადები
დაბნეული იყვნენ, მათ სიტყვებს ჭონდათ თავარიდებითი ხა-

სიათი. პასუხები, რომელსაც აძლევდა დეპუტაციებს ოდესელს—ჩხეიძე, მოკლებული იყო ყოველგვარ პოლიტიკურ შინაარსს. აშკარა იყო, რომ ოფიციალური ბელადები მოლოდინში იყვნენ.

4-ში ღამით იწყეს მოსვლა ფრონტიდან „საიმედო" ჯარებმა. აღმასრულებელი კომიტეტის სხდომის დროს ტავრიდის სასახლეში მოისმა მუსიკის ხმა, რომელიც უკრავდა მარსელიეზას. პრეზიდიუმის წევრთა სახეები უცებ შეიცვალა. დაეტყოთ გაბედულება, რომელიც ესოდენ აკლდათ მათ უკანასკნელი დღეების განმავლობაში. ეს შედიოდა ტავრიდის სასახლეში ვოლინის პოლკი—სწორედ ის, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ მიდიოდა ყველაზე წინ ოქტომბრის რევოლიუციაში ჩვენი დროშის ქვეშ. ამ მომენტიდან ყველაფერი შეიცვალა. პეტროგრადის მუშებისა და ჯარისკაცების დელეგაციებთან, ბალტიის ფლოტის წარმომადგენლებთან უკვე აღარ იყო საჭირო თავაზიანობა და ცერემონიები. აღმასრულებელი კომიტეტის ტრიბუნიდან გაისმა სიტყვები შეიარაღებული ამბოხების შესახებ, რომელიც უკვე გასრისეს რევოლიუციის ერთგულმა ჯარებმა. ბოლშევიკები გამოცხადებულ იქნენ კონტრ-რევოლიუციურ პარტიად.

შიშმა, რომელიც განიცადა ლიბერალურმა ბურჟუაზიამ შეიარაღებული დემონსტრაციის ორ დღეში, გადმოხეთქა მჩქეფარე სიძულვილის სახით არა მხოლოდ გაზეთის ფურცლებზე, არამედ პეტროგრადის ქუჩებშიც, განსაკუთრებით ნევის პროსპექტზე, სადაც მუსრს ავლებდენ ცალკე მუშებსა და ჯარისკაცებს, რომლებსაც კი მოასწრებდენ სადანაშაულო აგიტაციაზე. იუნკრები, ოფიცრები, შემტევები (ударники), გიორგის კავალრები გახდენ მდგომარეობის მეუფეებად. მათ სათავეში ჩაუდგენ აშკარა კონტრ-რევოლიუციონერები. ქალაქში ულმობელად ანგრევდენ მუშათა ორგანიზაციებს და ჩვენი პარტიის დაწესებულებებს. დაიწყო დაბატიმრება, ჩხრეკა, ცემა-ტყეპა, ქონდა ადგილი ცალკე მკვლელობებსაც. 4-ში ღამით მაშინდელმა იუსტიციის მინისტრმა პერევერზევმა მისცა დასაბეჭდად „საბუთები", რომელსაც უნდა დაედასტურებინა, რომ ბოლშევიკების პარტიას სათავეში უდგანან გერმანიის მოსყიდული აგენტები. სოციალისტ-რევოლიუციონერთა და მენშევიკთა პარტიის ხელმძღვანელები ძლიერ დიდ-

ხანს და ძლიერ კარგა გვიცნობდენ ჩვენ, რომ დაეჯერებინათ
ეს გრალდება, მაგრამ, იმავე დროს, ისინი ძლიერ იყვნენ
დაინტერესებული მის გამარჯვებაში, რომ აღემაღლებინათ
ხმა მის წინააღმდეგ. და ეხლაც კიდევ შეუძლებელია მოგო-
ნება შეუზიზღებლად სიცრუის იმ ვაკხანალიისა, რომელიც
გადმოიღვარა ყველა ბურჟუაზიული და შემთანხმებელთა გა-
ზეთების ფურცლებზე. რევოლიუციურმა პეტროგრადმა
იგრძნო, რომ პროვინცია და ლაშქარი ჯერ კიდევ სავ-
სებით არ არიან მის მხარეზე. გარნიზონში დაიწყო რე-
პრესიები: დაშლა პოლკებისა, განიარაღება ცალკე ნაწილე-
ბისა. ამავე დროს საბჭოთა ბელადები აკოწიწებდენ ახალ სა-
მინისტროს და შეყავდათ შიგ წარმომადგენლები მესამე-ხარის-
ხოვანი ბურჟუაზიული ჯგუფებისა, რომლებსაც არამც თუ არ
შეჰქონდათ არაფერი მთავრობაში, არამედ უსპობდენ მას რე-
ვოლიუციური ინიციატივის უკანასკნელ ნამცეცებსაც კი.

ფრონტზე ამასობაში ამბები ვითარდებოდა თანდათან.
ლაშქრის ორგანიზმი შეირყა საბოლოოდ. ჯარისკაცები
რწმუნდებოდენ საქმეზე, რომ ოფიცრების უდიდესი ნაწილი,
რომელმაც გამოიცვალა ტყავი რევოლიუციის დასაწყისში და
წითელი ფერით შეიმოსა, ისევ მტრულად იყო განწყობილი
ახალი რეჟიმისადმი. უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბში
სწარმოებდა აშკარა შერჩევა კონტრ-რევოლიუციური ელე-
მენტებისა. ბოლშევიკური გამოცემები იდევნებოდა ულმობე-
ლად. შეტევა დიდი ხანია შეიცვალა ტრადიკული უკან და-
ხევით. ბურჟუაზიული პრესა ცოფმორევით სწამებდა ცილს
ლაშქარს, და თუ შეტევის დაწყების წინ მმართველი პარ-
ტიები გვიპასუხებდა, რომ ჩვენ შევადგენთ უმნიშვნელო
ჯგუფს, რომ ლაშქარი არ გვცნობს ჩვენ და არც სურს
ცოდნაო, სამაგიეროდ ახლა, როდესაც შეტევის ავანტიურა
დამთავრდა ასე ტრადიკულად, ისევ ის პირნი და პარტიები
მთელ პასუხისმგებლობას დამარცხებისთვის გვახვევდენ თავს
ჩვენ. საპყრობილეები გავსებული იყო რევოლიუციური მუშე-
ბითა და ჯარისკაცებით. 3—5 ივლისის საქმის გამოძიება
მიენდო ცარიზმის ყველა ძველ სასამართლოს მგლებს. ასეთი
პირობების დროს სოციალისტ-რევოლიუციონერები და მენ-
შევიკები ბედავდენ მოეთხოვათ ლენინისთვის, ზინოვიევის-
თვის და სხვა ამხანაგებისთვის, რომ ისინი თავისი ნებით
მისცემოდენ ხელში „პართლმსაჯულებას“.

ივლისის დღეების შემდეგ.

შედრკა ერთ ხანს მუშათა უბნები, მაგრამ ამ მდგომარეობამ სწრაფად განვლო და დაუთმო ადგილი უალრეს რევოლიუციურ აღტყინებას არა მხოლოდ პროლეტარიატის, არამედ პეტროგრადის გარნიზონის წრეებშიც. შემთანხმებლები კარგავდენ ყოველივე გავლენას, ბოლშევიზმის ტალღამ სწრაფად იწყო გადასვლა ქალაქის ცენტრებიდან მთელ სახელმწიფოში და ყველა დაბრკოლებათა გადალახვის შემდეგ მიაღწია ლაშქარსაც. ახალი კოალიციური მთავრობა კერენსკის მეთაურობით უკვე აშკარად დაადგა რეპრესიების გზას. სამინისტრომ ხელახლა შემოიღო სიკვდილით დასჯა ჯარისკაცთათვის. ჩვენს გაზეთებს ხურავდენ, ჩვენს აგიტატორებს აპატიმრებდენ, მაგრამ ეს უფრო ზრდიდა ჩვენს გავლენას. ყველა დაბრკოლებათა მიუხედავად, რომლებიც დაკავშირებული იყო პეტროგრადის საბჭოს ხელახლა არჩევნებთან, ძალთა განწყობილება შეიცვალა იმდენად, რომ ზოგიერთ მთავარ საკითხებში ჩვენ შევადგენდით ხოლმე უმრავლესობას. ასევე იყო მოსკოვის საბჭოშიც.

ამ დროს მე მრავალ სხვა ამხანაგთან ერთად უკვე ვიჯექი კრესტში, დაპატიმრებული აგიტაციისთვის და 3—5 ივლისის შეიარაღებული ამბოხების მოწყობისთვის გერმანულ ხელისუფლებასთან შეთანხმებითა და გოგენცოლლერნის სამხედრო საქმეებში დახმარების გაწევის მიზნით. მეფის რეჟიმის ცნობილმა სასამართლოს გამომძიებელმა ალექსანდროვმა, რომელსაც ცოტა საქმეები არ უწარმოებია რევოლიუციონერების წინააღმდეგ, მიიღო ახლა მისია დაეცვა რესპუბლიკა კონტრ-რევოლიუციური ბოლშევიკებისგან. ძველი რეჟიმის დროს ციხეების მცხოვრებნი იყოფოდენ პოლიტიკურებად და სისხლის სამართლისებად, ახლა შემოღებულ იქნა ახალი ტერმინოლოგია: სისხლის სამართლისები და ბოლშევიკები. დაპატიმრებულ ჯარისკაცთა შორის ბევრი პირდაპირ გაოცებული იყო. ახალგაზრდა სოფლელი ბიჭები, რომელთაც წინად არა დროს არ მიეღოთ მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში და ეგონათ, რომ რევოლიუციამ გაათავისუფლა ისინი ერთხელ და სამუდამოდ, განცვიფრებით უცქეროდენ კარის

კლიტეებს და ფანჯრების რკინებს. სეირნობის დროს ისინი ხშირად მკითხავდენ ხოლმე შეშფოთებით, თუ რას ნიშნავს ეს და რითი გათავდება. მე ვანუგეშებდი მათ იმით, რომ გარჯვება საბოლოოდ ჩვენ დაგვრჩება მეთქი.

კორნილოვის ამბოხება.

აგვისტოს დამლევს მოხდა ამბოხება გენერალი კორნილოვისა. იგი წარმოადგენდა უშუალო შედეგს კონტრ-რევოლიუციურ ძალთა მობილიზაციისას, გამოწვეულს 18 ივნისის შეტევით. აგვისტოს შუა-რიცხვებში მომხდარ მოსკოვის თათბირზე კერენსკი შეეცადა დამდგარიყო ცენტრში ცენზიანი ელემენტებისა და წვრილ-ბურჟუაზიული დემოკრატიის შუა. ბოლშევიკები საერთოდ ითვლებოდენ „ლეგალური“ ქვეყნის საზღვრებს იქით მდგარად. მათ კერენსკი ემუქრებოდა მახვილითა და სისხლით, რასაც კრების ცენზიანი ელემენტები ეგებებოდენ აღტაცებული ტაშის კვრით, მეშჩანური დემოკრატია კი იუდისებური მდუმარებით. მაგრამ კერენსკის ისტერიული ამოძახილები და მუქარა არ აკმაყოფილებდა კონტრ-რევოლიუციური საქმის მეთაურებს. ისინი ძლიერ კარგად ხედავდენ რევოლიუციური ტალღის ზრდას მუშათა კლასის ყველა ნაწილებში, სოფლად და ლაშქარში, და სთვლიდენ აუცილებლად მიეღოთ დაუყოვნებლივ უკიდურესი ზომები მასებისთვის ჭკუის სასწავლებლად. კორნილოვმა, ცენზიან ბურჟუაზიასთან შეთანხმებით, რომელიც ხედავდა მასში თავის გმირს, იკისრა ამ მეტად საალალბედო საქმის შესრულება. კერენსკი, სავინკოვი, ფილონენკო და სხვა მმართველი და ნახევრად მმართველი სოციალისტ-რევოლიუციონერები იყვნენ თანამონაწილენი მისი შეთქმულობისა, მაგრამ ამბების განვითარების გარკვეულ საფეხურზე მათ გასცეს კორნილოვი, რადგან შეიგნეს, რომ თუ ის გაიმარჯვებდა, ისინი დარჩებოდენ გარიყული. კორნილოვის ამბების დროს ჩვენ ვიჯექით ციხეში და იქიდან ვადევნებდით მათ თვალყურს გაზეთების საშუალებით: გაზეთების თავისუფლად მიღება წარმოადგენდა ერთად-ერთ უდიდეს განსხვავებას კერენსკის ციხებისას ძველი რეჟიმის ციხეებისგან. კაზაკთა გენერალის ავანტიურა ჩაიშალა. რევოლიუციის ექვსმა თვემ შექმნა ხალხთა

მასებში საკმაო სიმტკიცე და სიმაგრე აშკარა კონტრ-რევოლიუციური თავდასხმის წინააღმდეგ. შემთანხმებელი საბჭოთა პარტიები საშინლად შეშინდენ კორნილოვის შეთქმულობის შესაძლო შედეგებით, რომელიც ემუქრებოდა წალეკით არა მხოლოდ ბოლშევიკებს, არამედ მთელ რევოლიუციასაც მის მმართველ პარტიებიანად. სოციალისტ-რევოლიუციონერებმა და მენშევიკებმა იწყეს ბოლშევიკების ლეგალიზაცია, —თუმცა კი დიდი სიფრთხილით და მხოლოდ ნახევრად, თითქო გრძნობდენ შესაძლო საფრთხეებს მომავალში. იგივე კრონშტადტელი მატროსები, რომლებიც ივლისის დღეების შემდეგ გამოცხადებულ იქნენ მრბეველებად და კონტრ-რევოლიუციონერებად, კორნილოვის საფრთხის დროს გაწვეულ იქნენ პეტროგრადში რევოლიუციის დასაცავად. ისინიც მოვიდენ უსიტყვოდ, უსაყვედუროდ, წარსულის მოუგონრად და დაიჭირეს ყველაზე საპასუხისმგებლო ადგილები. მე მქონდა სრული უფლება მომეგონებინა წერეთლისთვის ის სიტყვები, რომლებითაც მივმართე მას მაისში, როდესაც ის სდევნიდა კრონშტადტელებს: „როდესაც კონტრ-რევოლიუციონერი გენერალი შეეცდება ყულფის გადაგდებას რევოლიუციის კისერზე, მაშინ კადეტები შეუდგებიან თოკის საპნვას, ხოლო კრონშტადტელი მატროსები მოვლენ, რომ ჩვენთან ერთად იბრძოლონ და დაიხოცონო".

საბჭოთა ორგანიზაციებმა გამოიჩინეს ყველგან, ზურგშიც, ფრონტზეც, დიდი სიცოცხლის უნარი და ძალა კორნილოვის ამბოხებასთან ბრძოლაში. შეტაკებამდე საქმე თითქმის არსად არ მისულა. რევოლიუციურმა მასამ ჩარეცხა და გააჭარწყლა გენერლის შეთქმულობა. როგორც შემთანხმებლებმა ვერ იპოვეს ივლისში ჩვენს წინააღმდეგ ჯარისკაცები პეტროგრადის გარნიზონში, ისე ეხლა კორნილოვმა ვერ იპოვა ჯარისკაცები რევოლიუციის წინააღმდეგ მთელ ფრონტზე. ის აბირებდა ფონს გასვლას მოტყუებით, მაგრამ პროპაგანდის სიტყვები ადვილად ამსხვრევდა მის გეგმებს.

გაზეთების მიხედვით მე მქონდა იმედი შემდეგი ამბების დიდი სისწრაფით განვითარებისა და ძალა-უფლების გადასვლისა საბჭოთა ხელში. გავლენა და ძალა ბოლშევიკებისა იყო ეჭვს გარეშე და იზრდებოდა დღითი დღე. ბოლშევიკები აფრთხილებდენ კოალიციის დროს, 18 ივნისის შეტევის დროს,

მათ იწინასწარმეტყველეს „კორნილოვშჩინა“. ხალხთა მასები საქმეზე რწმუნდებოდენ იმაში, რომ ჩვენ ვიყავით მართლები. კორნილოვის შეთქმულობის უმეტესად საშიშ მომენტებში, როდესაც კავკასიის დივიზია უახლოვდებოდა პეტროგრადს, პეტროგრადის საბჭომ ისარგებლა მთავრობის ძალაუნებური თავმიშვებით და შეაიარაღა მუშები. პოლკები, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ იქნა მოყვანილი, დიდი ხანია გადახალისდა პეტროგრადის გახურებულ ატმოსფეროში და ეხლა მთლად ჩვენ მხარეზე იყო. კორნილოვის ამბოხებას საბოლოოდ უნდა აეხილა თვალები ლაშქრისთვის და დაენახვებინა მისთვის ბურჟუაზიულ კონტრ-რევოლიუციასთან შეთანხმების პოლიტიკის დაუშვებლობა. ამიტომ შესაძლებელი იყო გვქონოდა იმედი, რომ კორნილოვის ამბოხების გასრესა იქნებოდა მხოლოდ შესავალი რევოლიუციურ ძალთა უშუალო შეტევისა ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებად. მაგრამ ამბები ითარდებოდა უფრო ნელა. მიუხედავად რევოლიუციური განწყობილების ძლიერი დაჭინვისა, მასებმა ივლისის დღეების სასტიკი გაკვეთილის შემდეგ შეისწავლა სიფრთხილე, აიღო ხელი ყოველივე თვითნებისად გამოსვლაზე და უცდიდა პირდაპირ მოწოდებასა და ხელმძღვანელობას ზევიდან. მაგრამ ჩვენი პარტიის ზედა წრეებშიც სჭარბობდა მომლოდინე განწყობილება. ასეთ პირობებში კორნილოვის ავანტიურის ლიკვიდაციას, მიუხედავად ძალთა ღრმა ცვლილებისა ჩვენ სასარგებლოდ. არ მოყვა უშუალო პოლიტიკური ცვლილებები.

ბრძოლა საბჭოების შიგნით.

პეტროგრადის საბჭოში ბატონობა ჩვენი პარტიისა განმტკიცდა ამასობაში საბოლოოდ. ეს გამომჟღავნდა დრამატიული ფორმით პრეზიდიუმის შემადგენლობის საკითხში. იმ ეპოქაში, როდესაც სოციალისტ-რევოლიუციონერები და მენშევიკები ბატონობდენ საბჭოებში, ისინი ყოველი დღის-ძიებით ცდილობდენ ბოლშევიკების გაძევება-გაცალკევებას. მაგალ., პეტროგრადის პრეზიდიუმის შემადგენლობაში მათ არ დაუშვეს არც ერთი ბოლშევიკი იმ დროსაც კი, როდესაც ჩვენი პარტია წარმოადგენდა, ყოველ შემთხვევაში, მთელ საბჭოს ერთ მესამედს მაინც. მის შემდეგ, რაც პეტროგრადის

საბჭომ მცირე უმრავლესობით გამოიტანა რეზოლიუცია მთელი ძალა-უფლების საბჭოთა ხელში გადასვლის შესახებ. ჩვენმა ფრაქციამ წარადგინა მოთხოვნა კოალიციური პრეზიდიუმის შექმნისა პროპორციონალურ საფუძვლებზე. ძველმა პრეზიდიუმმა, რომელშიც შედიოდენ: ჩხეიძე, წერეთელი, კერენსკი, სკობელევი, ჩერნოვი, გადაჭრით თქვა ამაზე უარი. ზედმეტი არ არის ამის მოგონება ეხლა, როდესაც რევოლიუციის მიერ დამსხვრეული პარტიების წარმომადგენლები ლაპარაკობენ დემოკრატიის ერთიანი ფრონტის აუცილებლობაზე და ჩვენ გვდებენ ბრალს განცალკევებაში. მოწვეულ იქნა პეტროგრადის საბჭოს სპეციალური კრება, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა საკითხი პრეზიდიუმის ბედ-იღბლის შესახებ. ყველა ძალები იქნა ამოძრავებული ორივე მხრიდან. წერეთელი გამოვიდა საპროგრამო სიტყვით, რომლითაც ამტკიცებდა, რომ საკითხი პრეზიდიუმის შესახებ —არის საკითხი მიმართულებისა. ჩვენ გვეგონა, რომ მოვკრებდით ნახევარზე ცოტა ნაკლებ ხმებს და მზად ვიყავით მიგვეჩნია ეს გამარჯვებად. ნამდვილად კი, სახელობითი ხმის მიცემით გამოვიდა, რომ ჩვენ მივიღეთ ასი ხმით მეტი. „ჩვენ, ამბობდა წერეთელი, ექვსი თვის განმავლობაში ვუდექით სათავეში პეტროგრადის საბჭოს და მიგვყავდა იგი ერთი გამარჯვებიდან მეორისკენ; ჩვენ გისურვებთ, რომ თქვენ ამ დროის ნახევარს მაინც შერჩენილიყვეთ იმ ადგილებზე, რომელთა დასაჭერად თქვენ ეხლა ემზადებითო“. მოსკოვის საბჭოში მოხდა ასეთივე შეცვლა ხელმძღვანელი პარტიებისა. პროვინციული საბჭოები ერთი მეორეზე გადმოდიოდენ ბოლშევიკების მხარეზე, ახლოვდებოდა დრო სრულიად რუსეთის საბჭოთა მეოთხე ყრილობის მოწვევისა. მაგრამ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელი ჯგუფი ყოველი ღონისძიებით ცდილობდა გადაედო ყრილობა გაეურკვეველი დროისთვის, რომ ამ გზით ჩაეშალა იგი. ცხადი იყო, რომ საბჭოთა ახალი ყრილობა მისცემდა უმრავლესობას ჩვენს პარტიას, განაახლებდა სათანადოთ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობას და გამოაცლიდა შემთანხმებლებს მათ უმთავრეს პოზიციას. ბრძოლას სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობის მოწვევისთვის მიეცა ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა.

ამის საწინააღმდეგოდ მენშევიკებმა და სოციალისტ-რე-

ვოლიუციონერებმა წამოაყენეს იდეა დემოკრატიული შეთანხმებისა. ასეთი წამოწყება მათთვის საჭირო იყო როგორც ჩვენს წინააღმდეგ, ისე კერენსკის წინააღმდეგ.

მთავრობის მეთაურმა დაიკავა ამ დროსთვის სრულიად დამოუკიდებელი და უპასუხისმგებლო პოზიცია. მას მიანიჭა ძალა-უფლება რევოლიუციის პირველ ხანაში პეტროგრადის საბჭომ. კერენსკი შევიდა მთავრობაში საბჭოს წინასწარ გადაუწყვეტად, მაგრამ ეს შესვლა შემდეგ დადასტურებულ იქნა. საბჭოთა პირველი ყრილობის შემდეგ სოციალისტი მინისტრები ითვლებოდენ პასუხის-მგებლებად ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე. მათი მოკავშირეები—კადეტები—პასუხისმგებლები იყვნენ მხოლოდ თავისი პარტიის წინაშე. ივლისის დღეების შემდეგ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, ბურჟუაზიის საამებლად, გაათავისუფლა სოციალისტი მინისტრები საბჭოთა პასუხის-მგებლობისგან—ვითომ და რევოლიუციური დიქტატურის შექმნის გულისთვის. უსარგებლო არ იქნება მოვიგონოთ ესეც ახლა, როდესაც იგივე პირები, რომლებიც ქმნიდენ წრის დიქტატურას, გამოდიან ბრალდებებითა და წყევა-კრულვით კლასის დიქტატურის წინააღმდეგ. ამოცანას მოსკოვის თათბირისას, რომელზეც ხელოვნურად შერჩეული ცენზიანი და დემოკრატიული ელემენტები აწონასწორებდა ერთი მეორეს, შეადგენდა განმტკიცება კერენსკის ძალა-უფლებისა კლასებსა და პარტიებზე. ეს მიზანი მიღწეულ იქნა მხოლოდ გარეგნულად. არსებითად, მოსკოვის თათბირმა გამოააშკარავა კერენსკის სრული უძლურება, რადგან ის ერთნაირად იყო უცხო, როგორც ცენზის მქონე ელემენტებისთვის, ისე მეშჩანური დემოკრატიისთვის. მაგრამ რადგანაც ლიბერალები და კონსერვატორები უკრავდენ ტაშს მის გამოსვლებს დემოკრატიის წინააღმდეგ, შემთანხმებლები კი უმართავდენ მას ოვაციებს, როდესაც ის ფრთხილად კიცხავდა კონტრ-რევოლიუციონერებს, ამიტომ მას ექმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, თითქო ის ემყარება პირველებსაც და მეორეებსაც და ამიტომ აქვს შეუზღუდავი ძალა-უფლებაო. მუშებსა და რევოლიუციურ ჯარისკაცებს ის ემუქრებოდა სისხლითა და მახვილით. მისი პოლიტიკა წავიდა უფრო შორს—კორნილოვთან საიდუმლო შეთანხმების გზით, რამაც გააშავა ის შემთანხმებელთა

თვალშიც კი. წერეთელმა, მისთვის დამახასიათებელი თავარიდებითი დიპლომატიური გამოთქმებით, იწყო ლაპარაკი „პირად“ მომენტებზე პოლიტიკაში და ამ პირადი მომენტების შეზღუდვის აუცილებლობის შესახებ. ეს ამოცანა უნდა შეესრულებინა დემოკრატიულ თათბირს, რომელსაც იწვევდენ ნებისებრი ნორმებით საბჭოთა, სათათბიროთა, ეროვნათა, პროფესიონალურ კავშირთა და კოოპერატივთა წარმომადგენლებიდან. უმთავრეს ამოცანას კი, ნამდვილად, შეადგენდა უზრუნველყოფა თათბირის საკმაოდ კონსერვატიული შემადგენლობისა, გათქვეფა საბჭოებისა ერთხელ და სამუდამოდ დემოკრატიის უფორმო მასაში და განმტკიცება ამ ახალ საორგანიზაციო ნიადაგზე ბოლშევიკური მოზღვავების წინააღმდეგ.

აქ ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ რამდენიმე სიტყვით განსხვავება საბჭოთა და დემოკრატიული თვითმმართველობის ორგანოების პოლიტიკური როლისა. ფილისტერები არა ერთხელ მიგვითითებდენ ჩვენ, რომ ახალი სათათბიროები და ეროვნები, არჩეული საყოველთაო ხმის მიცემის წესით, გაცილებით უფრო დემოკრატიული არის საბჭოებზე და აქვთ უფრო მეტი უფლება ხალხის წარმომადგენლობისაო, მაგრამ ეს ფორმალური დემოკრატიული კრიტერიუმი მოკლებულია ყოველივე სერიოზულ შინაარსს რევოლიუციურ ეპოქაში. რევოლიუცია თავისებური და შესანიშნავია მით, რომ მასების შეგნება იცვლება სწრაფად, მცხოვრებთა ახალი და ახალი ფენები იძენს გამოცდილებას, ათვალიერებს და სწორნის თავის გუშინდელ შეხედულებებს, უკუაგდებს მათ, იშუშავებს ახლებს, შორდება ძველ ბელადებს, მისდევს ახლებს, მიდის წინ... ფორმალურ-დემოკრატიული ორგანიზაციები, რომელიც ემყარება საყოველთაო არჩევის უფლების მძიმე აპარატს, აუცილებლად ჩამორჩება ხოლმე რევოლიუციურ ხანაში მასების პოლიტიკური შეგნების განვითარებას. სულ სხვა საქმეა—საბჭოები. იგინი უშუალოდ ემყარებიან ორგანიულ დაჯგუფებას, როგორიცაა: სახელოსნო, ქარხანა, ფაბრიკა, თემი, პოლკი და სხვ. აქ, თავისთავად იგულისხმება, არ არის ისეთი იურიდიული გარანტიები არჩევნების სისწორისა, როგორიც არის დემოკრატიული სათათბიროებისა და ეროვნების შექმნის დროს. მაგრამ არის შეუ-

დარებლად უფრო სერიოზული, უფრო ღრმა გარანტიები დეპუტატის პირდაპირი და უშუალო კავშირისა ამომრჩევლებთან. ქალაქის სათათბიროს ან ეროვნების ხმოსანი ემყარება ამრჩეველთა დაქსაქსულ მასას, რომელიც აძლევს მას რწმუნებას ერთი წლით და იშლება. საბჭოთა ამომრჩევლები კი ყოველთვის რჩებიან შებოჭკილნი თავისი შრომისა და არსებობის პირობებით, დეპუტატი მათ ყოველთვის ყავთ თვალწინ, მათ ყოველ წუთში შეუძლიათ გამომუშავება და მიცემა მისთვის რჩევა-დარიგებისა, მისი გასამართლება, ჩამოყენება, სხვა პირით შეცვლა. თუ საერთო პოლიტიკური ევოლიუცია რევოლიუციის წარსულ თვეებში იმაში გამოიხატებოდა, რომ შემთანხმებელი პარტიების გავლენას სცვლიდა ბოლშევიკთა გადაწყვეტილი გავლენა, ადვილი გასაგებია, რომ ეს პროცესი უფრო ნათლად და სრულად გამოიხატება საბჭოებში მაშინ, როდესაც სათათბიროები და ეროვნები, მიუხედავად მთელი თავისი ფორმალური დემოკრატიზმისა, გამოხატავდა არა დღევანდელ, არამედ გუშინდელ მდგომარეობას ხალხთა მასებისას. სწორედ ამით აიხსნება ლტოლვა სათათბიროებისა და ეროვნებისადმი იმ პარტიებისა, რომელსაც მეტად და მეტად ეცლებოდა ფეხ-ქვეშ ნიადაგი რევოლიუციური კლასის წრეში. ამაზე საკითხს—მხოლოდ უფრო ფართო მასშტაბით—შევხვდებით ჩვენ შემდეგ, როდესაც მივალთ დამფუძნებელ კრებამდე.

დემოკრატიული თათბირი.

დემოკრატიულ თათბირს, მოწვეულს წერეთლისა და მისი მომხრეების მიერ სექტემბრის ნახევარში, ჭონდა სავსებით ხელოვნური ხასიათი, რადგან იგი წარმოადგენდა ნარევს საბჭოებიდან და თვითმმართველობის ორგანოებიდან ისეთი პროპორციით, რომ უზრუნველ-ეყო სიჭარბე შემთანხმებელი პარტიებისა. თათბირი, წარმოშობილი უმწეობისა და დაფანტულობისგან, გათავდა უბადრუკად. ცენზიანი ბურჟუაზია ეპყრობოდა თათბირს უდიდესი სიძულვილით, ხედავდა რა მასში ცდას მისი დახევინებისას იმ პოზიციებიდან, რომელსაც იგი მიუახლოვდა მოსკოვის თათბირზე. რევოლიუციური პროლეტარიატი და მასთან დაკავშირებული გლეხთა და ჯარისკაც-

თა მასები წინდაწინვე სდებდა მსჯავრს დემოკრატიული თათბირის მოწვევის ცბიერ მეთოდს. შემთანხმებელთა პირდაპირ ამოცანას შეადგენდა „საპასუხისმგებლო“ სამინისტროს შექმნა. მაგრამ ვერც ეს იქნა მიღწეული. კერენსკის არ სურდა არავითარი პასუხისმგებლობა და ეწინააღმდეგებოდა მას, რადგანაც ამას უარყოფდა მის ზურგს უკან მდგომი ბურჟუაზია. უპასუხისმგებლობა ე. წ. დემოკრატიის ორგანოების მიმართ, ნიშნავდა ფაქტიურ პასუხისმგებლობას კადეტებისა და მოკავშირეთა საელჩოების წინაშე. ჯერ-ჯერობით ეს საკმარისი იყო ბურჟუაზიისათვის. კოალიციის საკითხში დემოკრატიულმა თათბირმა გამოააშკარავა მთელი თავისი უშინაარსობა: ბურჟუაზიასთან კოალიციამ მიიღო ცოტა უფრო მეტი ხმები, ვიდრე მის წინააღმდეგ; კადეტებთან კოალიციის წინააღმდეგ მისცა ხმა უმრავლესობამ. მაგრამ კადეტების გამოკლებით აღარ რჩებოდა ბურჟუაზიის წრეში სერიოზული კონტრ-აგენტები კოალიციისთვის. წერეთელმა გულდასმით განუმარტა ეს თათბირს. რადგან თათბირმა ვერ გაიგო, მით უარესი მისთვის. მოლაპარაკება სწარმოებდა ურცხვად თათბირის ზურგს უკან მის მიერ უკუგდებულ კადეტებთან და გადაწყდა, რომ კადეტები იმოქმედებენ არა როგორც კადეტები, არამედ როგორც... საზოგადო მოღვაწეები. მეშჩანური დემოკრატია, შეციწროებული მარჯვნიდან და მარცხნიდან, ითმენდა ყველა ამ დაცინვებს და ამით ცხადყოფდა თავის სრულ პოლიტიკურ პროსტრაციას. დემოკრატიული თათბირიდან გამოიყო საბჭო, რომლის შევსებაც გადაწყდა ცენზიან ელემენტთა წარმომადგენლობით და ამ წინაპარლამენტს უნდა შეევსო თავისით ის ცალიერი ადგილი, რომელიც რჩებოდა დამფუძნებელი კრების მოწვევამდე. ახალმა კოალიციურმა სამინისტრომ, წერეთლის თავდაპირველი გეგმის წინააღმდეგ, მაგრამ ბურჟუაზიის გეგმებთან სრული თანხმობით, შეინარჩუნა თავისი ფორმალური დამოუკიდებლობა წინაპარლამენტის მიმართ. ყველა ეს ერთად ახდენდა შთაბეჭდილებას უბადრუკი და უძლური კანცელიარული შემოქმედებისას, რომლის იქითაც მიფარებული იყო სრული კაპიტულაცია წვრილბურჟუაზიული დემოკრატიისა ცენზის მქონე ლიბერალიზმის წინაშე, რომელიც ერთი თვის წინ მანამდე აშკარად უპერდა მხარს კორნილოვის შეტევას რევოლიუციის წინააღმდეგ. ყვე-

ლაფერი ეს დამთავრდა ამგვარად ლიბერალურ ბურჟუაზიასთან კოალიციის აღდგენითა და გამარადისებით. ეჭვს გარეშე იყო უკვე ის, რომ მთავრობის ძალაუფლება, მომავალი დამფუძნებელი კრების შემადგენლობისაგან სრულიად დამოუკიდებლად, ფაქტიურად იქნებოდა ბურჟუაზიის ხელში, ვინაიდან შემთანხმებელი პარტიები, მიუხედავად ძალთა სიჭარბისა, რასაც აძლევდა მათ ხალხთა მასები, უთუოდ ათავებდა კადეტებთან კოალიციით, სთვლიდა რა შეუძლებლად სახელმწიფო ძალა-უფლების შექმნას უბურჟუაზიოდ. მუშათა მასები ეპყრობოდა მილიუკოვის პარტიას ულრმესი სიძულვილით. ყველა არჩევნების დროს რევოლიუციის ეპოქაში კადეტები მუდამ მარცხდებოდენ და, მიუხედავად ამისა, იგივე პარტიები— სოც.-რევ. და მენშევიკები,—რომელიც ძლევა-მოსილად ამხვრევდა კადეტთა პარტიას არჩევნებზე, არჩევნების შემდეგ უთმობდა მას კოალიციურ მთავრობაში წითელ კუთხეს. სრულიად ბუნებრივია, თუ მასები თანდათან ხვდებოდა, რომ შემთანხმებელი პარტიები თამაშობდა არსებითად ლიბერალური ბურჟუაზიის ნოქრების როლს.

სიძნელენი ზურგში და ფრონტზე.

საშინაო მდგომარეობა ამასობაში რთულდებოდა და უარესდებოდა. ომი ჭიანურდებოდა უმიზნოდ, უაზროდ და უპერსპექტივოდ. მთავრობა არ დგამდა არავითარ ნაბიჯს, რომ გამოსულიყო ამ ბიწიერი წრიდან. წამოყენებულ იქნა სასაციო გეგმა მენშევიკი სკობელევის გაგზავნისა პარიზში მოკავშირე იმპერიალისტებზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით. მაგრამ ამ გეგმას არც ერთი საღი გონების ადამიანი არ აძლევდა სერიოზულ მნიშვნელობას. კორნილოვმა მისცა გერმანელებს რიგა, რომ მოეხდინა ამით დამამწუხრებელი გავლენა საზოგადოებრივ აზრზე და ასეთ ატმოსფერაში შემოელო ლაშქარში ჯოხის დისციპლინა. საფრთხე მოელოდა პეტროგრადსაც. და ბურჟუაზიული ელემენტები ეგებებოდა ამ საფრთხეს ბოროტი სიხარულით. სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი თავმჯდომარე როძიანკო აშკარად ლაპარაკობდა, რომ მიცემა გერმანელებისთვის გარყვნილი პეტროგრადისა არ წარმოადგენს დიდ უბედურებასო. მას მაგალითად მოყავდა რიგა, სადაც

გერმანელთა შეჭრის შემდეგ გაუქმებულ იქნა დეპუტატთა საბჭოები და ძველ გოროდოვოებთან ერთად დამყარდა მტკიცე წესრიგი. დაიღუპება ბალტიის ფლოტი? მაგრამ ფლოტი გარყვნილია რევოლიუციური პროპაგანდით: დანაკარგი, მაშასადამე, არც თუ ისე დიდი იქნება. ყბედი ბატონის ამ ცინიზმში გამოიხატა ფარული აზრები ბურჟუაზიის ფართო წრეებისა. პეტროგრადის მიცემა გერმანელებისთვის ხომ არ ნიშნავს მის სამუდამოდ დაკარგვას. საზავო ხელშეკრულებით პეტროგრადი დაბრუნებულ იქნება, მაგრამ უკვე მთელილი გერმანული მილიტარიზმის მიერ. რევოლიუცია ამასობაში დარჩება უთავოდ და მერე ადვილი იქნება მასთან გასწორება. კერენსკის მთავრობა არა ფიქრობდა დედა-ქალაქის სერიოზულ დაცვაზე. პირიქით, საზოგადოებრივ აზრს ამზადებდენ მისი შესაძლებელი დატოვებისთვის. პეტროგრადიდან მოსკოვსა და სხვა ქალაქებში გადაქონდათ მთავრობის დაწესებულებანი.

ასეთ გარემოებაში შეიკრიბა პეტროგრადის საბჭოს ჯარის-კაცთა სექცია. განწყობილება იყო მეტად დაჭიმული და შეშფოთებული. მთავრობას არ ძალუძს პეტროგრადის დაცვა? მაშინ მან ჩამოაგდოს ხავი. ხოლო თუ არ შეუძლია ხავის ჩამოგდება, მაშ მოშორდეს თავიდან. ასეთ დადგენილებაში გამოიხატა ჯარის-კაცთა სექციის განწყობილება. ეს უკვე იყო ელვა ოქტომბრის რევოლიუციისა.

მდგომარეობა ფრონტზე უარესდებოდა დღითი დღე. ახლოვდებოდა ცივი შემოდგომა წვიმიან-ტალახიანი. წინ გამოსჩანდა მეოთხე ზამთრის კამპანია. სურსათ-სანოვაგის საქმე თანდათან ძნელდებოდა. ზურგში დაავიწყდათ ფრონტი—არც შეცვლა, არც მაშველი ჯარების გაგზავნა, არც საჭირო თბილი ტანსაცმელი. დეზერტიორობა იზრდებოდა. ძველი სალაშქრო კომიტეტები, არჩეული ჯერ კიდევ რევოლიუციის პირველ ხანებში, დარჩა ადგილებზე და უჭერდა მხარს კერენსკის პოლიტიკას. ხელახლა არჩევა აღკრძალული იყო. კომიტეტებისა და ჯარის-კაცთა მასების შუა გაეცალა უფსკრული. ამან გამოიწვია სიძულვილი ჯარის-კაცებისა კომიტეტებისადმი. ფრონტიდან უფრო და უფრო ხშირად მოდიოდენ პეტროგრადში დელეგატები და პეტროგრადის საბჭოს სხდომებზე გადაჭრით სვამდენ საკითხს: რა გავაკეთოთ შემდეგ? ვინ და როგორ გაათავებს ომს? რად სდუმს პეტროგრადის საბჭო?

ძალა-უფლებისათვის ბრძოლის აუცილებლობა.

პეტროგრადის საბჭო არ სდუმდა. იგი მოითხოვდა დაუყოვნებლივ გადასვლას მთელი ძალა-უფლებისას საბჭოთა ხელში ცენტრში და ადგილებზე, დაუყოვნებლივ გადასვლას მიწისა გლეხთა ხელში, მუშათა კანტროლის შემოღებას წარმოებაში და დაუყოვნებლივ ღაწყებას საზავო მოლაპარაკებისას. ვიდრე ჩვენ ვიყავით ოპოზიციის პარტიად, ლოზუნგი— მთელი ძალა-უფლება საბჭოებს—წარმოადგენდა პროპაგანდის ლოზუნგს. მაგრამ მას შემდეგ, რაც უმრავლესობა ყველა უმთავრეს საბჭოში დაგვრჩა ჩვენ, ეს ლოზუნგი მოვალედ გვხდიდა ჩვენ დაგვეწყო პირდაპირი და უშუალო ბრძოლა ძალა-უფლებისთვის.

სოფელში მდგომარეობა აირ-დაირია და გართულდა უკიდურესობამდე. რევოლიუცია პირდებოდა გლეხს მიწას, მაგრამ იმავე დროს ხელმძღვანელი პარტიები მოითხოვდა, რომ გლეხს არ ეხლო ხელი ამ მიწისთვის დამფუძნებელ კრებამდე. გლეხი ჯერ მომთმინოდ იცდიდა, ხოლო როდესაც იწყო მოთმინების დაკარგვა, კოალიციურმა ძთავრობამ დაატეხა მას თავზე რეპრესიები. დამფუძნებელი კრების მოწვევა კი თანდათან იდებოდა შორეულ დროსთვის. ბურჟუაზია მოითხოვდა დამფუძნებელი კრების მოწვევას ზავის ჩამოგდების შემდეგ. გლეხთა მასები უფრო მეტად და მეტად კარგავდენ მოთმინებას. იწყო განხორციელება იმ მოვლენამ, რის შესახებ ჩვენ ვიწინასწარმეტყველეთ რევოლიუციის დასაწყისშივე: გლეხმა იწყო მითვისება მიწისა საკუთარი საშუალებით. რეპრესიები გაძლიერდა, დაიწყო დაპატიმრება რევოლიუციური საადგილ-მამულო კომიტეტებისა. ზოგიერ მაზრებში კერენსკიმ შემოიღო სამხედრო წესები. სოფლებიდან იწყეს დენა მორბედებმა პეტროგრადის საბჭოში. ისინი ჩიოდენ, რომ მათ აპატიმრებენ, როდესაც ისინი შეუდგებიან ხოლმე პეტროგრადის საბჭოს გეგმის შესრულებას და იღებენ მემამულეთა მიწას გლეხთა კომიტეტებისათვის გადასაცემად. გლეხები მოითხოვდენ ჩვენგან მფარველობას. ჩვენ ვუპასუხებდით მათ, რომ მათთვის მფარველობის გაწევა შეგვეძლებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ ძალა-უფლება ჩვენს ხელში იყვესო. აქედან კი გამომდინარეობ-

და ის დასკვნა, რომ საბჭოებმა, თუ მათ არ სურთ გადაიქცენ სალაყბოებად, უნდა აიღოს ხელში ძალა-უფლებაო.

—უაზროა ბრძოლა საბჭოთა ძალა-უფლებისთვის ერთიორი თვის წინ დამფუძნებელი კრების მოწვევამდეო!—ასე გვეუბნებოდენ ჩვენი მეზობლები მარჯვნით. ჩვენ კი, უნდა ითქვას, სრულიადაც არ ვიყავით დაავადებული დამფუძნებელი კრების ამ ფეტიშიზმით. ჯერ ერთი, არ იყო არავითარი გარანტია, რომ იგი ნამდვილად იქნებოდა მოწვეული. ლაშქრის დაშლა, მასიური დეზერტირობა, სასურსათო საქმის დანგრევა, აგრარული რევოლიუცია—ყველაფერი ეს ქმნიდა ისეთ გარემოებას, რომელიც სრულიად არ იყო ხელის შემწყობი დამფუძნელი კრების არჩევნებისთვის. პეტროგრადის გერმანელებისთვის გადაცემა საერთოდ იმუქრებოდა არჩევნების საკითხის სავსებით მოხსნით. ხოლო შემდეგ, დამფუძნებელი კრება კიდეც რომ მოწვეულიყო ძველი პარტიების ხელმძღვანელობით, ძველი სიებით, იგი იქნებოდა მხოლოდ კოალიციური მთავრობის მიფარება და კურთხევა. არც სოც.-რევ., არც მენშევიკებს არ შეეძლოთ აელოთ ხელში ძალა-უფლება უბურჟუაზიოდ. მხოლოდ რევოლიუციური კლასი იყო მოწოდებული დაემსხვრია ბიწიერი წრე, რომელშიც ტრიალებდა და იხრწნებოდა რევოლიუცია. საჭირო იყო გამოგლეჯა ძალა-უფლებისა იმ ელემენტთა ხელიდან, რომელიც, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ემსახურებოდა ბურჟუაზიას და სარგებლობდა სახელმწიფო აპპარატით, როგორც ობსტრუქციის იარაღით ხალხის რევოლიუციურ მოთხოვნათა წინააღმდეგ.

ბრძოლა საბჭოთა ყრილობისათვის.

—ძალა-უფლება საბჭოებს!—მოითხოვდა ჩვენი პარტია. წინმავალ ხანაში ეს, პარტიულ ენაზე გადატანით, ნიშნავდა —ძალა-უფლება სოც.-რევ. და მენშევიკებს, ლიბერალურ ბურჟუაზიასთან კოალიციის საწინააღმდეგოდ.

ახლა, 1917 წ., ოქტომბერში, იგივე ლოზუნგი ნიშნავდა მთელი ძალა-უფლების გადაცემას რევოლიუციური პროლეტარიატისთვის, რომელსაც სათავეში ედგა ამ დროს ბოლშევიკთა პარტია. საქმე შეეხებოდა დიქტატურას მუშათა კლასისაა, რომელიც მიუძღოდა წინ, ანუ, უკეთ, რომელსაც შეეძლო

გასძლოლოდა წინ ულაიბესი გლეხობის მრავალ მილიონიან მასებს. ამაში მდგომარეობდა ოქტომბრის ამბოხების ისტორიული აზრი.

საქმის ვითარებას მიყავდა პარტია ამ გზისკენ. ჩვენ ვჰადაგებდით რევოლიუციის პირველი დღეებიდანვე საჭიროებას და აუცილებლობას ძალა-უფლების გადასვლისას საბჭოთა ხელში. საბჭოების უმრავლესობამ, დიდი შინაგანი ბრძოლის შემდეგ, შეითვისა ეს მოთხოვნა, დაადგა ჩვენს თვალსაზრისს. ჩვენ ვამზადებდით სრულიად რუსეთის საბჭოთა მეორე ყრილობას, რომელზეც მოველოდით ჩვენი პარტიის სრულ გამარჯვებას. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, დანის ხელმძღვანელობით (ფ.ხთხილმა ჩხეიძემ წინდაწინვე მოუსვა კავკასიისკენ), ყოველგვარად ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა ყრილობის მოწვევას. დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ, ჩვენ, დემოკრატიული თათბირის საბჭოთა ფრაქციაზე დამყარებულებმა, როგორც იქნა მოვახერხეთ ყრილობის ვადის დანიშვნა: ოქტომბრის 25. ეს რიცხვი შეიქნა შემდეგ უდიდეს თარიღად რუსეთის ისტორიაში. წინასწარ ჩვენ მოვიწვიეთ პეტროგრადში ჩრდილოეთ ოლქის საბჭოთა ყრილობა, რომელსაც დაესწრო ბალტიის ფლოტი და მოსკოვი. ამ ყრილობაზე ჩვენ გვყავდა დიდი უმრავლესობა. გავიმაგრეთ რაძდენადმე გვერდი მარჯვნით მემარცხენე სოციალისტ-რევოლიუციონერების ფრაქციის საშუალებით და ჩავუყარეთ საფუძველი ოქტომბრის ამბოხების სერიოზულ ორგანიზაციულ წინაძღვრებს (предпосылки).

კონფლიქტი პეტროგრადის გარნიზონის გამო.

მაგრამ უფრო წინ, ჩრდილოეთის საბჭოთა ყრილობამდე, მოხდა ამბავი, რომელსაც ეწერა ბედად დიდი როლის თამაში შემდეგ პოლიტიკურ ბრძოლაში. ოქტომბრის დასაწყისში პეტროგრადის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე შევიდა საბჭოს წარმომადგენელი პეტროგრადის სამხედრო ოლქის შტაბთან და განაცხადა, რომ მთავარ-სარდლის შტაბი მოითხოვს გაყვანას ფრონტზე პეტროგრადის გარნიზონის ორი მესამედისასო. რისთვის? პეტროგრადის დასაცავად. გაყვანით არ გაიყვანენ ახლა, მაგრამ საჭიროა დაუყოვნებლივ მომზადებაო.

პეტროგრადის საბჭოსგან შტაბი მოითხოვდა ამ გეგმის დადასტურებას. ამან მთელი ჩვენი გულის-ყური მიიპყრო. აგვისტოს დამლევს აგრეთვე გაყვანილ იქნა პეტროგრადიდან საესებით ან ნაწილობით 5 რევოლიუციური პოლკი. ეს მოხდა მაშინდელი მთავარ-სარდლის—კორნილოვის მოთხოვნით, რომელიც სწორედ იმ დღეებში ემზადებოდა მიესია პეტროგრადისთვის კავკასიის დივიზია რევოლიუციურ დედა-ქალაქთან ერთხელ და სამუდამოდ გასწორების მიზნით. ისე რომ ჩვენ უკვე ნანახი გვქონდა პოლკების წმიდა პოლიტიკური გადათავსება ოპერატიული ამოცანების მომიზეზებით. თუმცა ეს წინ წარგენაა, მაგრამ ვიტყვი, რომ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ აღმოჩენილი ძალადობებიდან საესებით გამორკვა, რომ განზრახულ გაყვანას პეტროგრადის გარნიზონისას არაფერი საერთო არ ქონდა სამხედრო მიზნებთან; იგი მოახვია თავს მთავარ-სარდალს დუხონინს, მისი სურვილის წინააღმდეგ, თვით კერენსკიმ, რომელიც ცდილობდა გაეწმინდა დედა-ქალაქი უმეტესად რევოლიუციური, ე. ი. მის წინააღმდეგ უმეტესად მტრულად განწყობილი, ჯარისკაცებისგან. მაგრამ მაშინ, ოქტომბრის დასაწყისს, ჩვენმა ეჭვებმა გამოიწვია მთელი ქარიშხალი პატრიოტული აღშფოთებისა: შტაბიდან ჩვენ გვაჩქარებდენ. კერენსკი ვეღარ ითმენდა, ნიადაგი უკვე ძლიერ გაცხელდა მის ფეხ-ქვეშ. ჩვენ კი ვაყოვნებდით პასუხს. პეტროგრადს, უეჭველია, ელოდა საფრთხე, და საკითხი დედა-ქალაქის დაცვის შესახებ იდგა ჩვენს წინ მთელი მისი მრისხანე მნიშვნელობით. მაგრამ „კორნილოვშჩინის“ გამოცდის შემდეგ, როძიანკოს სიტყვების შემდეგ, რომელსაც გერმანული ოკუპაცია ხსნად მიაჩნდა,—როგორ უნდა დაგვეჯერებინა, რომ პეტროგრადს არ მოელოდა გერმანელებისთვის გადაცემა ბოროტგანზრახვით მისი მეამბოხეობის გამო. აღმასრულებელმა კომიტეტმა უარი განაცხადა გარნიზონის ორი მესამედის გაყვანის ბრძანების ქვეშ თავისი შტემპელის ბრმასავით დასმაზე. საჭიროა გამორკვევა, განვაცხადეთ ჩვენ, ეს ბრძანება ნამდვილად სამხედრო მოსაზრებით არის გამოწვეული თუ არა და საჭიროა შექმნა ამის გამომრკვევი ორგანოსი. ასე წარმოიშვა აზრი საბჭოს ჯარის-კაცთა სექციის, ე. ი. გარნიზონის პოლიტიკური წარმომადგენლობის, გვერდით წმიდა ოპერატიული ორგანოს შექმნისა სამხედრო—რევოლიუციური კო-

მიტეტის სახით, რომელიც შემდეგ განმტკიცდა და გაძლიერდა და გახდა ოქტომბრის გადატრიალების ფაქტიურ იარაღად. ეჭვს გარეშეა, რომ იმ საათებში, როდესაც ჩვენ წამოვაყენეთ ისეთ ორგანოს შექმნის იდეა, რომლის ხელშიც იქნებოდა მოკრებილი ძაფები პეტროგრადის გარნიზონის წმინდა სამხედრო ხელმძღვანელობისა, ჩვენ ნათლად გვქონდა წარმოდგენილი, რომ სწორედ ამ ორგანოს შეეძლო გახდომა რევოლიუციის შეუდარებელ იარაღად. ამავე დროს ჩვენ აშკარად ვემხრობოდით ამბოხებას და ვემზადებოდით მისთვის ორგანიზაციულად.

ოქტომბრის 25-სთვის დავნიშნეთ, როგორც უკვე იყო ნათქვამი, სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობა. შეუძლებელი იყო უკვე შეჰპაროდა ვისმეს ეჭვი, რომ ყრილობა მიიღებდა დადგენილებას ძალა-უფლების საბჭოთა ხელში გადასვლის შესახებ. მაგრამ ასეთი დადგენილება უნდა გატარებულიყო ცხოვრებაში დაუყოვნებლივ, თორემ იგი გადაიქცეოდა ულტრას პლატონიურ დემონსტრაციად. საქმის ლოლიკით გამოდიოდა, რომ ჩვენ დავნიშნეთ ამბოხება 25 ოქტომბრისთვის. სწორედ ასე ესმოდა საქმე მთელ ბურჟუაზიულ პრესას. მაგრამ საბჭოს ბედ-იღბალი დამოკიდებული იყო უპირველეს ყოვლისა პეტროგრადის გარიზონისაგან,—მისცემდა თუ არა იგი ნებას კერენსკის შემოერტყა ალყა საბჭოთა ყრილობისთვის და გაერეკა ის რამდენიმე ასეული ან ათასეული იუნკრების, პრაპორშჩიკებისა და „უდარნიკების“ დახმარებით? თვით ცდა გარნიზონის გაყვანისა იქნებ ნიშნავდა იმას, რომ მთავრობა ემზადება საბჭოთა ყრილობის გასარეკად? და უცნაურიც იქნებოდა, რომ ის არ მომზადებულიყო, ხედავდა რა, რომ ჩვენ აშკარად, მთელი ქვეყნის წინაშე, ვკრებთ საბჭოთა ძალებს კოალიციური ძალა-უფლების დასამხობად.

ამგვარად, თანდათან ცხადი ხდებოდა, რომ გარნიზონის ბედ-იღბლის საკითხი შეიქნებოდა კონფლიქტის მიზეზი. ამ საკითხმა უპირველეს ყოვლისა დააყენა ფეხზე ყველა ჯარისკაცები. მაგრამ მუშებიც იჩენდენ მომეტებულ ინტერესს კონფლიქტისადმი, რადგან ეშინოდათ, რომ გარნიზონის გაყვანისთანავე მათ ჩაახრჩობდენ იუნკრები და კაზაკები. კონფლიქტი, ამგვარად, მეტად მწვავე ხასიათს იღებდა და იშლებოდა ნიადაგზე, რომელიც ძლიერ სახიფათო იყო კერენსკის მთავრობისთვის.

ამავე დროს სწარმოებდა უკვე ზემოდ დახასიათებული ბრძოლა სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობის მოწვევისთვის; ამასთანავე ჩვენ პეტროგრადის საბჭოსა და ჩრდილოეთის საოლქო ყრილობის სახელით აშკარად ვაცხადებდით, რომ საბჭოთა მეორე ყრილობამ უნდა უკუაგდოს კერენსკის მთავრობა და შეიქნეს რუსეთის ნამდვილი ბატონ-პატრონიო. ამბოხება ფაქტიურად თითქმის დაწყებული იყო. იგი ვითარდებოდა სრულიად აშკარად, მთელი სახელმწიფოს თვალწინ.

ოქტომბრის განმავლობაში ამბოხების საკითხი თამაშობდა დიდ როლს ჩვენი პარტიის შინაურ ცხოვრებაში. ლენინი, რომელიც იმალებოდა ფინეთში, აუარებელი წერილებით მოითხოვდა უფრო გაბედულ ტაქტიკას. მასები ღელავდა და გამოსთქვამდა უკმაყოფილებას, რომ ბოლშევიკთა პარტიას, რომელიც შეადგენს უმრავლესობას პეტროგრადის საბჭოში, არ გამოყავს არავითარი პრაქტიკული შედეგები თავისი ლოზუნგებიდანო. 10 ოქტომბერს მოხდა ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომა ლენინის მონაწილეობით. დღის წესრიგში დასმული იყო საკითხი ამბოხების შესახებ. დიდი უმრავლესობით ორი ხმის წინააღმდეგ გადაწყდა, რომ რევოლიუციისა და სახელმწიფოს ხსნის ერთად ერთ საშუალებას წარმოადგენს შეიარაღებული ამბოხება, რომელმაც ძალა-უფლება საბჭოებს უნდა გადასცეს ხელში.

დემოკრატიული საბჭო და წინაპარლამენტი.

დემოკრატიულ საბჭოს, რომელიც გამოეყო დემოკრატიულ თათბირს, დაყვა თან უკანასკნელის მთელი უმწეობა. ძველმა საბჭოთა პარტიებმა, სოციალისტ-რევოლიუციონერებმა და მენშევიკებმა, შექმნა თავისთვის ამ საბჭოში ხელოვნური უმრავლესობა, მაგრამ მხოლოდ იმისთვის, რომ უფრო ნათლად გამოეშკარავებინა თავისი პოლიტიკური პროსტრაცია. წერეთელი საბჭოს კულისებს იქით აწარმოებდა უთავბოლო მოლაპარაკებას კერენსკისთან და ,,ცენზიანი ელემენტების'' წარმომადგენლებთან (ასეთი სახელწოდება შემოიღეს საბჭოში იმისთვის, რომ არ ეხმარათ ,,საწყენი'' სახელი—ბურჟუაზია). წერეთლის მოხსენება მოლაპარაკების მსვლელობისა და მისი შედეგის შესახებ წააგავდა რაღაც სულთათანას რე-

ვოლიუციის მთელი პერიოდისას. აღმოჩნდა, რომ არც კერენსკი, არც ცენზიანი ელემენტები არ დათანხმდენ პასუხისმგებლობაზე ახალი ნახევრად-წარმომადგენლობითი დაწესებულების წინაშე. მეორე მხრით, კადეტთა პარტიის გარეშე ვერ მოხერხდა პოვნა ეგრეთ-წოდებული „საქმიანი“ საზოგადოების მოლვაწეებისა. წამოწყების ორგანიზატორებს მოუხდათ დათმობაზე წასვლა. კაპიტულაცია მით უფრო მჭევრმეტყველური გამოვიდა, რომ თვით დემოკრატიული თათბირის მოწვევის მიზანი იყო უკუგდება უპასუხისმგებლო რეჟიმისა და რომ თათბირმა ფორმალური კენჭის ყრით უარყო კოალიცია კადეტებთან. დემოკრატიულ საბჭოს რამდენიმე სხდომაზე, რომელიც შესდგა გადატრიალებამდე, მეფობდა ატმოსფერა დაჭინვისა და სრული უმოქმედობისა. საბჭო გამოხატავდა არა რევოლიუციის მოძრაობას წინისკენ, არამედ გახრწნას რევოლიუციას ჩამორჩენილი პარტიებისას.

ჯერ კიდევ დემოკრატიული თათბირის დროს ჩვენ პარტიულ ფრაქციაში დასმული იქნა საკითხი თათბირიდან დემონსტრატიულად წასვლისა და დემოკრატიულ საბჭოსთვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ. საჭირო იყო მოქმედებით დაგვენახვებინა მასებისთვის, რომ შემთანხმებლებმა შეიყვანეს რევოლიუცია გამოუვალ ჩიხში. საბჭოთა ძალა-უფლების შექმნისთვის ბრძოლის წარმოება შეიძლებოდა მხოლოდ რევოლიუციური გზით. საჭირო იყო გამოგლეჯა ძალა-უფლებისა იმათ ხელიდან, რომლებიც უძლური აღმოჩნდენ კეთილის საკეთებლად და, რაც დრო გადიოდა, მით უმეტეს კარგავდენ თვით აქტიური ბოროტების ჩადენის უნარსაც კი. აუცილებელი იყო, რომ ჩვენი გზა—ძალთა მობილიზაცია საბჭოების გარშემო, სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობა, ამბოხება—დაგვებირდაბირებინა მათი გზისთვის—ხელოვნურად შერჩეულ წინაპარლამენტისა და მითიური დამფუძნებელი კრებისთვის. ეს კი შეიძლებოდა მხოლოდ აშკარა განხეთქილების საშუალებით წერეთლისა და მის თანამოაზრეთა მიერ შექმნილ დაწესებულებასთან და მუშათა კლასის მთელი ძალებისა და ყურადღების საბჭოთა დაწესებულებებზე მიპყრობის საშუალებით. მე ვიძლეოდი წინადადებას დემონსტრატიული წასვლისას თათბირიდან და რევოლიუციური აგიტაციის წარმოებისას ქარხნებსა და პოლკებში რევოლიუციის ნებისყოფის

შერევისა და მისი ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის კალაპოტში ხელახლა შეყვანის ცდისთვის დასაპირდაპირებლად. ამავე აზრის იყო ლენინიც, რომლის წერილი მივიღეთ ჩვენ რამდენიმე დღის შემდეგ. მაგრამ პარტიის ზედა წრეებში ამ საკითხში ჯერ კიდევ ეტყობოდა მერყეობა. ივლისის დღეებმა დასტოვა ღრმა კვალი პარტიის შეგნებაში. მუშათა და ჯარის-კაცთა მასა მოვიდა გონს ივლისის დამსხვრევის შემდეგ უფრო ადრე, ვინემ ბევრი ხელმძღვანელი ამხანაგი, რომლებსაც ეშინოდათ რევოლიუციის ჩაშლისა მასების ახალი უდროო შეტევით. დემოკრატიული თათბირის ფრაქციაში ჩემ წინადადებას მისცა ხმა 50-მა 70-ს წინააღმდეგ, რომელიც მომხრენი იყვნენ დემოკრატიულ საბჭოში მონაწილეობისა. მაგრამ ამ მონაწილეობის ცდამ მალე განამტკიცა პარტიის მარცხენა ფრთა. სრულიად ცხადი ხდებოდა, რომ, როგორც ათასგვარი ხრიკებით, რომლის ამოცანასაც შეადგენდა რევოლიუციის შემდეგი ხელმძღვანელობის ცენზიანი ელემენტებისთვის უზრუნველყოფა, ისე ხალხთა მასებში ნიადაგ-დაკარგულ შემთანხმებელთა საშუალებით შეუძლებელი იყო გამოსვლა იმ ჩიხიდან, რომელშიც შეაგდო რევოლიუცია მეშჩანური დემოკრატიის უგერგილობა-უბადრუკობამ. იმ დროსთვის, როდესაც დემოკრატიული საბჭო, შევსებული ცენზიანი ელემენტებით, გადაიქცა წინაპარლამენტად, ჩვენს პარტიაში უკვე მომწიფდა აზრი ამ დაწესებულებასთან განხეთქილებისა.

სოციალისტ-რევოლიუციონერები და მენშევიკები.

ჩვენს წინ იდგა საკითხი, წამოგვყვებოდენ თუ არა ამ გზით მემარცხენე სოციალისტ-რევოლიუციონერები. ეს ჯგუფი განიცდიდა შექმნის პროცესს, მაგრამ ამ პროცესის განვითარება, ჩვენი პარტიული მასშტაბის მიხედვით, ძლიერ ნელა და გაუბედავად სწარმოებდა. რევოლიუციის დასაწყისში სოც.-რევ. პარტია შეიქნა გაბატონებულ პარტიად პოლიტიკური ცხოვრების მთელ ასპარეზზე. გლეხები, ჯარისკაცები, მუშებიც კი უმეტეს ნაწილად აძლევდენ ხმას სოციალისტ-რევოლიუციონერებს. თვით პარტია არ მოელოდა არაფერს ამის მსგავსს, და ხშირად გეჩვენებოდათ, რომ საცაა ჩაიხრჩობა იგი

საკუთარი წარმატება-წარჩინების ტალღებზე. წმინდა კაპიტალისტურ და მემამულეთა პარტიებისა და ცენზიანი ელემენტების გამოკლებით ყველანი აძლევდენ ხმას რევოლიუციური „ნაროდნიკების“ პარტიას. ეს სავსებით შეეფერებოდა რევოლიუციის თავდაპირველ საფეხურს, როდესაც ჯერ არ ეჩინა თავი კლასიურ ზღუდეებს, როდესაც მისწრაფება ეგრეთ-წოდებული ერთიანი რევოლიუციური ფრონტისადმი პოულობდა თავის განსახიერებას იმ პარტიის ბუნდოვან პროგრამაში, რომელიც მზად იყო მიეცა თანასწორად თავშესაფარი მუშისთვისაც, რომელსაც ეშინოდა გლეხისგან ჩამოშორებისა, გლეხისთვისაც, რომელიც ეძიებდა მიწას და თავისუფლებას, ინტელიგენტისთვისაც, რომელსაც სურდა ეხელმძღვანელა ოფიცერისთვის, ჩინოვნიკისთვისაც, რომელიც ცდილობდა შეგუებოდა ახალ წესწყობილებას

როდესაც კერენსკი, რომელიც ცარიზმის ხანაში ირიცხებოდა შრომის ჯგუფის წევრად (трудовик), გადაიქცა რევოლიუციის გამარჯვების შემდეგ სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიაში, ამ უკანასკნელის ჰეგემონიამ იმატა იმის და მიხედვით, თუ როგორ ადიოდა თვით კერენსკი ძალა-უფლების საფეხურებზე. სამხედრო მინისტრისადმი პატივისცემის გამო, რომელიც ყოველთვის არ იყო პლატონიური, მრავალი პოლკოვნიკები და გენერლები ეწერებოდენ გუშინდელი ტერორისტების პარტიაში. ძველი სოც.-რევ., რევოლიუციაში გამოწრთობილნი, უკვე მაშინ უცქერდენ ერთგვარი შეშფოთებით თანდათან მოზარდ რიცხვს „მარტის“ სოციალისტ-რევოლიუციონერებისას, ე. ი. პარტიის ისეთი წევრებისას, რომლებმაც აღმოიჩინეს თვისში რევოლიუციური ნაროდნიკული სული მხოლოდ მარტში—მას შემდეგ, რაც რევოლიუციამ დაამხო ძველი რეჟიმი და რევოლიუციური ნაროდნიკები ძალა-უფლების სათავეში მოაქცია. ამგვარად, ეს პარტია თავისი უფორმობის ფარგლებში შეიცავდა არა მხოლოდ განვითარებაში მყოფი რევოლიუციის შინაგან წინააღმდეგობებს, არამედ ჩამორჩენილ გლეხთა მასების ცრურწმენებსა, ინტელიგენტური წრეების სენტიმენტალიზმსა, მერყეობასა და კარიერიზმსაც. სრულიად ცხადი იყო, რომ ასეთი სახის პარტია დიდხანს ვერ იბოგინებდა. იდეური მხრით იგი აღმოჩნდა უმწეო თავიდანვე.

პოლიტიკურად ხელმძღვანელ როლს ასრულებდენ მენშევიკები, რომლებმაც გაიარეს მარქსიზმის სკოლა და გამოიტანეს იქიდან ცოდნა ზოგიერთი ხერხისა და დახელოვნება, რომლებიც ეხმარებოდა მათ გარკვევას პოლიტიკურ სიტუაციაში იმდენად, რომ შესძლებოდათ „მეცნიერულად“ გაყალბება წარმოებული კლასიური ბრძოლის აზრისა და უალრესად, რამდენადაც კი შესაძლო იყო არსებულ პირობებში, უზრუნველყოფა ლიბერალური ბურჟუაზიის გეგემონიისა. ამიტომ იყო, რომ მენშევიკები, ბურჟუაზიის უფლებათა პირდაპირი ადვოკატები, გამოიფიტენ ისე უცებ და ოქტომბრის რევოლიუციის წინ უკვე აღარაფერს წარმოადგენდენ თავისით.

სოციალისტ-რევოლიუციონერებიც აგრეთვე სულ მეტად და მეტად კარგავდენ გავლენას ჯერ მუშათა შორის, შემდგ—ლაშქარში, ბოლოს კი—სოფელშიც. ოქტომბრის გადატრიალების წინ ისინი რიცხვობრივ თუმცა ჯერ კიდევ ძლიერ პარტიას წარმოადგენდენ, მაგრამ კლასიური წინააღმდეგობანი უთხრიდენ მას ძირს შიგნიდან. მარჯვენა ფრთის საწინააღმდეგოდ, რომელიც (ჰასში შედიოდენ უმეტესად შოვინისტური ელემენტები: ავქსენტიევი, ბრეშკო-ბრეშკოვსკაია, სავინკოვი და სხვ.) საბოლოოდ გადავიდა კონტრ-რევოლიუციის ბანაკში, ეწყობოდა მარცხენა ფრთა, რომელიც ცდილობდა დაეცვა კავშირი მშრომელთა მასებთან. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სოციალისტ-რევოლიუციონერი ავქსენტიევი, შინაგან საქმეთა მინისტრად ყოფნის დროს, აგრარული საკითხის მისდა დაუკითხავად გადაწყვეტისთვის აპატიმრებდა გლეხთა საადგილ-მამულო კომიტეტებს, რომელიც შესდგებოდა სოციალისტ-რევოლიუციონერებისაგან, მაშინ ამ პარტიის შიგნით არსებულ „უთანხმოებათა“ ამბოლიტუდა ჩვენთვის საკმაოდ ცხადი გახდება.

ცენტრში იდგა პარტიის ტრადიციული ბელადი ჩერნოვი. გამოცდილი მწერალი, ნაკითხი სოციალისტურ ლიტერატურაში, დახელოვნებული ფრაქციულ ბრძოლაში, ის მუდამ სათავეში ედგა პარტიას იმ ხანაში, როდესაც პარტიული ცხოვრება შემოკრებილი ქონდათ ხელთ საზღვარ-გარეთის ემიგრანტულ წრეებს. რევოლიუციამ, რომელმაც თავისი პირველი შეუგნებელი სტიქიური ტალღით აიყვანა სოც.-რევ. პარტია უდიდეს სიმაღლეზე, ავტომატიურად აიყვანა ჩერნოვიც, მაგ-

რამ მხოლოდ იმისთვის, რომ ცხადიყო მისი სრული უმწეობა პირველი პერიოდის ხელმძღვანელ პოლიტიკურ მოღვაწეთა შორისაც კი. ის მცირე საშუალებანი, რომლებიც უზრუნველყოფდენ ხოლმე ჩერნოვის უპირატესობას საზღვარ-გარეთულ ნაროდნიკულ წრეებში, აღმოჩნდენ ძლიერ მჩატე და ალაქატი რევოლიუციის სასწორზე. მან თავის მოვალეობად მიიჩნია ის, რომ არ მიეღო არავითარი საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება, გაერიდებინა თავი ყველა კრიტიკულ შემთხვევებში და ყოფილიყო მუდმივ მოლოდინში. ამგვარი პოლიტიკა უნარჩუნებდა მას ცენტრის მდგომარეობას ორ ფლანგს შუა, რომელიც თანდათან შორდებოდა ერთმანეთს. მაგრამ უკვე აღარ იყო არავითარი შესაძლებლობა პარტიის მთლიანობის ხანგრძლივად დაცვისა. სავინკოვი, ყოფილი ტერორისტი, იღებდა მონაწილეობას კორნილოვის შეთქმულობაში, ძლიერ მეგობრობდა კაზაკთა ოფიცრობის კონტრ-რევოლიუციურ წრეებთან და ამზადებდა გასრესას პეტროგრადის მუშებისა და ჯარის-კაცებისას, რომელთა შორის ბლომად იყო სოც.-რევოლიუციონერებიც. ცენტრმა მიუტანა მსხვერპლად მარცხენა ფრთას სავინკოვი და გამორიცხა ის პარტიიდან. მაგრამ კერენსკიზე იგი ვერ ბედავდა ხელის აღებას. წინაპარლამენტში პარტია სავსებით გაითიშა: სამი ჯგუფი გამოდიოდა დამოუკიდებლად, თუმცა კი ერთისა და იმავე პარტიის დროშის ქვეშ; ამასთანავე არც ერთმა ჯგუფმა არ იცოდა დანამდვილებით, თუ რა უნდოდა. ფორმალური ბატონობა ამ „პარტიისა“ დამფუძნებელ კრებაში იქნებოდა მხოლოდ პოლიტიკური პროსტრაციის გაგრძელება.

გამოსვლა წინაპარლამენტიდან. ფრონტის ხმა.

ვიდრე გამოვიდოდით წინაპარლამენტიდან, სადაც ჩვენ კერენსკისა და წერეთლის პოლიტიკური სტატისტიკით გვიწევდა ორმოცდაათ ადგილამდე, გავმართეთ მოლაპარაკება მემარცხენე სოც.-რევ. ჯგუფთან. მათ უარი თქვეს ჩვენთან შეთანხმებაზე, რასაც ასაბუთებდენ მით, რომ მათთვის ვითომ ჯერ აუცილებელი იყო საქმეზე გამოეშკარავებინათ გლეხობის წინაშე წინაპარლამენტის უაზრობა. „ჩვენ მოვალედ ვთვლით თავს განგიცხადოთ—სთქვა მემარცხენე სოც.-რევ.

ერთ ერთმა ხელმძღვანელთაგანმა,—რომ, თუ თქვენ გინდათ გასვლა წინაპარლამენტიდან აშკარა ბრძოლის ახლავე დასაწყებად, ჩვენ ვერ გამოგყვებითო". ბურჟუაზიულ-შემთანხმებელთა პრესამ დაგვდო ბრალი იმაში, რომ ჩვენ ვცდილობთ წინაპარლამენტის ჩაშლას რევოლიუციური სიტუაციის შექმნის მიზნით. ჩვენი ფრაქციის კრებაზე წინაპარლამენტში გადაწყდა არ დაგვეცადა მემარცხენე სოც.-რევ. და გვემოქმედა დამოუკიდებლად.

ტრიბუნიდან გამოქვეყნებულმა ჩვენი პარტიის დეკლარაციამ, რომელიც ხსნიდა, თუ რისთვის გავდიოდით ჩვენ ამ დაწესებულებიდან, გამოიწვია უძლური სიძულვილის ღმუილი უმრავლესობის ჯგუფთა მხრით. პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოში, სადაც ჩვენი გამოსვლა წინაპარლამენტიდან მოწონებულ იქნა დიდი უმრავლესობის მიერ, მენშევიკ-„ინტერნაციონალისტების" პაწაწა ჯგუფის ლიდერი მარტოვი გვიხსნიდა ჩვენ, რომ გამოსვლას რესპუბლიკის დროებითი საბჭოდან (ასეთი იყო ოფიციალური სახელწოდება ამ მცირედპატივცემული დაწესებულებისა) ექნებოდა აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომ ჩვენ ვაპირებდეთ აშკარა შეტევაზე გადასვლას დაუყოვნებლივ. მაგრამ საქმეც ის არის, რომ ჩვენ სწორედ ამას ვაპირებდით. ლიბერალური ბურჟუაზიის ბრალმდებლები მართალნი იყვნენ, როდესაც ბრალს გვდებდენ იმაში, რომ ჩვენ ვცდილობთ რევოლიუციური სიტუაციის შექმნას. აშკარა ამბოხებაში და ძალა-უფლების ხელში ჩაგდებაში ჩვენ ვხედავდით ერთად-ერთ გამოსავალს შდგომარეობიდან.

ისევე, როგორც ივლისის დღეებში, ამხედრდა ჩვენს წინააღმდეგ პრესა და ყველა სხვა ორგანოები ეგრეთწოდებული საზოგადოებრივი აზრისა. ივლისის არსენალებიდან ამოღებულ იქნა უმეტესად მოწამლული იარაღი, რომელიც დროებით ინახებოდა იქ კორნილოვის დღეების შემდეგ. მაგრამ ამაოდ! მასები მოდიოდა ჩვენთან განუწყვეტლივ და მათი განწყობილება უფრო და უფრო რევოლიუციური ხდებოდა. სანგრებიდან მოდიოდენ დელეგატები. „როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს აუტანელი მდგომარეობა? ამბობდენ ისინი პეტროგრადის საბჭოს სხდომებზე—ჯარისკაცებმა გვიბრძანეს განგიცხადოთ თქვენ, თუ პირველ ნოემბრამდე არ

იქნება გადადგმული გადაწყვეტილი ნაბიჯები ზავის ჩამოგდებისაკენ, სანგრები დაცალიერდება, მთელი ლაშქარი მოიხსნება ფრონტიდან". ასეთი გადაწყვეტილება მართლა ფართოდ იყო გავრცელებული ფრონტზე. იქ ერთი ნაწილიდან მეორეში გზავნიდენ ჯარისკაცები თავისივე შედგენილ პროკლამაციებს, რომლითაც მოუწოდებდენ ერთმანეთს დარჩენილიყვნენ თხრილებში მხოლოდ პირველი თოვლის მოსვლამდე. „თქვენ დაგავიწყდით ჩვენ!—ამბობდენ ფრონტის დელეგატები საბჭოს სხდომებზე.—თუ თქვენ ვერ გიპოვიათ გამოსავალი მდგომარეობიდან, ჩვენ თითონ მოვალთ აქ და ხიშტებით გავრეკავთ ჩვენ მტრებს, მაგრამ თქვენც მათთან ერთად". პეტროგრადის საბჭო რამდენიმე კვირის განმავლობაში შეიქნა მიმზიდველ ცენტრად მთელი ლაშქრისთვის. მისი რეზოლიუციები, მასში ხელმძღვანელი მიმართულების შეცვლისა და პრეზიდიუმის ხელახალი არჩევის შემდეგ, უნერგავდა გასავათებულ და სასოწარკვეთილებაში მყოფ ჯარებს ფრონტზე იმის იმედს, რომ პრაქტიკულად შესაძლებელია პოვნა გამოსავლისა მდგომარეობიდან იმ გზით, რომელსაც უჩვენებდენ ბოლშევიკები: საიდუმლო ხელშეკრულებათა გამოქვეყნება და დაუყოვნებელი წინასწარი ზავის ჩამოგდება ყველა ფრონტზე. „თქვენ ამბობთ, რომ ძალა-უფლება უნდა გადავიდეს საბჭოთა ხელშიო,—აიღეთ იგი თქვენ ხელში. თქვენ შიშობთ, რომ ფრონტი არ დაგიჭერთ მხარს. უკუაგდეთ ყოველგვარი ეჭვები, ჯარის-კაცთა მასის დიდი უმრავლესობა თქვენ მხარეზეა".

ამასობაში კონფლიქტი გარნიზონის გაყვანის საკითხის გამო თანდათან ვითარდებოდა. თითქმის ყოველდღე იკრიბებოდა საგარნიზონო თათბირი როტების, პოლკებისა და რაზმების კომიტეტებიდან. გავლენა ჩვენი პარტიისა გარნიზონში დამყარდა საბოლოოდ და განუყოფლად. პეტროგრადის ოლქის შტაბი უკიდურეს დაფანტულობას განიცდიდა. იგი ხან ცდილობდა დაემყარებინა ჩვენთან წესიერი ურთიერთობა, ხან კი, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ხელმძღვანელთაგან წაქეზებული, გვემუქრებოდა რეპრესიებით.

სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტის კომისრები.

ზემოდ უკვე იყო ნათქვამი, რომ პეტროგრადის საბჭოსთან მოეწყო სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტი, რომლის დაარსების მიზანსაც შეადგენდა ფაქტიურად პეტროგრადის გარნიზონის საბჭოთა შტაბის როლის შესრულება კერენსკის შტაბის საწინააღმდეგოდ.—მაგრამ არსებობა ორი შტაბისა დაუშვებელია,—დოქტრინიორულად გვასწავებდენ ჩვენ შემთანხმებელი პარტიების წარმომადგენლები. „ისეთი მდგომარეობა კი დასაშვებია განა, როდესაც გარნიზონი არ ენდობა ოფიციალურ შტაბს და შიშობს, რომ გაყვანა ჯარის-კაცებისა პეტროგრადიდან ნაკარნახევია კონტრ-რევოლიუციური განზრახვით?“—ვესიტყვებოდით ჩვენ.—მეორე შტაბის შექმნა ნიშნავს ამბოხებას,—გვიპასუხებდენ ჩვენ მარჯვნიდან.—თქვენი სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტის ამოცანა იქნება არა იმდენად სამხედრო ხელისუფლების ოპერატიულ განზრახვათა და განკარგულებათა განხილვა, რამდენადაც შემზადება და გატარება ამბოხებისა აწინდელი მთავრობის წინააღმდეგ. ეს სიტყვები სამართლიანი იყო. მაგრამ სწორედ ამიტომ იგინი არავის არ აშინებდა. კოალიციური მთავრობის დამხობის აუცილებლობას გრძნობდა საბჭოს დიდი უმრავლესობა. რამდენადაც უფრო თავგამოდებით ამტკიცებდენ მენშევიკები და სოციალისტ-რევოლიუციონერები, რომ სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტი აუცილებლად გადაიქცევა ამბოხების ორგანოდო, მით უფრო მეტი ხალისით უპერდა მხარს ახალ მებრძოლ ორგანოს პეტროგრადის საბჭო.

სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტის პირველი საქმე იყო დანიშვნა კომისრებისა პეტროგრადის გარნიზონის ყველა ნაწილებში და დედა-ქალაქისა და მისი მიდამოების ყველა უმთავრეს დაწესებულებებში. ჩვენ სხვა და სხვა მხარიდან მოგვდიოდა ცნობები იმის შესახებ, რომ მთავრობა, ანუ, უკეთ, მთავრობის პარტიები გაფაციცებით რაზმავდა და აიარაღებდა თავის ძალებს. იარაღის სხვა და სხვა, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო, საწყობებიდან გაჰქონდათ თოფები, რევოლვერები, ტყვიის-მფრქვეველები, ტყვიები, იუნკრების, სტუდენტებისა და, საერთოდ, ბურჟუაზიული ახალგაზრდობის

შესაიარაღებლად. საჭირო იყო ამის საწინააღმდეგო ზომების მიღება დაუყოვნებლივ. იარაღას ყველა საწყობებსა და მაღაზიებში დანიშნულ იქნენ კომისრები. მუშაობის შედგომისას მათთვის თითქმის არ აღმოუჩენიათ წინააღმდეგობა. მართალია, საწყობების კომენდანტები და მეპატრონეები შეეცადენ არ ეცნოთ ისინი, მაგრამ საკმარისი იყო მიმართვა ჯარის-კაცთა, ან თვითეული დაწესებულების მოსამსახურეთა კომიტეტისადმი, რომ წინააღმდეგობას ხელად მოელებოდა ბოლო. ამის შემდეგ იარაღი გაიცემოდა ხოლმე მხოლოდ ჩვენი კომისრების ორდერებით.

პეტროგრადის გარნიზონის პოლკებს ყავდათ წინადაც თავისი კომისრები, მაგრამ ამ უკანასკნელებს ნიშნავდა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი. ჩვენ უკვე ვთქვით ზემოდ, რომ საბჭოთა ივნისის ყრილობის შემდეგ, და განსაკუთრებით 18 ივნისის დემონსტრაციის შემდეგ, რომელმაც ცხადჰყო თანდათან მოზარდი ძალა ბოლშევიკებისა, შემთანხმებელმა პარტიებმა თითქმის სავსებით ჩამოაშორა პეტროგრადის საბჭო პრაქტიკულ გავლენას რევოლიუციის მსვლელობაზე დედა-ქალაქში. პეტროგრადის გარნიზონის ხელმძღვანელობა ეპყრა ხელთ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. ახლა ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ ყველგან ყოფილიყო დანიშნული პეტროგრადის საბჭოს კომისრები. ეს მიღწეულ იქნა ჯარისკაცთა მასების ენერგიული დახმარებით. პოლკი პოლკზე აცხადებდა მიტინგების დასასრულს, რომ სცნობენ მხოლოდ პეტროგრადის საბჭოს კომისრებს და რომ მის დაუდგენლად არ გადასდგამენ ნაბიჯსაც კი.

ამ კომისრების დანიშვნაში დიდ როლს თამაშობდა ბოლშევიკების სამხედრო ორგანიზაცია. ივლისის დღეებამდე მან განავითარა ფართო სააგიტაციო მუშაობა. 5 ივლისს ციკლისტების ბათალიონმა, რომელიც შემოიყვანა პეტროგრადში კერენსკიმ, დაარბია ქშესინსკის სასახლე, სადაც მოთავსებული იყო ჩვენი პარტიის სამხედრო ორგანიზაცია. მის ხელმძღვანელთა უმრავლესობა და მრავალი მოკრიგი წევრები დაპატიმრებულ იქნენ, ჟურნალ-გაზეთები დახურეს, სტამბა დაანგრიეს. მხოლოდ თანდათან იწყო ორგანიზაციამ თავისი აპარატის მოწესრიგება, ეხლა კი უკვე კონსპირატიულად. რიცხვობრივ იგი შეიცავდა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს პეტროგრადის

გარნიზონისას—სულ რამდენიმე ას კაცს. მაგრამ მათ შორის იყო ბევრი გაბედული და რევოლიუციისთვის თავდადებული ჯარის-კაცი და ახალგაზრდა ოფიცრები, უმეტეს ნაწილად პრაპორშჩიკები, რომლებმაც იგემეს ივლისსა და აგვისტოში კერენსკის ციხეები. ყველა ისინი გადმოვიდენ სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტის განკარგულებაში და ინიშნებოდენ უმეტესად საპასუხისმგებლო ადგილებზე.

ამასთანავე ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ ჩვენი პარტიის სახელდობ სამხედრო ორგანიზაციის წევრები გადაჭარბებული სიფრთხილით და ერთგვარი სკეპტიციზმითაც კი ეპყრობოდენ ოქტომბერში დაუყოვნებელი ამბოხების იდეას. ორგანიზაციის კარჩაკეტილობა და მისი ოფიციალური სამხედრო შემადგენლობა უნებურად იწვევდა მის ხელმძღვანელებში ამბოხების წმიდა ტეხნიკურ და ორგანიზაციულ საშუალებათა გადაფასებას, ხოლო ამ თვალსაზრისით ჩვენ, რა თქმა უნდა, სუსტი ვიყავით. ჩვენი ძალა მდგომარეობდა მასის რევოლიუციურ აღტყინებაში და მის ჩვენი დროშის ქვეშ საბრძოლველად მზად ყოფნაში.

მ ო ზ ღ ვ ა ვ ე ბ ა.

საორგანიზაციო მუშაობასთან ერთად სწარმოებდა მხურვალე აგიტაციაც. ეს იყო ხანა განუწყვეტელი მიტინგებისა ქარხნებში, „მოდერნისა“ და ჩინიზელლის ცირკებში, კლუბებში, ყაზარმებში. ყველა მიტინგებისა და კრებების ატმოსფერა გაჟღენთილი იყო ელექტრონით. ყოველ სიტყვას ამბოხების შესახებ ეგებებოდენ მხურვალე აპლოდისმენტებითა და აღტაცებული ყიჟინით. ბურჟუაზიული პრესა აასკეცებდა საყოველთაო შეშფოთებას. ჩემ მიერ ხელმოწერილმა ორდერმა, წარგზავნილმა სესტრორეცკის იარაღის ქარხნისადმი, წითელი გვარდიისთვის 5 ათასი თოფის მიცემის შესახებ, გამოიწვია აუწერელი პანიკა ბურჟუაზიულ წრეებში. ყველგან ლაპარაკობდენ და სწერდენ საყოველთაო ხოცვა-ჟლეტის შესახებ, რომელიც ვითომდა მზადდებოდა. ამან, რა თქმა უნდა, არ შეუშალა ხელი სესტრორეცკის იარაღის ქარხნის მუშებს მიეცათ იარაღი წითელგვარდიელებისთვის. რამდენად უფრო გაცოფებით გვწამებდა ცილსა და გვდევნიდა ბურჟუაზიული პრე-

სა, მით უფრო მხურვალე გამოძახილს პოულობდა მასების მხრივ ჩვენი მოწოდება. ორივე მხარესთვის აშკარა ხდებოდა, რომ კრიზისი უნდა გადაწყვეტილიყო უახლოესი დღეების განმავლობაში. სოციალისტ-რევოლიუციონერებისა და მენშევიკების პრესა სცემდა ბუკსა და ნაღარას: „რევოლიუცია სახიფათოა, მაგრამ უფრო ფართო საფუძველით და ამიტომ უფრო მძიმე და დამღუპველი თავისი შედეგებით“... გორკი თავის „ნოვაჯა ჟიზნ“-ში ყოველდღე წინასწარმეტყველებდა მთელი კულტურის დამსხვრევის მოახლოვების შესახებ. საერთოდ, ბურჟუაზიულ ინტელიგენციას საოცარი სისწრაფით უხუნდებოდა სოციალისტური ელფერი მუშათა დიქტატურის მკაცრი რეჟიმის მოახლოვებისას.

სამაგიეროდ ჯარის-კაცები, უმეტესად ჩამორჩენილი პოლკებისაც კი, ალტაცებით ეგებებოდენ სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტის კომისრებს. კაზაკთა ნაწილებისა და იუნკერთა სოციალისტური უმცირესობისგან ჩვენთან მოდიოდენ დელეგატები. ისინი აღგვითქვამდენ აშკარა შეტაკების შემთხვევაში თავისი ნაწილების ნეიტრალიტეტის უზრუნველყოფას მაინც. კერენსკის მთავრობა თანდათან რჩებოდა ჰაერში.

ოლქის შტაბმა მოისურვა ჩვენთან ურთიერთობის დაწყება და მოგვმართა კომპრომისის წინადადებით. მტრის ძალის გამოკვეთის მიზნით ჩვენ გავმართეთ მასთან მოლაპარაკება. მაგრამ შტაბი ღელავდა, ხან გვიყვავებდა, ხან გვემუქრებოდა და ჩვენი კომისრები ყალბებადაც კი გამოაცხადა, რაც, სხვათა შორის, სრულიად არ დასტყობია მათ მუშაობას. ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა, შტაბთან შეთანხმებით, პეტროგრადის სამხედრო ოლქის მთავარ კომისრად დანიშნა შტაბს-კაპიტანი მალევსკი და განაცხადა დიდსულოვნური თანხმობა ეცნო ჩვენი კომისრები, მხოლოდ იმ პირობით, რომ ისინი უნდა დამორჩილებოდენ მთავარ კომისარს. წინადადება უკუგდებულ იქნა და მოლაპარაკებაც შესწყდა. ცნობილი მენშევიკები და სოციალისტ-რევოლიუციონერები მოდიოდენ ჩვენთან შუამავლებად, გვარწმუნებდენ, გვემუქრებოდენ, წინასწარმეტყველებდენ ჩვენსა და რევოლიუციის დაღუპვას.

„პეტროგრადის საბჭოს დღე“.

სმოლნის შენობა ამ დროს უკვე საგანგებოდ იყოფებოდა პეტროგრადის საბჭოსა და ჩვენი პარტიის განკარგულებაში. მენშევიკებმა და სოც.-რევ. გადაიტანეს თავისი პოლიტიკური მოღვაწეობა მარიამის სასახლეში, სადაც ახლად შობილი წინაპარლამენტი უკვე ღაფავდა სულს. კერენსკი გამოვიდა წინაპარლამენტში გრძელი სიტყვით, რომელშიც ის ცდილობდა მყვირალა მუქარის ქვეშ დაემალა თავისი უძლურება, თუმცა მას აღტაცებული ტაშის კვრით აჯილდოვებდა ბურჟუაზიული ფრთა. შტაბი უკანასკნელად შეეცადა გაეწია წინააღმდეგობა. მან გაუგზავნა გარნიზონის ყველა ნაწილს მოწვევის ბარათი, რომელშიც სთხოვდა—გამოეგზავნათ ორ-ორი დელეგატი მოსალაპარაკებლად დედა-ქალაქიდან ჯარების გაყვანის შესახებ. თათბირი დანიშნული იყო 22 ოქტომბრის დღის 1 საათისთვის. პოლკებიდან ჩვენ დაუყოვნებლივ შეგვატყობინეს ამის შესახებ. ტელეფონით ჩვენ მოვიწვიეთ საგარნიზონო თათბირი დილის 11 საათისთვის. დელეგატთა ნაწილი მაინც მოხვდა შტაბში, მაგრამ მხოლოდ იმის განსაცხადებლად, რომ პეტროგრადის საბჭოს დაუდგენლად ისინი არ დაიძროდენ ადგილიდან. გარნიზონის თათბირმა თითქმის ერთხმად დაადასტურა თავისი ერთგულება სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტისადმი. წინაალმდეგ ლაპარაკობდენ მხოლოდ ძველი საბჭოთა პარტიების ოფიციალური წარმომადგენლები, მაგრამ ვერ პოულობდენ ვერავითარ გამოძახილს პოლკების დელეგატებში. შტაბის ცდამ მხოლოდ უფრო ნათელჰყო, რომ ჩვენ ფეხ ქვეშ გვქონდა მკვიდრი ნიადაგი, პირველ რიგში იდგა ვოლინის პოლკი, სწორედ ის, რომელიც ივლისის 4-ს ლამით მუსიკით შევიდა ტავრიდის სასახლეში ბოლშევიკთა დასაწყნარებლად.

ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, როგორც უკვე მოხსენებული იყო ზემოდ, ეჭირა ხელთ პეტროგრადის საბჭოს სალარო და მისი გამოცემები. ერთ-ერთი ამ გამოცემათაგანის მიღების ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა. სექტემბრის ბოლოდან ჩვენ გადავდგით რამდენიმე ნაბიჯი, რომ შეგვექმნა პეტროგრადის საბჭოს დამოუკიდებელი გაზეთი. მაგრამ ყველა

სტამბები დაკავებული იყო, ხოლო მათი მესაკუთრეები, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წაქეზებით, არ იღებდენ ჩვენს სამუშაოს. გადაწყდა მოწყობა „პეტროგრადის საბჭოს დღისა“ ფართე აგიტაციის განვითარებისა და შეწირულების მოკრების მიზნით გაზეთის დასაარსებლად. ეს დღე ორი კვირით წინ დანიშნულ იქნა 22 ოქტომბრისთვის, ისე რომ მოხვდა აშკარად შემზადებული ამბოხების მომენტში.

მტრული პრესა გადაწყვეტით ირწმუნებოდა, რომ 22 ოქტომბერს მოხდება შეიარაღებული ამბოხება ბოლშევიკებისა პეტროგრადის ქუჩებშიო. რომ ამბოხება მოხდებოდა, ამაში უკვე აღარავის შეჰქონდა ეჭვი, ცდილობდენ მხოლოდ გამოერკვიათ, თუ სახელდობ როდის,—ცდილობდენ გამოცნობას, წინასწარმეტყველებდენ, რომ როგორმე გამოვეტეხეთ და წამოეცდენინებინათ უარი ან დასტური, მაგრამ საბჭო მშვიდად და გაბედულად მიდიოდა წინ, ბურჟუაზიული საზოგადოებრივი აზრის ღმუილის გამოუპასუხებლად. 22 ოქტომბერი იქცა პროლეტარული ლაშქრის აღლუმისა და დახედვის დღედ. მან ყოველმხრივ ჩინებულად ჩაიარა. მიუხედავად გაფრთხილებისა მარჯვნიდან, რომ პეტროგრადის ქუჩებზე სისხლის მდინარეები იქნებაო, ხალხთა მასები განუწყვეტლივ მოედინებოდა პეტროგრადის საბჭოს მიტინგებზე. მთელი ორატორული ძალები ამოძრავებული იყო. ყველა საზოგადოებრივი შენობები გავსებული იყო. მიტინგები მიმდინარეობდა განუწყვეტლივ მთელი საათების განმავლობაში. ლაპარაკობდენ ჩვენი პარტიის ორატორები, საბჭოთა ყრილობაზე ჩამოსული დელეგატები, ფრონტის წარმომადგენლები, მემარცხენე სოც.-რევ. და ანარქისტები. საზოგადოებრივი შენობები ჩაძირული იყო მუშებისა, ჯარისკაცებისა და მატროსების ტალღებით. ასეთი კრებები ცოტა უნახავს პეტროგრადს თვით რევოლიუციის დროსაც კი. შეინძრა წვრილი მეშჩანობის დიდი რაოდენობაც, არა იმდენად შეშინებული, რამდენადაც აფორიაქებული ბურჟუაზიული პრესის ყიჟინყვირილითა და გაფრთხილებით. ათი ათასობით ხალხი ეხლებოდა ტალღებად სახალხო სახლის შენობას, გადადიოდა კორიდორიდან კორიდორში, ავსებდა დარბაზებს. რკინის სვეტებზე ეკიდა უზარმაზარი გირლიანდები ადამიანის თავებისა, ფეხებისა, ხელებისა. როგორც ყურძნის მტევნები. ჰაერში გა-

შეფებული იყო ის ელექტრონული დაჭინვა, რომელიც მომასწავებელია ხოლმე რევოლიუციის უმეტესად კრიტიკული მომენტებისა. „ძირს კერენსკის მთავრობა! ძირს ომი! მთელი ძალა-უფლება საბჭოებს!“ წინანდელი საბჭოთა პარტიებიდან უკვე ველარავინ ბედავდა საწინააღმდეგო სიტყვით გამოსვლას. პეტროგრადის საბჭო ბატონობდა განუყოფელად. გამარჯვება, არსებითად, უკვე მიღწეული იყო. რჩებოდა მხოლოდ უკანასკნელი სამხედრო დამარცხება აჩრდილისებური მთავრობისა.

დამორჩილება მერყევი ნაწილებისა.

უმეტესად ფრთხილი ამხანაგები გადმოგვცემდენ, რომ არის კიდევ ნაწილები, რომელიც ჩვენ მხარეზე არ არისო: კაზაკები, ცხენოსანი პოლკი, სემიონოველები, ციკლისტები. ამ ნაწილებში დანიშნულ იქნენ კომისრები და აგიტატორები. მათი მოხსენებანი და ანგარიშები სავსებით დამაკმაყოფილებელი იყო; გახურებული ატმოსფერა იზიდავდა ყველას და ყველაფერს და ლაშქრის უმეტესად კონსერვატიულ ელემენტებს წაერთვათ შეძლება წინააღდგომოდენ პეტროგრადის გარნიზონის საერთო მიმართულებას. სემიონოვის პოლკში, რომელიც ითვლებოდა კერენსკის მთავრობის საყრდნობად, მე ვიყავი მიტინგზე, რომელიც გამართული იყო ცის ქვეშ. იქ მობრძანდენ მარჯვენა ფრთის გამოჩენილი ორატორები. ისინი ებღაუჭებოდენ კონსერვატიულ გვარდიულ პოლკს, როგორც კოალიციური მთავრობის უკანასკნელ ბურჯს. არაფერი არ შველოდა. პოლკის დიდმა უმრავლესობამ მოგვცა ხმა ჩვენ და არ მისცა ყოფილ მინისტრებს შესაძლებლობა გაეთავებინათ თავისი სიტყვები. ის ჯგუფები, რომელიც კიდევ ეწინააღმდეგობოდა საბჭოს ლოზუნგებს, შესდგებოდა უმეტეს ნაწილად ოფიცრებიდან, მოხალისეებიდან, საერთოდ ბურჟუაზიული ინტელიგენციიდან და ნახევრად-ინტელიგენციიდან. მუშათა და ჯარის-კაცთა მასები მთლად ჩვენ მხარეზე იყო, განსაზღვრა ხდებოდა მკაფიო სოციალური ხაზით.

პეტროგრადის ცენტრალურ სამხედრო ბაზას წარმოადგენს პეტრე-პავლეს ციხე. ჩვენ იქ დავნიშნეთ კომენდანტად ახალგაზრდა პრაპორშჩიკი. ის სავსებით შესაფერი აღმოჩნდა

ამისთვის და რამდენიმე საათის განმავლობაში დაეუფლა საქმის მდგომარეობას. ციხის კანონიერი ხელისუფლება ჩამოშორდა საქმეს დახმარების მოლოდინში. ჩვენთვის საიმედო ელემენტებად ითვლებოდენ ციკლისტები, რომლებმაც ივლისში დაარბიეს ჩვენი პარტიის სამხედრო ორგანიზაცია ქშესინსკის სასახლეში და დაიჭირეს მაშინვე თვით სასახლეც. 23-ში მე წავედი ციხეში დღის ორ საათზე. ეზოში მიტინგი იყო გამართული. მარჯვენა ფრთის ორატორები მეტად ფრთხილობდენ და მორიდებით უქცევდენ გვერდს საკითხს კერენსკის შესახებ, რომლის სახელიც ჯარის-კაცთა წრეში აუცილებლად იწვევდა პროტესტისა და აღშფოთების ყვირილს. ჩვენ კი გვისმენდენ და გვიჯერებდენ. საათის ოთხზე ციკლისტები შეიკრიბენ მეზობლად, „მოდერნის“ ცირკში, საბათალიონო კრებაზე. ორატორთა რიცხვში გამოვიდა იქ გენერალ-კვარტირმეისტერი პორადელოვიც. ის ლაპარაკობდა მეტის-მეტი სიფრთხილით. დიდი ხანია წავიდა ის დღეები, როდესაც ოფიციალური და ოფიციოზური ორატორები უწოდებდენ მუშათა პარტიას მოღალატეთა ბრბოს და გერმანელი კაიზერის დაქირავებულ ლაქიებს. შტაბის უფროსის თანაშემწე მოვიდა ჩემთან: „უკაცრავად, საჭიროა რაიმე შეთანხმება“... მაგრამ უკვე გვიან იყო. ბათალიონმა კამათის შემდეგ მისცა ხმა ძალა-უფლების გადასვლას საბჭოთა ხელში; წინააღმდეგი იყო მხოლოდ 30.

ამბოხების დაწყება.

კერენსკის მთავრობა თავზარდაცემული ეხეთქებოდა აქეთ-იქით. გამოიწვიეს ფრონტიდან ორი ახალი ბათალიონი ციკლისტებისა, საზენიტო ბატარეა, შეეცადენ გამოეწვიათ ცხენოსანი ნაწილები; ციკლისტებმა გამოგზავნეს პეტროგრადის საბჭოში გზიდან დეპეშა: „მოვყავართ პეტროგრადში, არ ვიცით რა მიზეზით, გთხოვთ განმარტებას“. ჩვენ მივუწერეთ ბათალიონს შეჩერებულიყო და გამოეგზავნა პეტროგრადში დელეგაცია. წარმომადგენლები მოვიდენ და განაცხადეს საბჭოს სხდომაზე, რომ ბათალიონი მთლად თქვენს მხარეზეაო. ამ განცხადებამ დიდი აღტაცება გამოიწვია. ბათალიონს მიეწერა დაუყოვნებლივ შემოსულიყო ქალაქში.

ფრონტიდან მომავალი დელეგატების რიცხვი დღითი-დღე იზრდებოდა. ისინი მოდიოდენ საქმის მდგომარეობის გასაცნობად, ჰკრებდენ ჩვენს ლიტერატურას და ბრუნდებოდენ უკანვე ეცნობებინათ ფრონტისთვის, რომ პეტროგრადის საბჭო აწარმოებს ბრძოლას მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა ძალა-უფლებისთვის. „თხრილები თქვენ მხარს დაგიჭერს“— გვეუბნებოდენ ისინი. ძველი სალაშქრო კომიტეტები, რომელშიც არ მომხდარა ხელახალი არჩევნები 4—5 თვის განმავლობაში, გვიგზავნიდა ჩვენ მუქარის დეპეშებს, რომელიც არავის არ აშინებდა: ჩვენ ვიცოდით, რომ კომიტეტები მოწყვეტილი იყო ჯარის-კაცთა მასებს არა ნაკლებ, ვიდემ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი—ადგილობრივ საბჭოებს.

სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტმა დანიშნა კომისრები ყველა სადგურებზე. ისინი გულდასმით ადევნებდენ თვალს მომსვლელ და წამსვლელ მატარებლებსა და განსაკუთრებით ჯარის-კაცთა გადაყვან-გადმოყვანას მოწესრიგებულ იქნა სატელეფონო და საავტომობილო მუდმივი კავშირი ახლობელ ქალაქებთან და მათ გარნიზონებთან. პეტროგრადის მეზობლად მყოფ საბჭოებს დაევალა ედევნებინა გულდასმით გურზე იჩინა თავი სიძნელემ; ჩვენ ალარ გვაერთებდენ არავისთან. სადგურზე გამაგრდენ იუნკრები და მათი მფარველობით ტელეფონისტი ქალები ჩაუდგენ ოპოზიციაში საბჭოს. ეს იყო პირველი გამოკრთობა მომავალი საბოტაჟისა. სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტმა გაგზავნა ტელეფონის სადგურზე რაზმი და დადგა შესავალთან ორი პატარა ზარბაზანი. ასე დაიწყო გამგებლობის ყველა ორგანოების დაპყრობა. მატროსები და წითელ-გვარდიელები მცირე რაზმობით დგებოდენ ტელეგრაფზე, ფოსტაში და სხვა დაწესებულებებში. მილებულ იქნა ზომები სახელმწიფო ბანკის დასაპყრობად. მთავრობის ცენტრი, სმოლნი, გადაქცეულ იქნა სიმაგრედ. მის ჭერში იყო, როგორც მემკვიდრეობა ჯერ კიდევ ძველი ცენტრალური კომიტეტისა, ოცდაათვისმეტყველი, მაგრამ ისინი მოუ-

ვლელად იდგენ, ტყვიისმფრქვეველთა რაზმი გასალახანდა და დაიშალა. ჩვენ გამოვიწვიეთ სმოლნში დამატებითი ტყვიისმფრქვეველთა რაზმი. დილით ადრე სმოლნის გრძელ და ნახევრად ბნელ კორიდორებში უკვე აგორებდენ ჯარისკაცები გრიალით თავის ტყვიისმფრქვევლებს. ზოგიერთგან კარებიდან გამოიყურებოდენ გაოცებული და შეშინებული სახეები ჯერ კიდევ სმოლნში დარჩენილი მცირერიცხვოვანი სოც.-რევ. და მენშევიკებისა.

საბჭო იკრიბებოდა სმოლნში ყოველდღე, აგრეთვე გარნიზონის თათბირიც.

სმოლნის მესამე სართულში, პატარა კუთხის ოთახში, განუწყვეტლივ ქონდა გამართული სხდომა სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტს. იქ უყრიდენ თავს ყველა ცნობებს ჯარების გადაყვან-გადმოყვანის შესახებ, ჯარისკაცებისა და მუშების განწყობილების შესახებ, ყაზარმებში აგიტაციის წარმოების შესახებ, მრბეველთა გამოსვლების შესახებ, ბურჟუაზიული პოლიტიკოსების თათბირის შესახებ, ზამთრის სასახლის ცხოვრების შესახებ, წინანდელი საბჭოთა პარტიების განზრახვების შესახებ. მეამბენი მოდიოდენ ყოველმხრით. მოდიოდენ მუშები, ოფიცრები, მეეზოვეები, სოციალისტი იუნკრები, მოსამსახურეები, კოპწია ქალები. ბევრს მოქონდა მტკნარი სისულელე, ზოგი კი იძლეოდა სერიოზულ და ფასიან ცნობებს. ახლოვდებოდა გადამწყვეტი წუთი. ცხადი იყო, რომ უკან დახევა აღარ შეიძლებოდა.

ოქტომბრის 24-ს, საღამოზე, მივიდა კერენსკი წინაპარლამენტში და მოითხოვა მოწონება და დადასტურება რეპრესიული ზომებისა ბოლშევიკების წინააღმდეგ, მაგრამ წინაპარლამენტი განიცდიდა უმწეო დაფანტულობისა და სრული დაშლის მდგომარეობას. კადეტები ურჩევდენ მემარჯვენე სოც.-რევ. მიეღოთ ნდობის რეზოლიუცია, მემარჯვენე სოც.-რევ. აწვებოდენ ცენტრს, ცენტრი ირყეოდა. „მარცხენა“ ფრთა აწარმოებდა საპარლამენტო ოპოზიციის პოლიტიკას. თათბირისა, კამათისა და რყევის შემდეგ მიღებულ იქნა მარცხენა ფრთის რეზოლიუცია, რომელიც კიცხავდა საბჭოს საამბოხო მოძრაობას, მაგრამ პასუხისმგებლობას მოძრაობისთვის აკისრებდა მთავრობის ანტიდემოკრატიულ პოლიტიკას. ფოსტას ყოველდღე მოქონდა ათეული წერილები, რომლითაც ჩვენ

გვაცნობებდენ სასიკვდილო განაჩენების შესახებ, რომელიც გამოქონდათ ჩვენს წინააღმდეგ, ჯოჯოხეთური მაშინების შესახებ, სმოლნის მომავალი აფეთქების შესახებ და სხვა და სხვ... ბურჟუაზიული პრესა გაცოფებით ღმუოდა სიძულვილისა და შიშისაგან. გორკი, რომელმაც სავსებით მიივიწყა თავისი „სიმღერა მიმინოზე“, განაგრძნობდა „ნოვაჲა ჟიზნში“ წინასწარმეტყველებას მოახლოებულ „მეორედ მოსვლის“ შესახებ.

სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტის წევრები უკვე აღარ სტოვებდენ სმოლნის უკანასკნელი კვირის განმავლობაში, ათევდენ ღამეს სავარძლებზე, ეძინათ ნაწყვეტ-ნაწყვეტად, რადგან მათ ყოველ წამს აღვიძებდენ შიკრიკები, მზვერავები, ციკლისტები, ტელეგრაფისტები და ტელეფონის ზარის რეკა. უმეტესად მოუსვენარი იყო ღამე 24 ოქტომბრისა. ტელეფონით შეგვატყობინეს პავლოვსკიდან, რომ მთავრობა იწვევს იქიდან არტილერისტებს, ხოლო პეტერგოფიდან—პრაპორშჩიკების სკოლასო. ზამთრის სასახლეში კერენსკის მიერ მიყვანილ იქნენ იუნკრები, ოფიცრები და შემტევი ქალთა ნაწილები. ჩვენ გავეცით ტელეფონით განკარგულება დაეყენებინათ პეტროგრადისკენ მომავალ ყველა გზაზე საიმედო სამხედრო რაზმები და გაეგზავნათ აგიტატორები მთავრობის მიერ გამოწვეული ნაწილების დასახვედრად. თუ სიტყვით შეჩერება შეუძლებელი იქნებოდა—იმ შემთხვევაში უნდა ეხმარათ იარაღი. ყოველივე მოლაპარაკებას ვაწარმოებდით ტელეფონით აშკარად და ამიტომ იგინი, რა თქმა უნდა, აღწევდა მთავრობის აგენტების ყურამდეც.

კომისრები გვატყობინებდენ ტელეფონით, რომ პეტროგრადის ყველა შემოსავლებზე იდგენ დარაჯად ჩვენი მეგობრები. ორანიენბაუმელი იუნკრების ნაწილმა კი მაინც მოახერხა შემოსვლა ქალაქში ღამით და ჩვენ ვადევნებდით ტელეფონით თვალყურს მათ შემდგომ მოძრაობას. სმოლნის გარეშე სადარაჯო რაზმი გავაძლიერეთ ახალი როტის გამოწვევით, კავშირი გარნიზონის ყველა ნაწილებთან არ გაწყვეტილა. მთრიგე როტები ფხიზლობდა ყველა პოლკებში. ყველა ნაწილების დელეგატები დღით და ღამით იმყოფებოდენ სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტის განკარგულებაში. გაცემულ იქნა ბრძანება უწყალოდ გაესრისათ შავრაზმული აგიტაცია და ჭუ-

ჩებში რბევის პირველ ცდისთანავე ეხმარათ იარაღი და ემოქმედათ ულმობელად.

ამ გადამწყვეტი ღამის განმავლობაში ქალაქის ყველა უმთავრესი პუნქტები გადმოვიდა ჩვენს ხელში—თითქმის წინააღმდეგობის გაუწევლად, უბრძოლველად, უმსხვერპლოდ. სახელმწიფო ბანკს იცავდა მთავრობის რაზმი და ჯავშნოსანი ავტომობილი. ბანკის შენობას ალყა შემოარტყა ყოველმხრივ ჩვენმა რაზმმა, ჯავშნოსანი ჩაგდებულ იქნა ხელში ანაზდეულიო თავდასხმით და ბანკი გადმოვიდა სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტის ხელში თოფის გაუსროლელად. ნევაზე, ფრანგულ-რუსული ქარხნის ქვეშ, იდგა კრეისერი „ავრორა“, რომელიც რემონტში იყო. მისი ეკიპაჟი შესდგებოდა მთლად რევოლიუციის უერთგულესი მატროსებისგან. როდესაც კორნილოვი ემუქრებოდა აგვისტოს დამლევს პეტროგრადს, „ავრორას“ მატროსები მთავრობის მიერ გაწვეულ იქნენ ზამთრის სასახლის დასაცავად და თუმცა უკვე მაშინ ისინი მტრულად იყვნენ განწყობილი კერენსკის მთავრობისადმი, მაგრამ მათ შეიგნეს თავისი მოვალეობა—უკუეგდოთ კონტრ-რევოლიუცია—და უსიტყვოდ დაიკავეს თავ-თავისი ადგილები. როდესაც საფრთხემ გაიარა, ისინი მოიცილეს თავიდან. ეხლა, ოქტომბრის აჯანყების დღეებში, ისინი ძლიერ საშიში იყვნენ მთავრობისთვის. საზღვაო სამინისტროს მიერ მიეცა „ავრორას“ ბრძანება გასულიყო პეტროგრადის ნავთსადგურიდან. ეკიპაჟმა დაუყოვნებლივ გვაცნობა ეს ჩვენ. ჩვენ გავაუქმეთ ბრძანება და კრეისერი დარჩა ადგილზე, გამზადებული აემოძრავებინა ყოველ წამს თავისი საომარი ძალები საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად.

გადამწყვეტი დღე.

ოქტომბრის 25-ს, გათენებისას, მოვიდენ სმოლნში პარტიული სტამბიდან მუშა და მუშა-ქალი და შეგვატყობინეს, რომ მთავრობამ დახურა ჩვენი პარტიის ცენტრალური ორგანო და პეტროგრადის საბჭოს ახალი გაზეთი. სტამბა დაებეჭდათ მთავრობის რომელღაც აგენტებს. სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტმა დაუყოვნებლივ გააუქმა ბრძანება, მიიღო თავისი მფარველობის ქვეშ ორივე გამოცემა და დააკისრა

„დიდი პატივი თავისუფალი სოციალისტური სიტყვის დაცვი-
სა კონტრ-რევოლიუციის შეტევისგან სახელოვან ვოლინის
პოლკს“. სტამბა მუშაობდა ამის შემდეგ განუწყვეტლივ, და
ორივე გაზეთი დანიშნულ დროზე გამოვიდა.

მთავრობა განაგრძობდა ყოფნას წინანდებურად ზამთ-
რის სასახლეში, მაგრამ იგი უკვე მხოლოდ თავისსავე აჩრდი-
ლად იქცა. პოლიტიკურად იგი აღარ არსებობდა. ზამთრის
სასახლეს ოქტომბრის 25 განმავლობაში თანდათან არტყამ-
დენ ალყას ჩვენი ჯარები. დღის პირველ საათზე, პეტროგრა-
დის საბჭოს სხდომაზე, სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტის
სახელით მე განვაცხადე, რომ კერენსკის მთავრობა უკვე აღარ
არსებობს და რომ, სრულიად რუსეთის საბჭოთა ყრილობის
გადაწყვეტილებამდე, ძალა-უფლება გადადის სამხედრო-სარე-
ვოლიუციო კომიტეტის ხელში.

ლენინმა უკვე რამდენიმე დღის წინ დასტოვა ფინეთი
და იმალებოდა ქალაქის განაპირა უბნებში მუშების ბინებში.
25-ს საღამოთი ის კონსპირატიულად მოვიდა სმოლნში. გა-
ზეთების ცნობებით მდგომარეობა მას ეხატებოდა ისე, თით-
ქო ჩვენსა და კერენსკის მთავრობის შორის საქმე იხრება დრო-
ებითი კომპრომისისაკენ. ბურჟუაზიული პრესა იმდენს ყვი-
როდა მოახლოვებული ამბოხების, შეიარაღებული ჯარის-კა-
ცების ქუჩაში გამოსვლის, რბევისა და აუცილებელი სისხლის
მდინარეების შესახებ, რომ მან ახლა ვერ შეამჩნია ის ამბოხება,
რომელიც ხდებოდა სინამდვილეში და შტაბის მოლაპარაკება
ჩვენთან სერიოზულ საქმედ მიაჩნდა. ამასობაში კი უქაოსოდ,
ქუჩებში შეუტაკებლად, უსროლელად და უსისხლისღვროდ
დაწესებულებებს ერთი მეორეზე იკავებდენ ჯარისკაცების,
მატროსებისა და წითელ-გვარდიელების მწყობრი და დისცი-
პლინიანი რაზმები ტელეფონით გადაცემულ ბრძანებათა მიხედ-
ვით, რომელიც გამოდიოდა სმოლნის ინსტიტუტის მესამე
სართულის პატარა ოთახიდან.

საღამოს მოხდა სრულიად რუსეთის საბჭოთა მეორე ყრი-
ლობის წინასწარი სხდომა. მომხსენებლად ცენტრალური აღ-
მასრულებელი კომიტეტის სახელით გამოვიდა დანი. მან წარ-
მოსთქვა საბრალმდებლო სიტყვა მეამბოხეთა და დამპყრობთა
წინააღმდეგ, და თან შეეცადა შეეშინებინა ყრილობა ამბო-
ხების აუცილებელი დამარცხებით, რაიც ამ დღეებში მოხდე-

ბა ფრონტის ძალების საშუალებითო. მის სიტყვაში გამოსჭვიოდა გაუბედაობა და იგი უადგილო იყო იმ დარბაზში, სადაც დელეგატთა დიდი უმრავლესობა აღტაცებით ადევნებდა თვალყურს პეტროგრადის ამბოხების ძლევამოსილ მსვლელობას.

ზამთრის სასახლე ამ დროს უკვე გარშემორტყმული იყო, მაგრამ ჯერ არ იყო აღებული. დრო-გამოშვებით მისი ფანჯრებიდან ესროდენ ჩვენს ჯარებს, რომლებიც ავიწროებდენ ალყას ნელნელა და სიფრთხილით. პეტრე-პავლეს ციხიდან ორ-სამჯერ ესროლეს სასახლეს ზარბაზანი. სროლის შორეული გრიალი აღწევდა სმოლნის კედლებამდეც. მარტოვი უმწეო აღშფოთებით ლაპარაკობდა ყრილობის ტრიბუნიდან სამოქალაქო ომზე და, კერძოდ, ზამთრის სასახლის გარშემორტყმის შესახებ, სადაც მინისტრთა რიცხვში იმყოფებოდენ—ო, საშინელებავ!—მენშევიკთა პარტიის წევრები. მის წინააღმდეგ გამოვიდა ორი მატროსი, რომლებიც მოვიდენ ცნობების მოსაწოდებლად ბრძოლის ადგილიდან. მათ მოაგონეს ბრალმდებლებს 18 ივნისის შეტევა, ძველი მთავრობის მთელი მოღალატური პოლიტიკა, ჯარის-კაცთათვის სიკვდილით დასჯის ხელახლა შემოღება, დაპატიმრებანი, დარბევა რევოლიუციური ორგანიზაციებისა და იფიცავდენ, რომ ან გაიმარჯვებდენ ან დაიხოცებოდენ. მათვე მოიტანეს ამბავი პირველი მსხვერპლების შესახებ ჩვენი მხრით სასახლის მოედანზე. ყველანი წამოდგენ, თითქო უხილავი ნიშნებით, და ერთსულოვნად, რომელსაც ჰქმნის მხოლოდ მაღალი ზნეობრივი აღტყინება, იმღერეს სამგლოვიარო მარში. ვინც განიცადა ეს წუთი, მას არ ძალუძს მისი დავიწყება.

სხდომა დაიშალა. შეუძლებელი იყო განხილვა თეორიულად საკითხისა ხელისუფლების აგების საშუალებათა შესახებ, როდესაც ჩვენამდე აღწევდა ხმა ბრძოლისა და სროლისა ზამთრის სასახლის კედლებთან, სადაც პრაქტიკულად წყდებოდა თვით ამ ხელისუფლების ბედ-იღბლის საკითხი. მაგრამ სასახლის აღება ჭიანურდებოდა და ამან გამოიწვია რყევა ყრილობის უფრო მხდალ ელემენტებში. მარჯვენა ფრთა თავის ორატორების პირით გვიწინასწარმეტყველებდა ჩვენ მალე დალუპვას. ყველა გულის ფანცქალით მოელოდა ამბებს სასახლის მოედნიდან. რამდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა ოპე-

რაციების ხელმძღვანელი ანტონოვი. დარბაზში ჩამოვარდა სრული სიჩუმე. — ზამთრის სასახლე აღებულია, კერენსკი გაიქცა, დანარჩენი მინისტრები დაპატიმრებული არიან და გაიგზავნენ პეტრეპავლეს ციხეში... პირველი თავი ოქტომბრის რევოლიუციისა დასრულდა.

მემარჯვენე სოც.-რევოლიუციონერებმა და მენშევიკებმა, საერთოდ სამოცმა კაცმა, ე. ი. ყრილობის დაახლოებით ერთმა მეათედმა ნაწილმა, პროტესტით დასტოვა სხდომა. რადგან მათ მეტი ძალა არ ჰქონდათ, ამიტომ ისინი „აკისრებდენ მთელ პასუხისმგებლობას“ შემდეგისთვის ბოლშევიკებსა და მემარცხენე სოც.-რევ. ეს უკანასკნელები განიცდიდენ რყევას. წარსული მჭიდროდ აკავშირებდა მათ ჩერნოვის პარტიასთან. მარჯვენა ფრთა ამ პარტიისა საესებით დაუახლოვდა საშუალო და წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტებს, მეშჩანურ ინტელიგენციას, სოფლის შეძლებულ წრეებს და ყველა გადამწყვეტ საკითხებში მოდიოდა ჩვენს წინააღმდეგ ხელი-ხელ ჩაკიდებული ლიბერალურ ბურჟუაზიასთან. პარტიის უმეტესად რევოლიუციური ელემენტები, რომლებიც იყვნენ გამომხატველი უღარიბესი გლეხობის სოციალურ მოთხოვნათა რადიკალიზმისა, იხრებოდენ პროლეტარიატისა და მისი პარტიისკენ. მაგრამ მათ ეშინოდათ მოეჭრათ ჰიპი, რომელიც აერთებდა მათ ძველ პარტიასთან. როდესაც ჩვენ გამოვდიოდით წინაპარლამენტიდან, ისინი უარს ამბობდენ ჩვენთან ერთად წასვლაზე და გვაფრთხილებდენ — არ გავყოლოდით „ავანტიურას“. მაგრამ ამბოხებამ დააყენა ისინი არჩევის აუცილებლობის წინაშე: საბჭოთა მხარეზე თუ საბჭოთა წინააღმდეგ. არა ურყევად კრებდენ ისინი თავის რიგებს ბარიკადის იქითავე მხარეზე, სადაც ვიმყოფებოდით ჩვენ.

შექმნა სახალხო კომისართა საბჭოსი.

პეტროგრადში ჩვენ დაგვრჩა სრული გამარჯვება. ძალა უფლება იყო მთლად სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტის ხელში. ჩვენ გამოვეცით პირველი დეკრეტები — სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ, სალაშქრო კომიტეტების ხელახალი არჩევნების შესახებ და სხვ. მაგრამ მალე გამოაშკარავდა,

რომ ჩვენ პროვინციას ვაყავით ჩამოშორებული. რკინის-გზის და ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ზედა ფენები ჩვენი წინააღმდეგნი იყვნენ. სალაშქრო კომიტეტები, სათათბიროები, ერობები, განაგრძობდენ გზავნას სმოლნში მრისხანე დევნის ბისას, რომლებშიც გვიცხადებდენ ჩვენ პირდაპირ ომს და პირდებოდენ ყველას მეამბოხეთა გადაგვას სულ ცოტა ხნის განმავლობაში. ჩვენი დეპეშები, დეკრეტები და განმარტებანი არ აღწევდა პროვინციამდე, ვინაიდან პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო უარს ამბობდა ჩვენს სამსახურზე. დედა-ქალაქის დანარჩენი ქვეყნისგან გამოცალკევების ასეთ ატმოსფერაში ადვილად იბადებოდა და ვრცელდებოდა ერთი მეორეზე საშინელი და შესაშფოთებელი ხმები.

ბურჟუაზიულმა და შემთანხმებელთა პრესამ, დარწმუნდა თუ არა იგი, რომ საბჭომ ნამდვილად ჩაიგდო ხელში ძალა-უფლება, რომ ძველი მთავრობა დაპატიმრებულია, ხოლო პეტროგრადის ქუჩებში ბატონობენ შეიარაღებული მუშები, ასტეხა უჩვეულო განგაში; არ იყო სიცრუე და ცილისწამება, რომელიც კი მან არ მოიგონა და არ იხმარა სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტის, მისი ხელმძღვანელებისა და მისი კომისრების წინააღმდეგ.

26-ს, დღით, მოხდა სხდომა პეტროგრადის საბჭოსი სრულიად რუსეთის ყრილობის დელეგატთა, გარნიზონის თათბირის დელეგატთა და მრავალ-რიცხვოვან პარტიულ ამხანაგების მონაწილეობით. აქ, პირველად თითქმის ოთხი თვის შეწყვეტის შემდეგ, გამოვიდენ ლენინი და ზინოვიევი, რომელთაც მხურვალე ტაშით მიეგებენ. გამარჯვებით გამოწვეულ სიხარულს მაინც ახლდა თან ერთგვარი შიში იმისი, თუ როგორ შეხვდება გადატრიალებას დანარჩენი სახელმწიფო და შეინარჩუნებენ თუ ვერა საბჭოები ძალა-უფლებას.

სალამოს მოხდა გადამწყვეტი სხდომა საბჭოთა ყრილობისა. ლენინმა შეიტანა ორი დეკრეტი: ზავისა და მიწის შესახებ. ორივე დეკრეტი მცირე კამათის შემდეგ მიღებულ იქნა ერთხმად. იმავე სხდომაზე შექმნილ იქნა ახალი ცენტრალური ორგანო სახალხო კომისართა საბჭოს სახით.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი შეეცადა შეთანხმებოდა მემარცხენე სოც.-რევ.,—მათ მიეცათ წინადადება მიეღოთ მონაწილეობა საბჭოთა ხელისუფლების შექმნაში.

ისინი ირყეოდენ და მიზეზად მოყავდათ ის, რომ, მათი აზრით, ხელისუფლებას უნდა ქონოდა კოალიციური ხასიათი საბჭოთა პარტიების ფარგლებში. მაგრამ მენშევიკებმა და მემარჯვენე სოც.-რევ. გასწყვიტეს კავშირი საბჭოთა ყრილობასთან, სთვლიდენ რა აუცილებლად კოალიციას ანტი-საბჭოთა პარტიებთან. ჩვენ აღარაფერი არ დაგვრჩენოდა იმის გარდა, რომ დაგვენებებინა მემარცხენე სოც.-რევ. პარტიისთვის დაეყოლიებინა თავისი მეზობლები მარჯვნით დაბრუნებულიყვნენ რევოლიუციის ბანაკში; ხოლო მანამ ისინი ეწეოდენ ამ უიმედო საქმეს, ჩვენ მოვალედ ვთვლიდით ჩვენს თავს პასუხისმგებლობა ხელისუფლებისათვის გვეკისრებინა მთლად ჩვენი პარტიისთვის. სახალხო კომისართა სია შედგენილ იქნა მხოლოდ ბოლშევიკთაგან. ამაში უეჭველია მდგომარეობდა ერთგვარი პოლიტიკური საშიშროება: შეტრიალება საქმისა ძლიერ მკვეთრი იყო, — საკმარისია, მართლა, მოვიგონოთ, რომ ამ პარტიის ბელადებს ჯერ კიდევ გუშინდლამდე სდებდენ ბრალს 108 მუხლით, ე. ი. სახელმწიფო ღალატში. მაგრამ სხვა არჩევანი არ იყო. სხვა საბჭოთა ჯგუფები ირყეოდა, არიდებდა თავს და არჩევდა დაეჭირა მომლოდინე პოზიცია. ბოლოს და ბოლოს ჩვენ ეჭვიც არ გვეპარებოდა იმაში, რომ ჩვენს პარტიას მარტოც შეეძლო შექმნა რევოლიუციური ხელისუფლებისა.

ახალი რეჟიმის პირველი დღეები.

დეკრეტები მიწისა და ზავის შესახებ, დამტკიცებული ყრილობის მიერ, იბეჭდებოდა დიდი რაოდენობით და ვრცელდებოდა მთელ სახელმწიფოში ფრონტიდან ჩამოსული დელეგატების, სოფლებიდან მოსული გლეხებისა და ჩვენი აგიტატორების საშუალებით. ამავე დროს ჩვენ ვრაზმავდით და ვაიარაღებდით წითელ გვარდიას. ძველ გარნიზონსა და მატროსებთან ერთად იგიც ეწეოდა მძიმე სადარაჯო სამსახურს. სახალხო კომისართა საბჭო ერთი მეორეზე იპყრობდა მთავრობის დაწესებულებებს, მაგრამ იგი ყველგან ხვდებოდა მასიურ წინააღმდეგობას უმაღლესი და საშუალო ჩინოვნიკობისას. წინანდელი საბჭოთა პარტიები ხმარობდა ყოველგვარ ღონისძიებას, რომ გამოეყენებინა ეს წრეები საყრდნობად

და მოეწყო საბოტაჟი ახალი ხელის-უფლებისთვის. ჩვენი მტრები დარწმუნებული იყვნენ, რომ ქონდათ საქმე უბრალო ეპიზოდთან და რომ საბჭოთა ხელისუფლება დღეს ან ხვალ დამხობილი იქნებოდა... სმოლნში გამოჩნდენ პირველად უცხოელი კონსულები და საელჩოს წევრები, რომლებსაც მოსწევდათ აქეთ იმდენადვე ცნობის მოყვარეობა, რამდენადაც მიმდინარე საქმეების საჭიროებანი. კორესპონდენტები გამოემართენ აქეთ თავისი წიგნაკებითა და ფოტოგრაფიული აპარატებით. ყველანი იჩქაროდენ დაენახათ, თუ რას წარმოადგენს თავისით ახალი ხელისუფლება, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ ერთი-ორი დღის შემდეგ უკვე გვიან იქნებოდა.

ქალაქში სუფევდა სრული წესრიგი. მატროსებს, ჯარისკაცებს, წითელგვარდიელებს ამ პირველ დღეებში ეჭირათ თავი ჩინებულად და იცავდენ სასტიკი რევოლიუციური წესრიგის რეჟიმს.

მტრების ბანაკში უკვე შიშობდენ, რომ „ეპიზოდი" არ გაჭიანურებულიყო დიდხანს და ამასთან ერთად სასწრაფოდ აწყობდენ პირველ შეტევას ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ. ინიციატივა იკუთვნოდათ სოც.-რევ. და მენშევიკებს. წარსულ პერიოდში მათ არ უნდოდათ და ვერ ბედავდენ აეღოთ ხელში მთელი ძალა-უფლება. თავისი ორთაშუა პოლიტიკური მდგომარეობის თანაბმად ისინი კმაყოფილდებოდენ იმითი, რომ მათ კოალიციური ხელისუფლების შემადგენლობაში ეჭირათ ადგილები ბურჟუაზიის თანაშემწეებისა, კრიტიკოსებისა, კეთილმოსურნე მაშტავნებლებისა და მფარველებისა. ყველა არჩევნების დროს ისინი კეთილსინდისიერად უთვლიდენ წყევა-კრულვას ლიბერალურ ბურჟუაზიას, მთავრობაში კი ამდენადვე კეთილსინდისიერად უერთდებოდენ მას. რევოლიუციის პირველი ექვსი თვის განმავლობაში ასეთი პოლიტიკის გამო მათ უკვე საბოლოოდ დაკარგეს ნდობა ხალხთა მასებში და ლაშქარში, ეხლა კი, ოქტომბრის ამბოხების დაკვრით, ისინი სწყდებოდენ სახელმწიფო აპარატს, და ეს მაშინ, როდესაც ისინი ჯერ კიდევ გუშინ სთვლიდენ თავის თავს მდგომარეობის ბატონ-პატრონად. მათ მიერ დევნილი ბელადები ბოლშევიკებისა ცხოვრობდენ არა ლეგალურად, იმალებოდენ, როგორც ცარიზმის დროს. ეხლა ბოლშევიკებმა ჩაიგდეს ხელში ძალა-უფლება. გუშინდელი მინისტრი-შემ-

თანხმებლები და მათი თანამშრომელნი კი უკუგდებულ იქნენ და უცებ გამოეთხოვენ ყოველგვარ გავლენას საქმის შემდგომ მსვლელობაზე. მათ არ უნდოდათ და არც შეეძლოთ დაეჯერებინათ, რომ ეს ანაზდეული გადახვევა ნიშნავდა ახალი ეპოქის დასაწყისს. მათ სურდათ დარწმუნებულიყვნენ და არწმუნებდენ კიდეც თავის თავს, რომ აქ არის შემთხვევა, გაუგებრობა, რომლის თავიდან აცილებაც შეიძლება რამდენიმე ენერგიული სიტყვითა და წერილითო. მაგრამ, რაც დრო გადიოდა, ისინი აწყდებოდენ უფრო და უფრო გარდაუვალ დაბრკოლებებს. აქედან წარმოსდგა მათი ბრმა, ჰეშმარიტად გაცოფებული სიძულვილი.

ბურჟუაზიული პოლიტიკოსები, რა თქმა უნდა, ვერ ბედავდენ ცეცხლში შესვლას. ისინი ერეკებოდენ წინ სოც.-რევ. და მენშევიკებს, რომლებმაც ჩვენთან ბრძოლაში შეიძინეს მთელი ის ენერგია, რომელიც მათ აკლდათ იმ ხანაში, როდესაც ისინი იყვნენ ნახევარ ძალა-უფლების პარტიად. მათ ორგანოებში ვრცელდებოდა უმეტესად გასაშტერებელი ბრალდებები და ცილისწამებანი. მათი სახელით გამოდიოდა პროკლამაციები, რომელშიც პირდაპირ მოუწოდებდენ ხალხს დაემსხვრიათ ახალი ხელისუფლება. ჩინოვნიკებში საბოტაჟის მოწყობა და იუნკრების მიერ სამხედრო გამოსვლების დაწყება მათივე საქმე იყო.

ოქტომბრის 27 და 28 ჩვენ კიდევ ვიღებდით განუწყვეტლივ მუქარის დეპეშებს სალაშქრო კომიტეტებისგან, ქალაქის საბჭოებისგან, ერობებისგან, „ვიკჟელისგან" (რკინისგზელთა კავშირის ხელმძღვანელ დაწესებულებისგან). ნევის პროსპექტს, დედა-ქალაქის ბურჟუაზიის მთავარ ძარღვს, თანდათან დაეტყო გამოცოცხლება. თავზარდაცემული ბურჟუაზიული ახალგაზრდობა თანდათან მოდიოდა გონს და, პრესის მიერ წაქეზებული, ეწეოდა ნევის პროსპექტზე ფართე აგიტაციას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ბურჟუაზიულ ბრბოს დახმარებით იუნკრები ჰყრიდენ იარაღს ცალკე წითელგვარდიელებს. უფრო მიყრუებულ ქუჩებში წითელგვარდიელებს და მატროსებს ხოცავდენ. იუნკრების ერთმა ჯგუფმა დაიკავა ტელეფონის სადგური, ისინივე შეეცადენ დაეკავებინათ ტელეგრაფი და ფოსტა; ბოლოს ჩვენ გვაცნობეს, რომ რომელღაც ჩვენდამი მტრულად განწყობილ ორგანიზა-

ციას ჩაეგდო ხელში სამი ჯავშნოსანი ავტომობილი. ბურჟუაზიულმა ელემენტებმა აშკარად იწყეს მოქმედება. გაზეთები სწერდა, რომ ჩვენი ხელისუფლება განიცდის უკანასკნელ საათებს. ჩვენებმა მოახერხეს რამდენიმე საიდუმლო დეპეშის დაკავება, რომლებიდან ნათლადა სჩანდა, რომ პეტროგრადის საბჭოს წინააღმდეგ შექმნილი იყო საომარი ორგანიზაცია, რომლის ცენტრშიც იდგა ე. წ. რევოლიუციის დაცვის კომიტეტი, შექმნილი ქალაქის საბჭოსა და ძველი შემადგენლობის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ. იქაც და აქაც ბატონობდენ მემარჯვენე სოც.-რევ. და მენშევიკები. ამ კომიტეტის განკარგულებაში მიდიოდენ იუნკრები, სტუდენტები და მრავალი კონტრ-რევოლიუციონერი ოფიცრები, რომლებიც ცდილობდენ შემთანხმებელთა ზურგს უკნიდან ჩაეცათ ლახვარი საბჭოებისთვის.

იუნკრების 29 ოქტომბრის ამბოხება.

კონტრ-რევოლიუციური ორგანიზაციის საყრდნობ პუნქტებს წარმოადგენდა საიუნკრო სასწავლებლები და საინჟენერო ციხე, სადაც ბლომად იყო იარაღი და ტყვია-წამალი და საიდანაც აწყობდენ ხოლმე ანაზდეულ თავდასხმას რევოლიუციურ ხელისუფლებ.ს დაწესებულებებზე.

წითელგვარდიელთა და მატროსთა რაზმები ერტყა გარს საიუნკრო სასწავლებლებს, გზავნიდენ იქ პარლამენტიორებს და უთვლიდენ დაეყარათ იარაღი. იქიდან უპასუხებდენ სროლით. მეალყეები იდგენ ერთ ადგილზე, მათ გარშემო იკრიბებოდა ხალხი და ზოგჯერ ფანჯრებ.დან გამოსროლილი ტყვიით იკრებოდენ გამვლელები. შეტაკებები იღებდა გაურკვეველ-გაჭიანურებითი ხასიათს და ეს უქადდა რევოლიუციურ რაზმებს ზნეობრივად დაძაბუნებას და დაშოადარღვევას. საჭირო იყო მიღება გადაწყვეტილი ზომებისა. იუნკრების განიარაღების საქმე დაევალა პეტრე-პავლეს სიმაგრის კომენდანტს, პრაპორშჩიკს ბ—ს. მან მჭიდროდ შემოარტყა ალყა საიუნკრო სასწავლებლებს, მიიყვანა ჯავშნოსანი ავტომობილები, არტილერია დი წინადადება მისცა იუნკრებს დანებებულიყვნენ; ფიქრისთვის მისცა მათ ათი წუთის ვადა. ფანჯრებიდან უპასუხებდენ ისევ სროლით. 10 წუთის გასვ-

ლის შემდეგ ბ—მ გასცა ბრძანება ესროლათ ზარბაზნები. პირველივე ყუმბარებმა გაანგრიეს რამდენგანმე სასწავლებლის კედლები. იუნკრები დანებდენ, თუმცა ბევრმა სცადა თავის გადარჩენა გაქცევით და გაქცევის დროს განაგრძობდენ სროლას. ჩამოვარდა გამწვავება, რომელიც მუდამ თანა სდევს სამოქალაქო ომს. მატროსები, მართალია, სასტიკად უსწორდებოდენ ცალკე იუნკრებს. ბურჟუაზიული პრესა შემდეგ სდებდა ბრალს მატროსებსა და საბჭოთა ხელისუფლებას სიმკაცრესა და სიმხეცე'ში. იგი სდუმდა მხოლოდ ერთის შესახებ: რომ 25—26 ოქტომბრის გადატრიალება მოხდა თითქმის გაუსროლელად და უმსხვერპლოდ და რომ მხოლოდ კონტრ-რევოლიუციურმა შეთქმულობამ, მოწყობილმა ბურჟუაზიის მიერ, რომელმაც შეაგდო ამ უკანასკნელის ახალთაობა სამოქალაქო ომის ცეცხლში მუშებისა, ჯარის-კაცებისა და მატროსების წინააღმდეგ, გამოიწვია ეს აუცილებელი სისასტიკე და მსხვერპლის გაღება. 29 ოქტომბრის დღემ მოახდინა ძირითადი გარდატეხა პეტროგრადის მცხოვრებთა განწყობილებაში. ამბებმა უფრო ტრაღიკული ხასიათი მიიღო. ამასთანავე ჩვენმა მტრებმა შეიგნეს, რომ საქმე უფრო სერიოზულად არის, ვიდრე მათ ეგონათ, და რომ საბჭო სრულიადაც არ ფიქრობს მის მიერ მოპოვებულ ძალა-უფლების დათმობას კაპიტალისტური გაზეთებისა და იუნკრების მოთხოვნით.

გაწმენდა პეტროგრადისა კონტრ-რევოლიუციის კერათაგან სწარმოებდა ენერგიულად. იუნკრები თითქმის საღსებით განვაიარაღეთ, ამბოხების მონაწილენი დავაპატიმრეთ, მათგან ზოგი დავამწყვდიეთ პეტრე-პავლეს ციხეში, ზოგი გავგზავნეთ კრონშტადტში. გაზეთები, რომლებიც აშკარად მოუწოდებდენ ამბოხებისაკენ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, დახურულ იქნა. გაცემულ იქნა განკარგულება წინანდელ საბჭოთა პარტიების ბელადების დაპატიმრების შესახებ, რომელთაც ქონდათ მოწერილი ხელი დაკავებულ კონტრ-რევოლიუციურ ბრძანებებზე. საბრძოლო წინააღმდეგობა დედა-ქალაქში საბოლოოდ მოსპობილ იქნა.

ახლა ჩვენ გვმართებდა წარმოება ხანგრძლივი და დამჭანცველი ბრძოლისა ჩინოვნიკების, ტეხნიკოსების, მოსამსახურეებისა და სხვ. იტალიურ გაფიცვასთან. ეს ელემენტები,

რომელიც თავისი შრომის პირობების მიხედვით უმეტეს ნაწილად ეკუთვნის ჩაგრულ კლასებს, არსებობის პირობებითა და ფსიქოლოგიით ბურჟუაზიულ საზოგადოებას ენათესავება. ისინი პატიოსნად და სინდისიერად ემსახურებოდენ სახელმწიფოს და მის დაწესებულებებს, როდესაც სახელმწიფოს სათავეში ედგა ცარიზმი. ისინი განაგრძობდენ სამსახურს, როდესაც ძალა-უფლება გადავიდა იმპერიალისტური ბურჟუაზიის ხელში. რევოლიუციის შემდეგ პერიოდში ისინი გადავიდენ მემკვიდრეობად თავისი ცოდნითა და დახელოვნებით კოალიციური ხელისუფლების ხელში. მაგრამ, როდესაც მეამბოხე მუშებმა, ჯარის-კაცებმა და გლეხებმა გამოაცალეს ხელიდან ძალა-უფლება ექსპლოატატორთა კლასებს და შეეცადენ აეღოთ გამგებლობა საქმეებისა საკუთარ ხელში, მაშინ ჩინოვნიკები და მოსამსახურეები დადგენ ყალყზე და გადაწყვეტით უთხრეს უარი ახალ ხელისუფლებას ყოველგვარ დახმარებაზე. რაც დრო გადიოდა, მით უფრო ფართოვდებოდა ეს საბოტაჟი, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ უმეტეს ნაწილად სოც.-რევ. და მენშევიკები და რომელიც საზრდოობდა ბანკებისა და მოკავშირეთა მიერ გაღებული ფინანსიური საშუალებებით.

კერენსკის გალაშქრება პეტროგრადზე.

რამდენადაც უფრო მტკიცედ იდგა პეტროგრადში საბჭოთა ხელისუფლება, მით უფრო მეტად გადაქონდა თავისი იმედები ბურჟუაზიულ ჯგუფებს სამხედრო დახმარებაზე გარედან. პეტროგრადის დეპეშათა სააგენტო, რკინის გზის ტელეგრაფი, ცარსკოე სელოს რადიო-სადგური იუწყებოდენ ყოველ წამს, რომ პეტროგრადისკენ მოდის უამრავი სამხედრო ძალა მეამბოხეთა დასამორჩილებლად და წესრიგის დასამყარებლად. კერენსკი გაიქცა ფრონტზე, და ბურჟუაზიული გაზეთები იუწყებოდენ, რომ მას მოყავს იქიდან ბოლშევიკების წინააღმდეგ ურიცხვი ჯარებიო. ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით დანარჩენი ქვეყნისგან, ტელეგრაფი ჩვენ არ გვემსახურებოდა. მაგრამ ჯარის-კაცები, რომლებიც ათობითა და ასობით მოდიოდენ ყოველდღე დავალებებით თავისი პოლკებიდან, დივიზიებიდან, კორპუსებიდან, გვეუბნებოდენ ერთსა და იმა-

ვეს: „ნუ გეშინიათ ფრონტის, იგი მთლად თქვენს მხარეზეა, გაეცით მხოლოდ განკარგულება—და ჩვენ გამოგიგზავნით დასახმარებლად თუნდ დღესვე დივიზიას, გინდ კორპუსსო." ლაშქარში იყო იგივე, რაც ყველგან: ქვედა ფენები იყო ჩვენს მხარეზე, ზედა—ჩვენს წინააღმდეგ. სამხედრო-ტექნიკური აპარატი იყო ამ ზედა ფენების ხელში. მრავალ-მილიონიანი ლაშქრის ცალკე ნაწილები იყო განცალკევებული ერთიმეორისგან. ჩვენ ვიყავით მოწყვეტილი ლაშქრისა და მთელი ქვეყნისაგან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამბავი პეტროგრადში საბჭოთა ხელისუფლების შექმნისა და მისი დეკრეტების შესახებ შეუჩერებლად ედებოდა მთელ სახელმწიფოს და იწვევდა საბჭოებს ამხედრებულიყვნენ ძველი ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამბებმა კერენსკის მოძრაობის შესახებ პეტროგრადისკენ რომელიღაც ჯარებით მალე მიიღო უფრო მკაფიო, გარკვეული მოხაზულობა. ცარსკოე სელოდან ჩვენ ვეატყობინებდენ, რომ ლუგადან მივიდენ იქ კაზაკთა ეშელონები. პეტროგრადში გავრცელდა მოწოდება, ხელმოწერილი კერენსკისა და გენერალ კრასნოვის მიერ, რომელიც მოუწოდებდა მთელ გარნიზონს შეერთებოდა მთავრობის ჯარებს, რომლებიც, მოწოდების სიტყვით, რამდენიმე საათის შემდეგ უნდა შემოსულიყვნენ პეტროგრადში. იუნკრების 29 ოქტომბრის აჯანყება, უეჭველია, დაკავშირებული იყო კერენსკის წამოწყებასთან. მაგრამ მან ძლიერ ადრე გამოხეთქა გზირედ, ჩვენის მხრით გადაწყვეტილ მოქმედების გამო. ცარსკოე სელოს გარნიზონს ებრძანა: მოეთხოვა მოსულ კაზაკთა ნაწილებისგან ცნობა საბჭოთა ხელისუფლებისა და, თუ უარს იტყოდენ,—განეიარაღებინა იგინი. მაგრამ ცარსკოე სელოს გარნიზონი მოუწყობელი აღმოჩნდა სამხედრო ოპერაციებისთვის. მას არ ჰქონდა არტილერია და არც ხელმძღვანელები ყავდა: ოფიცრობა მჭიდროდ იყო განწყობილი საბჭოთა ხელისუფლებისადმი. კაზაკებმა იგდეს ხელთ ცარსკოე სელოს რადიო-ტელეგრაფის სადგური, ყველაზე უძლიერესი მთელ სახელმწიფოში და მოიწევდენ წინ. პეტერგოფის, კრასნოე სელოსა და გატჩინოს გარნიზონები არ იჩენდენ არც ინიციატივას, არც გამბედაობას.

თითქმის უსისხლო გამარჯვების შემდეგ პეტროგრადში,

ჯარის-კაცებს შეექმნათ ისეთი რწმენა, რომ საქმე წავიდოდა წინ ასეთივე გზით: მათი აზრით საკმარისი იყო გაგზავნა კაზაკებთან აგიტატორისა, რომელიც აუხსნიდა მათ მუშათა რევოლიუციის მიზნებს, და ისინიც დაყრიდენ იარაღს. სიტყვებითა და დაძმობილებით ძლეულ იქნა კორნილოვის კონტრ-რევოლიუციური ამბოხება. აგიტაციისა და დაწესებულებათა მიზანშეწონილად—უომრად—დაპყრობის საშუალებით დამხობილ იქნა კერენსკის მთავრობა. ასეთსავე მეთოდებს ხმარობდენ ცარსკოე სელოს, კრასნოე სელოსა და გატჩინოს საბჭოების ხელმძღვანელნი გენერალი კრასნოვის კაზაკების წინააღმდეგ. მაგრამ უშედეგოდ. კაზაკები თანდათან მოიწევდენ წინ, თუმცა კი არა-დიდი ხალისითა და ენტუზიაზმით. ცალკე რაზმებს, რომელიც მოდიოდა გატჩინოსკენ, კრასნოე სელოსკენ, უხდებოდათ შეტაკება ადგილობრივი გარნიზონების მცირე-რიცხვოვან რაზმებთან, იგინი ზოგჯერ განაიარაღებდენ ხოლმე ამ უკანასკნელებს. კერენსკის რაზმების რიცხვის შესახებ ჩვენ პირველად არ გვქონდა არავითარი წარმოდგენა. ზოგი ამბობდა, რომ გენერალ კრასნოვს მოყავს ათი ათასი კაცი, ზოგი კი ამბობდა, რომ არა უმეტეს ათასისა, ბოლოს, ჩვენდამი მტრულად განწყობილმა გაზეთებმა და მოწოდებებმა ვერშოკიანი ასობით ამცნო ქვეყანას, რომ ცარსკოე სელოსთან ორი კორპუსი დგასო.

პეტროგრადის გარნიზონსაც აგრეთვე დაეუფლა უნდობლობა თავის თავისადმი; ის ის იყო მოვიპოვეთ უსისხლო გამარჯვება და ახლა საჭირო ხდებოდა ბრძოლა მტრის წინააღმდეგ, რომლის რიცხვიც არ ვიცოდით და არ ვიცოდით აგრეთვე, რით დასრულდებოდა ეს ბრძოლა. გარნიზონის თათბირზე ლაპარაკობდენ ხოლმე უმთავრესად ახალი და ახალი აგიტატორების გაგზავნისა და კაზაკებისადმი მოწოდებების გამოშვების აუცილებლობის შესახებ: ჯარის-კაცებს მიაჩნდათ შეუძლებლად, რომ კაზაკებს ეთქვათ უარი იმ თვალსაზრისის მიღებაზე, რომელსაც იცავდა თავის ბრძოლაში პეტროგრადის გარნიზონი. ამასობაში კი კაზაკების მოწინავე ჯგუფები ძლიერ დაუახლოვდა პეტროგრადს და, ჩვენც გვეგონა, რომ უმთავრესი ბრძოლა მოხდებოდა ქალაქის ქუჩებში.

უდიდესი გამბედაობა გამოიჩინეს წითელგვარდიელებმა. ისინი მოითხოვდენ იარაღს, ტყვია-წამალს, ხელმძღვანელობას.

მაგრამ სამხედრო აპარატში ყველაფერი არეულ-დარეული და დაშლილი იყო, ნაწილად—დაცალიერებისაგან, ნაწილად—ბოროტგანზრახვით. ოფიცრები ჩამოშორდენ, ბევრი მათგანი გაიქცა, თოფები იყო ერთ ადგილზე, ტყვიები—მეორეზე. უფრო ცუდ მდგომარეობაში იყო არტილერიის საქმე. ზარბაზნები, ლაფეტები, ყუმბარები—ყველაფერი ეს სხვა და სხვა ადგილზე იყო და საჭირო იყო მათი აღალბედზე ძებნა. პოლკებს არ აღმოაჩნდათ არც სასაგრე ხელსაწყო, არც საველე ტელეფონები. რევოლიუციური შტაბი, რომელიც ცდილობდა მოეწესრიგებინა ყველაფერი ზევიდან, ყოველ ნაბიჯზე აწყდებოდა გაურკვეველ დაბრკოლებებს, ეწინარეს ყოვლისა საბოტაჟს სამხედრო-ტექნიკური პერსონალის მხრით.

მაშინ ჩვენ გადავწყვიტეთ მიგვემართა უშუალოდ მუშათა მასებისთვის. ჩვენ ავუხსენით მათ, რომ რევოლიუციის მოწინააღმდეგენი დიდ საფრთხეშია და რომ მათგან, მათი ენერგიისა, ინიციატივისა და თავდადებისაგან არის დამოკიდებული ხსნა და განმტკიცება მუშათა და გლეხთა ხელისუფლებისა. ეს მიმართვა თითქმის იმ წამსვე დაგვირგვინდა უდიდესი პრაქტიკული წარმატებით. ათასობით გაემართენ მუშები იქით კენ, საითაც იყო კერენსკის ჯარები, და იწყეს სანგრების თხრა. ზარბაზნის ქარხნების მუშები ამზადებდენ და მართავდენ ზარბაზნებს, თვითვე შოულობდენ მათთვის საწყობებში ყუმბარებს, შოულობდენ ცხენებს, მიჰქონდათ ზარბაზნები პოზიციებზე, დგამდენ მათ იქ საჭიროებისამებრ, აწყობდენ საინტენდანტო ნაწილს, შოულობდენ ბენზინს, მოტორებს, ავტომობილებს, ართმევდენ რეკვიზიციის წესით სურსათ-სანოვაგეს, დააყენეს ფეხზე სანიტარული ნაწილი,—ერთი სიტყვით, შექმნეს მთელი ის საომარი აპარატი, რომლის შექმნასაც ამაოდ ცდილობდით ჩვენ ზემოდან, რევოლიუციური შტაბიდან.

როდესაც პოზიციებზე გამოჩნდა ათეული ზარბაზნები, ჩვენი ჯარის-კაცების განწყობილება უცებ შეიცვალა: არტილერიის დახმარებით ისინი მზად იყვნენ დაბეჯდროდნენ ღირსეულად კაზაკების შეტევას. თხრილების პირველი ხაზები ეჭირათ მატროსებსა და წითელგვარდიელებს. რამდენიმე ოფიცერი, პოლიტიკურად უცხო ჩვენთვის, მაგრამ პატიოსნად

დაკავშირებული თავის პოლკებთან, გაყვნენ თავის ჯარისკაცებს პოზიციებზე და ხელმძღვანელობდენ მათ მოქმედებას კრასნოვის კაზაკების წინააღმდეგ.

კერენსკის ავანტიურის დამსხვრევა.

ამავე დროს კი დეპეშებს გაჭონდათ მთელ სახელმწიფოში და საზღვარგარედ ცნობა, რომ ბოლშევიკების „ავანტიურას“ მოელო ბოლო, რომ კერენსკი შევიდა პეტროგრადში და რკინის ხელით აჩყარებს იქ წესრიგსო. მეორე მხრით, თვით პეტროგრადში ბურჟუაზიული პრესა, გულმოცემული კერენსკის ჯარების სიახლოვით, სწერდა პეტროგრადის გარნიზონის სრული გახრწნის შესახებ, კაზაკების შეუკავებელ შეტევაზე, რომლებსაც ყავდათ ვითომ დიდძალი არტილერია, და უწინასწარმეტყველებდა სმოლნს დალუპვას. უმთავრეს სიძნელეს წარმოადგენდა ჩვენთვის, როგორც უკვე იყო ნათქვამი, მოწყობილი ტეხნიკური აპარატის უქონლობა და არ ყოლია ადამიანებისა, რომლებსაც შეეძლებოდათ სამხედრო მოქმედების ხელმძღვანელობა. თვით ის ოფიცრებიც, რომლებიც კეთილსინდისიერად გაყვნენ თავის ჯარისკაცებს პოზიციებზე, აცხადებდენ უარს მთავარ-სარდლის ადგილის ალებაზე.

ხანგრძლივი ძებნის შემდეგ ჩვენ შევჩერდით ასეთ კომბინაციაზე. გარნიზონის კრებამ აირჩია კომისია ხუთი კაცისგან, რომელსაც დაევალა უმაღლესი ხელმძღვანელობა პეტროგრადზე მომავალ კონტრ-რევოლიუციური ჯარების წინააღმდეგ წარმოებულ ყველა ოპერაციებისა. ეს კომისია შეუთანხმდა შემდეგ გენერალური შტაბის პოლკოვნიკს მურავიოვს, რომელიც იყო ოპოზიციაში კერენსკის რეჟიმის დროს, და ახლა თვით მიმართა საბჭოთა მთავრობას დახმარების წინადადებით.

მურავიოვთან ერთად წავედით ჩვენ ავტომობილით პოზიციებზე 30 მარტის ცივი ღამით. გზაზე გაჩიმული იყო ურმები სურსათ-სანოვაგით, თივით, ტყვია-წამლით. ყველაფერის გააკეთეს სხვა და სხვა ჭარხნების მუშებმა. წითელგვარდიელთა სადარაჯოებმა რამდენჯერმე გაგვაჩერეს გზაში და გასინჯეს ჩვენი მოწმობები. ოქტომბრის რევოლიუციის პირვე-

ლი დღეებიდანვე ყველა ავტომობილები ჩამორთმეულ იქნა რეკვიზიციის წესით და სმოლნიდან მოწმობის უქონლად არც ერთ ავტომობილს არ შეეძლო გაევლო ქუჩებში, ან ქალაქის მიდამოებში. წითელგვარდიელთა სიფხიზლე სამაგალითო იყო. ისინი იდგენ მბეჟუტავ ცეცხლის გარშემო საათობით თოფებით ხელში და სანახაობა ამ ახალგაზრდა შეიარაღებული მუშებისა ცეცხლთან თოვლზე იყო საუკეთესო სიმბოლო პროლეტარული რევოლიუციისა.

პოზიციებზე მრავლად იყო ზარბაზნები, არ იყო ყუმბარების ნაკლებობაც. გადამწყვეტი შეტაკება მოხდა სწორედ ამ დღეს კრასნოე სელოსა და ცარსკოე სელოს შუა. სასტიკ საარტილერიო ბრძოლის შემდეგ კაზაკებმა, რომლებიც იწევდენ წინ იქამდე, ვიდრე შეხვდებოდენ დაბრკოლებას, სწრაფად დაიხიეს უკან. მათ ატყუებდენ, უამბობდენ ბოლშევიკების სისასტიკესა და სიმხეცეზე, ეუბნებოდენ, რომ ბოლშევიკებს უნდათ მიყიდონ რუსეთი გერმანიის კაიზერსო. ისინი დაარწმუნეს, რომ პეტროგრადის მთელი გარნიზონი მოელის მათ მოუთმენლად, როგორც მხსნელებს. პირველმა სერიოზულმა წინააღმდეგობამ დაშალა მათი რიგები და გაანუმზადა დამარცხება კერენსკის მთელ წამოწყებას. კრასნოვის კაზაკების უკან დახევამ მოგვცა ჩვენ შესაძლებლობა ჩაგვეგდო ხელში ცარსკოე სელოს რადიოსადგური. ჩვენ მაშინვე გავგზავნეთ რადიო ჩვენი გამარჯვების შესახებ *).

---

*) მოგვყავს აქ რადიო დეპეშის ტექსტი:
სოფ. პულკოვო. შტაბი. ნაშუადამევის 2 საათი 10 წუთი.
30 ოქტომბრის ღამე შევა ისტორიაში. კერენსკის ცდა — დაეძრა კონტრ-რევოლიუციური ძალები რევოლიუციის დედა-ქალაქის წინააღმდეგ — დასრულდა დამარცხებით. კერენსკი იხევს უკან, ჩვენ ვიწევთ წინ, პეტროგრადის ჯარის-კაცებმა, მატროსებმა და მუშებმა აჩვენეს მთელ ქვეყანას, რომ იციან და უნდათ კიდეც იარაღით ხელში განამტკიცონ მუშათა დემოკრატიის ნება და ძალა-უფლება. ბურჟუაზია ცდილობდა გაეცალკევებინა რევოლიუციის ლაშქარი, კერენსკი შეეცადა დაემარცხებინა იგი კაზაკების დახმარებით. ერთმაც და მეორემაც განიცადა საშინელი დამარცხება.
მუშათა და გლეხთა დემოკრატიის ბატონობის დიადმა იდეამ შეაკავშირა მჭიდროდ ლაშქრის რიგები და გამობრძმედა მისი ნებისყოფა. მთელი სახელმწიფო ამიერიდან დარწმუნდება, რომ საბჭოთა მთავრობა — არა წარმავალი მოვლენაა, არამედ ურყევი ფაქტია მუშათა, ჯარის-კაცთა და გლეხთა ბატონობისა. კერენსკის უკუ-

ჩვენმა უცხოელმა ამხანაგებმა შეგვატყობინეს შემდეგ, რომ გერმანიის რადიო-ტელეგრაფის სადგურმა, მაღლიდან ბრძანების თანახმად, არ მიიღო ეს რადიო-დეპეშა.

პირველი რეაქცია გერმანიის ხელისუფლებისა ოქტომბრის ამბებზე გამოიხატა, ამგვარად, შიშში, რომ ამ ამბებს არ გამოეწვიათ მოძრაობა თვით გერმანიაში. ავსტრია-ჰუნგრეთში კი მიიღეს ნაწილი ჩვენი დეპეშისა და, რამდენადაც ჩვენ ვიცით, იქიდან გაიგო დანარჩენმა ევროპამ ის ამბავი, რომ ბედკრული ცდა კერენსკისა—დაებრუნებინა ძალა-უფლება—დამთავრდა სრული დამარცხებით.

კრასნოვის კაზაკებს შორისაც დაიწყო მღელვარება. მათ იწყეს გაგზავნა თავისი მზვერავებისა პეტროგრადში და თავისი ოფიციალური დელეგატებისაც კი სმოლნოში. მათ იქ ქონდათ შეძლება დარწმუნებულიყვნენ, რომ დედა-ქალაქში მეფობს სრული წესრიგი, რომელსაც იცავს საბჭოთა ხელისუფლების მომხრე გარნიზონი. გახარწნამ კაზაკების შორის მიიღო მით უფრო მწვავე ხასიათი, რომ მათთვის ცხადი იყო მთელი უაზრობა პეტროგრადის აღების ცდისა რაღაც ათასიოდე ცხენოსანის დახმარებით,—დაპირებული დამხმარე ძალები ფრონტიდან სრულიად არ მოდიოდა...

კრასნოვის რაზმმა დაიხია გატჩინოსკენ და, როდესაც ჩვენ მეორე დღეს წავედით იქ, კრასნოვის შტაბი, არსებითად, უკვე დატყვევებულ ყავდათ თვით კაზაკებს. ჩვენს

გდება არის უკუგდება მემამულეებისა, ბურჟუაზიისა, კორნილოველებისა. კერენსკის უკუგდება არის განმტკიცება ხალხის უფლებისა მშვიდობიან თავისუფალ ცხოვრებაზე, მიწაზე, პურზე და ძალა-უფლებაზე. პულკოვის რაზმი თავისი სახელოვანი გამარჯვებით ამტკიცებს მუშათა და გლეხთა რევოლიუციის საქმეს. წარსულისკენ დაბრუნება შეუძლებელია. წინ ჯერ კიდევ ბრძოლაა, დაბრკოლებანი და მსხვერპლები, მაგრამ გზა ხსნილია და გამარჯვებაც უზრუნველყოფილი.

რევოლიუციურ რუსეთსა და საბჭოთა მთავრობას შეუძლია იამაყოს თავისი პულკოვის რაზმით, რომელსაც სარდლობს პოლკოვნიკი ვალდენი. საუკუნო ხსენება დახოცილთ! დიდება რევოლიუციის მებრძოლთ, ჯარისკაცებსა და ხალხის ერთგულ ოფიცრებს!

გაუმარჯოს რევოლიუციურ, სახალხო, სოციალისტურ რუსეთს!

სახალხო კომისართა საბჭოს სახელით ლ. ტროცკი.

1917 წ. ოქტომბრის 31.

გატჩინის გარნიზონს ეკავა ყველა უმთავრესი პოზიციები. კაზაკები კი თუმცა არ იყვნენ ჯერ განიარაღებულნი, მაგრამ თავისი მდგომარეობით სრულიად უვარგისი იყვნენ-შემდეგი წინააღმდეგობისთვის, მათ უნდოდათ მხოლოდ ერთი რამ,—რაც შეიძლება მალე გაეგზავნათ ისინი დონისკენ, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ფრონტზე.

გატჩინას სასახლე წარმოადგენდა თავისით საინტერესო სანახაობას. ყველა შესავალთან იდგა გაძლიერებული ყარაულები. ჰისკართან—არტილერია, ჯავშნოსანი ავტომობილები. სასახლის დარბაზებში, ძვირფასი მხატვრობით მორთულებში, მოთავსებული იყვნენ მატროსები, ჯარის-კაცები, წითელგვარდიელები. ძვირფასი ხის მაგიდებზე ეწყო ჯარის-კაცთა ტანისამოსი, ჩიბუხები, სარდინების კოლოფები. ერთერთ ოთახში მოთავსებული იყო გენერალი კრასნოვის შტაბი. იატაკზე ელაგა დოშაკები, ქუდები, ფარაჯები. ჩვენი თანმხლები წარმომადგენელი სამხედრო-სარევოლიუციო კომიტეტისა შევიდა შტაბის ოთახში, ბრახუნით დაუშვა ძირს თოფი, დაეყუდა ზედ და განაცხადა: „გენერალო კრასნოვო, თქვენ და თქვენი შტაბი დაპატიმრებული ხართ საბჭოთა ხელისუფლების მიერ". ორივე კართან დაუყოვნებლივ მოთავსდენ შეიარაღებული წითელგვარდიელები. კერენსკი აღარ იყო: ის ხელახლა გაქცეულიყო, როგორც წინად ზამთრის სასახლიდან. ამ გაქცევის გარემოების შესახებ გენერალმა კრასნოვმა მისცა შემდეგი წერილობითი ჩვენება, რომელიც მას ჩამოართვეს პირველ ნოემბერს. ჩვენ მოგვყავს აქ მთლად ეს საინტერესო საბუთი.

„1917 წელი, 1 ნოემბერი, 19 საათი.

დღეს, დაახლოებით 15 საათზე, დამიბარა თავისთან უმაღლესმა მთავარ-სარდალმა (კერენსკიმ). ის ძლიერ აღელვებული იყო.

— გენერალო,—მითხრა მან,—თქვენ მე მიღალატეთ... აქ თქვენი კაზაკები პირდაპირ ამბობენ, რომ დაპატიმრებენ და მიმცემენ მატროსებს...

— ჰო,—ვუპასუხე მე,—ამის შესახებ ლაპარაკობენ და მე ვიცი, რომ თქვენ არსად არ თანაგიგრძნობენ.

— მაგრამ ოფიცრებიც ამასვე ამბობენ.

— ჰო, ოფიცრები განსაკუთრებით უკმაყოფილონი არიან თქვენით.

— მაშ, რა უნდა ვქნა? თავის მოკვლის მეტი აღარაფერი დამრჩენია.

— თუ თქვენ პატიოსანი კაცი ხართ, თქვენ წახვალთ ახლა პეტროგრადში თეთრი დროშით და გამოცხადებით რევოლიუციურ კომიტეტში, რომელსაც მოელაპარაკებით, როგორც მთავრობის თავმჯდომარე.

— კარგი, მე ეგრე მოვიქცევი.

— მე თქვენ გაგატანთ მცველებს და ვითხოვ, რომ თქვენ გამოგყვეთ მატროსი.

—არა, ოღონდ მატროსი ნუ იქნება. თქვენ იცით, რომ დიბენკო აქ არის?

— არ ვიცი, ვინ არის დიბენკო.

— ეს ჩემი მტერია.

— რა ვუყოთ. რადგანაც ასეთ დიდ თამაშს აწარმოებთ, პასუხის მიცემაც უნდა იცოდეთ.

— კი, მხოლოდ ღამით წავალ.

— რათა? ეს გაქცევა იქნება. წადით წყნარად და ცხადად, რომ ყველამ დაგინახოს, რომ არ გრცხვენიათ.

— კარგი, ეგრე ვიზამ. მხოლოდ მომეცით საიმედო მცველები.

— კარგი.

მე წავედი, გამოვიძახე კაზაკი დონის კაზაკთა მე-10-ე პოლკისა რუსსკოვი და ვუბრძანე დაენიშნა 8 კაზაკი უმაღლესი მთავარ-სარდლის მცველებად.

ნახევარი საათის შემდეგ მოვიდენ კაზაკები და მითხრეს, რომ კერენსკი აღარ არის, გაქცეულაო; მე გავეცი ბრძანება მოეძებნათ ის უთუოდ; ვფიქრობ, რომ მას არ შეეძლო წასვლა გატჩინადან და იმალება სადმე აქვე.

III კორპუსის უფროსი გენერალ-მაიორი კრასნოვი.

ასე დასრულდა ეს წამოწყება.

ჩვენი მოწინააღმდეგენი, მიუხედავად ამისა, არ ცხრებოდენ და არ თანხმდებოდენ ეცნოთ, რომ საკითხი ძალა-უფლების შესახებ გადაწყვეტილია. მათ კიდევ ფრონტის იმედი ჰქონდათ. ყოფილ საბჭოთა პარტიების ლიდერები--ჩერნოვი, წერეთელი, ავქსენტიევი, გოცი და სხვები—მიემგზავრებოდენ

ფრონტისკენ, აწარმოებდენ იქ მოლაპარაკებას ძველ სალაშქრო კომიტეტებთან, იკრიბებოდენ დუხონინის შტაბში, აქვეზებდენ მას წინააღმდეგობისთვის და, როგორც იუწყებოდა გაზეთები, ახალი მთავრობის მოწყობასაც კი შეუდგენ მთავარსარდლის შტაბში. ყველა ამაებიდან არაფერი არ გამოვიდა. ძველმა სალაშქრო კომიტეტებმა დაკარგა ყოველივე მნიშვნელობა და ფრონტზე სწარმოებდა ინტენსიური მუშაობა კონფერენციებისა და ყრილობების მოწვევისთვის, რომელთა ამოცანასაც შეადგენდა ხელახალი არჩევნები ყველა საფრონტო ორგანიზაციისა. ამ ხელახალ არჩევნებში საბჭოთა ხელისუფლება იმარჯვებდა ყველგან.

გატჩინიდან ჩვენი რაზმები მიიწევდენ რკინის გზით ლუგასა და პსკოვისკენ. მათ შეეგება კიდევ რამდენიმე მატარებელი „შემტევებითა“ და კაზაკებით, რომლებიც გამოეწვია კერენსკის, ან გამოეგზავნათ ცალკე გენერლებს. ერთერთ ეშელონთან ჩვენ რაზმს შეტაკებაც კი მოუხდა. მაგრამ უმრავლესობა ჯარის-კაცებისა, რომლებიც მიემართებოდენ პეტროგრადისკენ, პირველ შეხვედრისთანავე საბჭოთა ჯარების წარმომადგენლებთან აცხადებდენ, რომ ისინი მოატყუეს და რომ ისინი არა დროს არ აიღებენ ხელს მუშათა და ჯარის-კაცთა მთავრობის წინააღმდეგ.

შინაგანი უთანხმოებანი.

ამასობაში ბრძოლა საბჭოთა ძალაუფლებისათვის ედებოდა მთელ სახელმწიფოს. მოსკოვში ბრძოლა მეტად გაჭიანურდა და სისხლიანი ხასიათი მიიღო. ამის უმთავრესი მიზეზი, შესაძლებელია, ის ფაქტი იყო, რომ ამბოხების ხელმძღვანელებმა არ დაიწყეს შეტევა აუცილებელი გამბედაობითა და გადაწყვეტით. სამოქალაქო ომში უმეტესად, ვიდრე სხვა რომელიმეში, გამარჯვება შეიძლება იქნეს უზრუნველყოფილი მხოლოდ გადაწყვეტილი და შეუჩერებელი შეტევით. რყევა—დაუშვებელია, მოლაპარაკების წარმოება—საშიშია, ერთ ადგილზე დგომა და მოლოდინი—დამღუპველია. საქმე გვაქვს აქ ხალხთა მასებთან, რომელსაც არა დროს არ ქონია ხელში ძალა-უფლება, რომელიც იმყოფებოდა ყოველთვის მეორე

კლასის უღლის ქვეშ და რომელსაც ყველაზე მეტად აკლია ამიტომ პოლიტიკური გამბედაობა. რუეგა რევოლიუციის ხელმძღვანელ ცენტრში ხელადვე ხრწნის მას. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რევოლიუციური პარტია მტკიცედ, შეურყევლად მიდის თავის მიზნისკენ, შეუძლია მას დაეხმაროს მშრომელთა—სძლიონ საუკუნეობით შეთვისებული ინსტინქტები მონობისა და მოუპოვოს მუშათა კლასს გამარჯვება. და მხოლოდ გადაწყვეტილი შეტევის საშუალებით შეიძლება იქნეს მიღწეული გამარჯვება მსხვერპლთა და ძალთა უფრო მცირე დახარჯვით.

მაგრამ მთელი სიძნელე სწორედ გადაწყვეტილი და მტკიცე ტაქტიკის მიღწევაში მდგომარეობს. რომ მასსა არ არის დარწმუნებული თავის საკუთარ ძალებში, რომ მას არ აქვს გამოცდილება ძალა-უფლებისა, ეს დაეტყობა ხოლმე ბელადებსაც, რომლებიც თავის მხრით, გარდა ამისა, იმყოფებიან ბურჟუაზიული საზოგადოებრივი აზრის ძლიერი ზეგავლენის ქვეშ.

ლიბერალური ბურჟუაზია სიძულვილითა და გესლით ეგებებოდა ხოლმე მშრომელთა მასების ბატონობის დამყარების თვით შესაძლებლობის აზრსაც კი. იგი გამოხატავდა ამ თავის გრძნობებს ყველა იმ ურიცხვი ორგანოების საშუალებით, რომელიც არის მის განკარგულებაში. მას მსდევდა ინტელიგენცია, რომელიც მიუხედავად მთელი თავისი სიტყვითი რადიკალიზმისა და თავისი მსოფლმხედველობის სოციალისტურობისა, თავის შეგნების სიღრმეში მთლად გამსჭვალულია მონუსა, მონური თაყვანისცემით ბურჟუაზიის ძლიერებისა და მისი სახელმწიფოებრივი ხელოვნებისადმი. მთელი ეს „სოციალისტური“ ინტელიგენცია გადავარდა მარჯვნით და უცქეროდა საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც იკიდებდა ფეხს, როგორც დასაწყისის დასაწყისს. „თავისუფალი“ პროფესიების წარმომადგენლებს მოსდევდა ჩინოვნიკობა, ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალი, ყველა ის ელემენტები, რომლებიც სულიერადაც და ნივთიერადაც ცხოვრობენ ბურჟუაზიის ნასუფრალით. ამ ფენების ოპოზიციას ქონდა უმეტეს ნაწილად პასიური ხასიათი, განსაკუთრებით იუნკრების ამბოხების დამსხვრევის შემდეგ, მაგრამ მით უმეტეს ძნელი იყო მისი დაძლევა. ჩვენ ყოველ ნაბიჯზე უარს გვეუბნებოდენ დახმარებაზე. ჩინოვნი-

კები ან მიდიოდენ სამინისტროდან, ან, თუ რჩებოდენ იქ, უარს ამბობდენ მუშაობაზე. ისინი არ გვაბარებდენ არც საქმეებს, არც ფულის თანხებს. ტელეფონის სადგურზე ჩვენ არ გვაერთებდენ. ტელეგრაფში ამახინჯებდენ, ან სულაც აჩერებდენ ჩვენს დეპეშებს. ჩვენ ვერ ვპოულობდით მთარგმნელებს, სტენოგრაფებს, გადამწერლებსაც კი. ყველა ამას არ შეეძლო არ შეექმნა ისეთი ატმოსფერა, რომელშიც ჩვენი საკუთარი პარტიის ზედა წრეების ცალკე ელემენტებს უნდა შეპაროდათ ეჭვი იმაში, მოახერხებენ თუ არა მშრომელთა მასები ბურჟუაზიული საზოგადოების ასეთი წინააღმდეგობის დროს სახელმწიფო აპარატის მოწყობას და ძალა-უფლების შენარჩუნებას. გაისმა ხმები შეთანხმების აუცილებლობის შესახებ. ვისთან? ლიბერალურ ბურჟუაზიასთან? მაგრამ კოალიციის ცდამ გადააგდო რევოლიუცია სამინელ ხევში. ოქტომბრის 25 ამბოხება წარმოადგენდა თავისით ხალხთა მასების თავდაცვის აქტს კოალიციური ხელისუფლების უძლურებისა და მოღალატეობის პერიოდის შემდეგ. რჩებოდა კოალიცია ეგრეთ წოდებული რევოლიუციური დემოკრატიისა, ე. ი. ყველა საბჭოთა პარტიების, წრეებში. ასეთი კოალიციის წინადადებით ჩვენ, არსებითად, მივმართეთ უკვე ამ პარტიებს სრულიად რუსეთის საბჭოთა მეორე ყრილობის სხდომაზე, ოქტომბრის 25. კერენსკის მთავრობა ჩამოგდებულ იქნა, ჩვენ მივმართეთ საბჭოთა ყრილობას წინადადებით—აღმოთ ხელში ძალა-უფლება. მაგრამ მემარჯვენე პარტიები წავიდენ და გაირახუნეს კარი. და ეს უკეთესი იყო ყველა იმაზე, რის გაკეთებაც კი მათ შეეძლოთ. ისინი წარმოადგენდენ თავისით ყრილობის უმცირეს სექტორს. მათ უკვე აღარ მისდევდა მასები, ხოლო ის წრეები, რომელიც ჯერ კიდევ ინერციით უჭერდა მათ მხარს, თანდათან გადმოდიოდა ჩვენს მხარეზე. კოალიციას მემარჯვენე სოც.-რევ. და მენშევიკებთან არ შეეძლებოდა გაეფართოვებინა საბჭოთა ხელისუფლების სოციალური საფუძველი; ამავე დროს იგი შეიყვანდა ამ ხელისუფლების შემადგენლობაში ელემენტებს, მთლად გაჟღენთილს პოლიტიკური სკეპტიციზმის და კერპთაყვანისმცემლობით ლიბერალური ბურჟუაზიის წინაშე. ახალი ხელისუფლების მთელი ძალა მდგომარეობდა მისი პროგრამის რადიკალიზმში, მის მოქმედებათა გადაწყვეტილება-გაბედულობაში. ჩერნოვისა და წერეთლის ჯგუფებთან

დაკავშირება ნიშნავდა ახალი ხელისუფლების ხელ-ფეხის შეკვრას, მისთვის მოქმედების თავისუფლების აღკვეთას, რაც დაუკარგავდა მას ნდობას მუშათა მასებისას სულ მცირე ხნის განმავლობაში.

ჩვენი უახლოესი მეზობლები მარჯვნით იყვნენ ეგრეთ წოდებული „მემარცხენე სოციალისტ-რევოლიუციონერები". ისინი საერთოდ მზად იყვნენ დაეჭირათ ჩვენთვის მხარი, მაგრამ იმავე დროს უნდოდათ შეექმნათ კოალიციური სოციალისტური მთავრობა. რკინისგზელთა კავშირის გამგეობა (ეგრეთ-წოდებული „ვიკჟელი"), ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა ცენტრალური კომიტეტი, მთავრობის დაწესებულებათა ჩინოვნიკების კავშირი,—ყველა ეს ორგანიზაციები იყო ჩვენს წინააღმდეგ. და ჩვენი საკუთარი პარტიის ზედა წრეებშიც ისმოდა ხმები მათთან ასე თუ ისე შეთანხმების სასარგებლოდ. მაგრამ რა საფუძველზე? წარსული პერიოდის ყველა ჩამოთვლილმა ხელმძღვანელმა დაწესებულებამ მოსჭამა თავისი დრო. ისინი იყვნენ დაახლოებით ისეთსავე დამოკიდებულებაში მთელ უდაბლეს პერსონალთან, როგორც ძველი სალაშქრო კომიტეტები—თხრილებში მყოფ ჯარის-კაცთა მასებთან. ისტორიამ გაავლო დიდი ზღვარი ზედა და ქვედა წრეებს შუა. უპრინციპო კომბინაციებს ამ რევოლიუციისაგან გარიყულ გუშინდელ ხელმძღვანელთაგან მოელოდა აუცილებელი დამსხვრევა. საჭირო იყო მტკიცედ და გადაწყვეტით დაყრდნობა ქვედა ფენებზე, რომ მათთან ერთად შესაძლებელი ყოფილიყო ძლევა საბოტაჟისა და ზედა ფენების არისტოკრატიული პრეტენზიებისა. ჩვენ დავანებეთ მემარცხენე სოც.-რევ. განგრძოთ შეთანხმების უიმედო ცდა, ჩვენ პოლიტიკას კი, ვიღაც, შეადგენდა დაპირდაპირება მშრომელთა წრეებისა ყველა იმ წარმომადგენლობითი ორგანიზაციებთან, რომელიც ემხრობოდა კერენსკის რეჟიმს. ამ შეურიგებელმა პოლიტიკამ გამოიწვია ჩვენი საკუთარი პარტიის ზედა წრეებში უთანხმოებანი და რამოდენიმედ გათიშვაც კი. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში მემარცხენე სოციალისტ-რევოლიუციონერები აცხადებდენ პროტესტს ახალი ხელისუფლების ზომების სიმკაცრის წინააღმდეგ და ამტკიცებდენ კომპრომისების აუცილებლობას. მათ დაუჭირა მხარი ბოლშევიკების ერთმა ნაწილმა. სამმა სახალხო კომისარმა დაანება თავი თანამ-

დებობას და გამოვიდა მთავრობიდან. ზოგიერთი სხვა პარტიული მოღვაწეები პრინციპიალურად ეთანხმებოდენ მათ. ამან მოახდინა დიდი შთაბეჭდილება ინტელიგენტურ და ბურჟუაზიულ წრეებში: თუ ბოლშევიკები ვერ დაამარცხეს იუნკრებმა და კრასნოვის კაზაკებმა, სამაგიეროდ, ახლა სრულიად ცხადი იყო, რომ საბჭოთა ხელისუფლებას დაღუპავდა მისი შინაგანი გახრწნა... მაგრამ მასებს სრულიად არ შეუმჩნევია ეს გათიშვა. იგინი ერთსულოვნად უჭერდენ მხარს სახალხო კომისართა საბჭოს—არა მხოლოდ კონტრ-რევოლიუციონერ შეთქმულთა და მესაბოტაჟეთა წინააღმდეგ, არამედ შემთანხმებელთა და სკეპტიკთა წინააღმდეგაც.

დამფუძნებელი კრების ბედი.

როდესაც კორნილოვის ავანტიურის შემდეგ გაბატონებული საბჭოთა პარტიები შეეცადა გამოესყიდათ თავისი დაუდევრობა კონტრ-რევოლიუციური ბურჟუაზიის მოქმედებისადმი, მათ მოითხოვეს დამფუძნებელი კრების მოწვევის დაჩქარება. კერენსკი, რომელიც საბჭოებმა ის ის იყო გადაარჩინა მისი მოკავშირე კორნილოვის მეტად ძლიერი მოხვევნისგან, იძულებული შეიქნა წასულიყო დათმობაზე. დამფუძნებელი კრების მოწვევა დანიშნულ იქნა ნოემბრის ბოლოსთვის. მაგრამ პირობები ისე ეწყობოდა ამ დროსთვის, რომ არ იყო არავითარი გარანტია, იქნებოდა დამფუძნებელი კრება მოწვეული ნამდვილად თუ არა. ფრონტზე საშინელი ნგრევა იყო, დეზერტირობა იზრდებოდა დღითი დღე, ჯარისკაცთა მასები იმუქრებოდენ თხრილების მიტოვებას და მთელი პოლკობით და კორპუსობით წამოსვლას ზურგისკენ, რომლებიც, რა თქმა უნდა, გაანიავებდენ გზად ყველაფერს. სოფლებში სწარმოებდა სტიქიური დატაცება მიწებისა და მემამულეთა ინვენტარისა. რამდენიმე მაზრაში გამოცხადებულ იქნა სამხედრო წესები. გერმანელები განაგრძობდენ შეტევას, აიღეს რიგა და ემუქრებოდენ პეტროგრადს. ბურჟუაზიის მარჯვენა ფრთას ცხადად უხაროდა ის საშიშროება, რომელიც უქადდა რევოლიუციურ დედა-ქალაქს. პეტროგრადიდან გადაქონდათ სახელმწიფო დაწესებულებანი, კერენსკის მთავრობა აპირებდა მოსკოვში გადასახლებას. ყველაფერი ეს ხდიდა

დამფუძნებელი კრების მოწვევას არა მხოლოდ სათუოდ, არამედ დაუჯერებელ საქმედ. ამ თვალსაზრისით ოქტომბრის გადატრიალება თითქო წარმოადგენდა დამფუძნებელი კრების ხსნას, როგორც საერთოდ რევოლიუციის ხსნას. და, როდესაც ჩვენ ვამბობდით, რომ დამფუძნებელ კრებამდე მიგვიყვანს არა წერეთლის წინაპარლამენტი, არამედ ძალა-უფლების საბჭოების ბიერ ხელში ჩაგდებაო, ჩვენ გულწრფელად ვამბობდით ამას.

მაგრამ დამფუძნებელი კრების მოწვევის დაუსრულებლად გადადებამ არ ჩაიარა უკვალოდ ამ დაწესებულებისთვის. გამოცხადებულმა რევოლიუციის პირველსავე დღეებში, მან იხილა ქვეყანა კლასებისა და პარტიების 8— 9 თვის გამწვავებული ბრძოლის შემდეგ. იგი გაჩნდა ძლიერ გვიან, რომ შესძლებოდა რაიმე შემოქმედებითი როლის თამაში. მის შინაგან უშინაარსობას წინდაწინვე აჩენდა ერთი ფაქტი, რომელიც პირველი შეხედვით თითქო უმნიშვნელო იყო, მაგრამ რომელმაც შემდეგ მიიღო უდიდესი მნიშვნელობა დამფუძნებელი კრების ბედ-იღბლისთვის. რიცხვის მიხედვით რევოლიუციის უმთავრეს პარტიას პირველ ხანებში წარმოადგენდა სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტია. ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი ზემოდ მისი უფორმობისა და ჭრელი სოციალური შემადგენლობის შესახებ. რევოლიუციას აუცილებლად უნდა გამოეწვია შინაგანი დაყოფა-დანაწილება იმ რიგებისა, რომელიც გამოდიოდა ნაროდნიკული დროშის ქვეშ. უფრო და უფრო ცალკევდებოდა მარცხენა ფრთა, რომელიც უძღვოდა მუშათა ნაწილს და უღარიბესი გლეხობის ფართე წრეებს. ეს ფრთა უდგებოდა შეურიგებელ ოპოზიციაში წვრილ და საშუალო ბურჟუაზიულ ზედა ფენებს სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიისას. მაგრამ პარტიული ორგანიზაციისა და პარტიული ტრადიციების სიძველე აჩერებდა დროებით გათიშვის აუცილებელ პროცესს. პროპორციონალური სისტემა არჩევნებისა, როგორც ვიცით, სავსებით დამყარებულია პარტიულ სიებზე. რადგან სიები შედგენილი იყო 2-3 თვით წინ ოქტომბრის გადატრიალებამდე და არ იყო შეცვლილი, ამიტომ მემარცხენე და მემარჯვენე სოციალისტ-რევოლიუციონერთა სახელები შერეული იყო ერთმანეთში ერთისა და იმავე პარტიის დროშის ქვეშ. ამგვარად, ოქტომბრის გადა-

ტრიალების დროსთვის, ე. ი. იმ ხანაში, როდესაც მემარჯვენე სოციალისტ-რევოლიუციონერები აპატიმრებდენ მემარცხენეებს, ხოლო მემარცხენეები ემხრობოდენ ბოლშევიკებს სოც.-რევ. კერენსკის სამინისტროს დასამხობად, ძველი სიები ისევ სავალდებულო რჩებოდა, და დამფუძნებელი კრების არჩევნებისას გლეხთა მასებს იძულებულყოფდენ მიეცათ ხმა სიებისთვის, სადაც პირველ რიგებში გამოსმული იყო კერენსკის სახელი, შემდეგ კი სახელი მემარცხენეებისა, რომლებიც იღებდენ მონაწილეობას კერენსკის წინააღმდეგ შეთქმულობაში. თუ თვეები, რომლებიც უსწრებდა წინ ოქტომბრის გადატრიალებას, წარმოადგენდა დროს მასების განუწყვეტელი გაშემარცხენებისას, მუშების, ჯარისკაცებისა და გლეხების სტიქიური მოზღვავებისას ბოლშევიკებთან, სამაგიეროდ, სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიის შიგნით ეს პროცესი გამოიხატებოდა მარცხენა ფრთის გაძლიერებაში მარჯვენა ფრთის ხარჯზე. ამასობაში კი სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიულ სიებში სამ მეოთხედს შეადგენდენ მარჯვენა ფრთის ძველი მოღვაწეები, რომლებმაც უკვე მოასწრეს დახარჯვა მთელი რევოლიუციური რეპუტაციისა ლიბერალურ ბურჟუაზიასთან კოალიციის ხანაში. ამას უნდა დავუმატოთ ის გარემოებაც, რომ თვით არჩევნები ხდებოდა პირველი კვირეების განმავლობაში ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ. ამგვარი ცვლილების შესახებ შედარებით ნელა მიდიოდა დედაქალაქებიდან პროვინციაში, ქალაქებიდან სოფლებში. გლეხთა მასები ბევრგან ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყვენ იმაში, თუ რა ხდებოდა პეტროგრადსა და მოსკოვში. ისინი აძლევდენ ხმას „მიწასა და თავისუფლებას“, თავის წარმომადგენლებს საადგილ-მამულო კომიტეტებში, რომელიც უმეტეს ნაწილად იდგა ნაროდნიკული დროშის ქვეშ, მაგრამ ამით ისინი აძლევდენ ხმას კერენსკისა და ავქსენტიევს, რომლებიც ითხოვდენ საადგილ-მამულო კომიტეტებს და აპატიმრებდენ მათ წევრებს. ამას შედეგად მოყვა ის უჩვეულო პოლიტიკური პარადოქსი, რომ ერთ-ერთი იმ ორი პარტიიდან, რომელმაც დაითხოვა დამფუძნებელი კრება, სახელდობ სოციალისტ-რევოლიუციონური, გავიდა საერთო სიებით იმ პარტიასთან, რომელმაც მისცა უმრავლესობა დამფუძნებელ კრებას. ეს ფაქტიური მხარე საქმისა იძლევა სრულიად ნათელ

წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რაოდენად ჩამორჩა დამფუძნებელი კრება პარტიული დაჯგუფებისა და პოლიტიკური ბრძოლის განვითარებას. ახლა გვრჩება განვიხილოთ საქმის პრინციპიალური მხარე.

დემოკრატიის პრინციპები და პროლეტარიატის დიქტატურა.

როგორც მარქსისტები, ჩვენ არა დროს არ ვიყავით ფორმალური დემოკრატიის კერპთ-თაყვანისმცემლები. კლასიურ საზოგადოებაში დემოკრატიული დაწესებულებები არა თუ არ ხდის შეუძლებლად კლასიურ ბრძოლას, არამედ უკარგავს კიდეც კლასიურ ინტერესებს მათ ნამდვილ სახეს. შეძლებულ კლასებს ყოველთვის რჩება ათობით და ათასობითა საშუალება მშრომელთა მასების ნებისყოფის ფალსიფიკაციისა, განგებ შერევისა, იძულებისა. კიდევ უფრო უვარგის აპარატს კლასიური ბრძოლის გამოსახატავად წარმოადგენს დემოკრატიული დაწესებულებანი რევოლიუციის პირობებში. მარქსმა უწოდა რევოლიუციას „ისტორიის ლოკომოტივი". ძალა-უფლებისათვის აშკარა უშუალო ბრძოლის წყალობით მშრომელთა მასები მცირე ხნის განმავლობაში იძენენ დიდ პოლიტიკურ გამოცდილებას და სწრაფად გადადიან თავის განვითარებაში ერთი საფეხურიდან მეორეზე. დემოკრატიულ დაწესებულებათა მოუხეშავი მექანიზმი მით უფრო უკან რჩება ამ რევოლიუციას, რამდენადაც უფრო დიდია სახელმწიფო და რამდენადაც უფრო განუვითარებელია ამ უკანასკნელის ტეხნიკური აპარატი.

უმრავლესობა დამფუძნებელ კრებაში ერგო მემარჯვენე სოციალისტ-რევოლიუციონერებს. პარლამენტარული მექანიკის თანახმად მათ უნდა კუთვნებოდათ სახელმწიფო ძალა-უფლება. მაგრამ მემარჯვენე სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიას შეეძლო მიღება ამ ძალა-უფლებისა მთელი რევოლიუციური ხანის განმავლობაში ოქტომბრის გადატრიალებამდე. მაგრამ ის გაურბოდა ძალა-უფლების და აძლევდა მის ლომისებურ წილს ლიბერალურ ბურჟუაზიას, რის გამოც, მან, იმ დროსთვის, როდესაც რიცხვობითი შემადგენლობა დამფუძნებელი კრებისა ვალდებულყოფდა მას შეექმნა მთავრობა, დაკარგა უკანასკნელი ნარჩენები თავისი კრედიტისა

ხალხის ყველაზე მეტად რევოლიუციურ ნაწილებში. მუშათა კლასი და მასთან ერთად წითელი გვარდია მეტად მტრულად იყვნენ განწყობილი მემარჯვენე სოციალისტ-რევოლიუციონერთა პარტიისადმი. ლაშქრის დიდი უმრავლესობა უჭერდა მხარს ბოლშევიკებს. სოფლის რევოლიუციური ელემენტი ყოფდა თავის სიმპატიებს მემარცხენე სოციალისტ-რევოლიუციონერებსა და ბოლშევიკებს შუა. მატროსები, რომლებიც თამაშობდენ ესოდენ დიდ როლს რევოლიუციის საქმეში, თითქმის განუყოფელად ემხრობოდენ ჩვენს პარტიას. მემარჯვენე სოციალისტ-რევოლიუციონერები შეიქნენ იძულებული წასულიყვნენ იმ საბჭოებიდან, რომელმაც ოქტომბერში, ე. ი. დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, აიღო ხელში ძალა-უფლება. ვის უნდა დამყარებოდა სამინისტრო, შექმნილი დამფუძნებელი კრების უმრავლესობის მიერ? მის მხარეზე იქნებოდა სოფლის ზედა წრეები, ინტელიგენცია, ჩინოვნიკობა; მარჯვნით მას ეყოლებოდა მომხრედ, რა თქმა უნდა დროებით, ბურჟუაზია. მაგრამ ასეთ მთავრობას არ ექნებოდა სრულიად ხელისუფლების მატერიალური აპარატი. პოლიტიკური ცხოვრების ცენტრებში, როგორიცაა, მაგ., პეტროგრადი, იგი თავიდანვე შეხვდებოდა შეურიგებელ წინააღმდეგობას. თუ ამ პირობებში საბჭოები დაემორჩილებოდა დემოკრატიულ დაწესებულებათა ფორმალურ ლოლიკას და გადასცემდა ძალა-უფლებას კერენსკისა და ჩერნოვის პარტიას, ეს ძალა-უფლება, გაშავებული და უძლური, შეიტანდა მხოლოდ დროებით არევ-დარევას სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და, ცხადია, ჩამოგდებულ იქნებოდა რომელიმე ახალი ამბოხებით რამდენიმე კვირის შემდეგ. საბჭოებმა გადასწყვიტა დაეყენა ეს დაგვიანებული ისტორიული ექსპერიმენტი მიწიმუმამდე და დაითხოვა დამფუძნებელი კრება იმ დღესვე, როდესაც იგი შეიკრიბა.

ამის გამო ჩვენს პარტიას დაატყდა თავს უსასტიკესი ბრალდებანი. დამფუძნებელი კრების გარეკვამ უეჭველია მოახდინა არა-სასიამოვნო შთაბეჭდილება ევროპის სოციალისტურ პარტიების ხელმძღვანელ წრეებზეც. იქ ამ პოლიტიკურად აუცილებელ და საჭირო აქტში დაინახეს პარტიული თავნებობა, საწრეო დაურიდებლობა. კაუცკი, მისთვის ჩვეული პედანტიზმით, განმარტავდა მრავალ წერილებში ურთიერთო-

გას პროლეტარიატის სოციალურ-რევოლიუციურ ამოცანებსა და პოლიტიკური დემოკრატიის რეჟიმს შორის. ის ამტკიცებდა, რომ მუშათა კლასისთვის საბოლოოდ ყოველთვის სასარგებლოა დემოკრატიული წესწყობილების საფუძველთა დაცვაო. ეს, ცხადია, საზოგადოდ და საერთოდ სავსებით სწორია. მაგრამ კაუცკიმ მიიყვანა ეს ისტორიული ჭეშმარიტება პროფესორულ ბანალობამდე. თუ პროლეტარიატისთვის საბოლოოდ სასარგებლოა შეყვანა თავისი კლასიური ბრძოლისა და თავისი დიქტატურისაც კი დემოკრატიის დაწესებულებათა ჩარჩოებში, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ისტორია ყოველთვის აძლევდეს მას შესაძლებლობას მიაღწიოს ასეთ შეთავსებას. მარქსიზმის თეორიიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს, ვითომ და ისტორია ყოველთვის ქმნიდეს ისეთ პირობებს, რომელიც უმეტესად „სასარგებლო“ არის პროლეტარიატისთვის. ძნელია ახლა წინასწარმეტყველება იმისი, თუ როგორ მოეწყობოდა განვითარება რევოლიუციისა, დამფუძნებელი კრება რომ მოწვეულიყო 2 ან 3 თვის შემდეგ მისი დაწყებიდან. სავსებით სარწმუნოა, რომ სოციალისტ-რევოლიუციონერთა და მენშევიკთა პარტიები, რომელიც ბატონობდა მაშინ, გააშავებდა თავის თავს დამფუძნებელ კრებასთან ერთად არა მხოლოდ უმეტესად აქტიურ, საბჭოთა მოძრე წრეების თვალში, არამედ უმეტესად ჩამორჩენილი დემოკრატიული მასების თვალშიც, რომელიც თავისი იმედებით იქნებოდა დაკავშირებული არა საბჭოებთან, არამედ დამფუძნებელ კრებასთან. ასეთ პირობებში დამფუძნებელი კრების დათხოვა გამოიწვევდა ახალ არჩევნებს, რომელშიც მემარცხენე პარტიებს შეიძლება დარჩენოდა უმრავლესობა. მაგრამ განვითარება მეორე გზით წავიდა. დამფუძნებელი კრების არჩევნები დაიწყო რევოლიუციის მხოლოდ მეცხრე თვეს. ამ დროსთვის კლასიურმა ბრძოლამ მიაღწია ისეთ დაჭიმვას, რომ შიგნიდან მიწოლით მან გაანგრია დემოკრატიის ფორმალური ჩარჩოები. პროლეტარიატი მიუძღვოდა წინ ლაშქარსა და გლეხობის დაბალ ფენებს. ეს კლასები იმყოფებოდა პირდაპირი და გამწვავებული ბრძოლის მდგომარეობაში მემარჯვენე სოციალისტ-რევოლიუციონერებთან. ამ პარტიას კი დემოკრატიული არჩევნების უხეში მექანიკის წყალობით ერგო უმრავლესობა დამფუძნებელ კრებაში და იგი განმასახიერებელი

იყო რევოლიუციის ოქტომბრამდე არსებული ეპოქისა. გამოვიდა წინააღმდეგობა, რომლის გადაწყვეტა სრულიად შეუძლებელი იყო ფორმალური დემოკრატიის ფარგლებში. დამხოლოდ პოლიტიკურ პედანტებს, რომლებიც ვერ გარკვეულან კლასიურ ურთიერთობათა რევოლიუციურ ლოლიკაში, შეუძლიათ ოქტომბრის-შემდეგი სიტუაციის წინაშე აძლიონ პროლეტარიატს ბანალური დარიგებანი დემოკრატიის უმეტესი გამოსადეგობისა და უპირატესობათა შესახებ კლასიური ბრძოლის საქმისათვის.

საკითხი დასმულ იქნა ისტორიის მიერ გაცილებით უფრო კონკრეტულად და გადაჭრით. დამფუძნებელ კრებას თავისი უმრავლესობის შემადგენლობის მიხედვით უნდა გადაეცა ძალა-უფლება ჩერნოვის, კერენსკისა და წერეთლის ჯგუფისთვის. შეეძლო განა ამ ჯგუფს რევოლიუციისთვის ბელმძღვანელობის გაწევა? არა, რევოლიუციის რეალური კლასიური შინაარსი შეურიგებლად შეეტაკა მის დემოკრატიულ ნაჯუჯს. ამით დამფუძნებელი კრების ბედი წინდაწინვე გადაწყდა. მისი დათხოვა წარმოადგენდა ერთად ერთ შესაძლო ბურჟუაზიულ გამოსვლას იმ წინააღმდეგობიდან, რომელიც შექმნილი იყო არა ჩვენ მიერ, არამედ ამბების მთელი წინმავალი განვითარებით.

საზავო მოლაპარაკება.

სრულიად რუსეთის საბჭოთა მე-2-ე ყრილობის ისტორიულ ღამის სხდომაზე მიღებულ იქნა დეკრეტი ზავის შესახებ. იმ დროს საბჭოთა ხელისუფლება მხოლოდ იკიდებდა ფეხს სახელმწიფოს უმთავრეს პუნქტებში, ხოლო მის ძალებში დარწმუნებულთა რიცხვი საზღვარ-გარედ სრულიად უმნიშვნელო იყო. ჩვენ მივიღეთ ყრილობაზე დეკრეტი ერთხმად, მაგრამ ეს ბევრს მხოლოდ პოლიტიკურ დემონსტრაციად ეჩვენებოდა, შემთანხმებლები გაიძახდენ ყველა გზაჯვარედინზე, რომ პრაქტიკული შედეგების მოცემა ჩვენს რევოლიუციას არ შეეძლება, ვინაიდან, ერთი მხრით, ჩვენ არ გვცნობენ და ჩვენთან არ ისურვებენ ლაპარაკს გერმანელი იმპერიალისტები, ხოლო, მეორე მხრით—ჩვენ გამოგვიცხადებენ ომს ჩვენი მოკავშირეები. სეპარატიული მოლაპარაკების დაწყებისათვის ამ წინაწარს-

მეტყველებათა გრძნობის ქვეშ ვდგამდით ჩვენ პირველ ნაბიჯებს საყოველთაო დემოკრატიული ზავისკენ. დეკრეტი მიღებულ იქნა 26 ოქტომბერს, როდესაც კერენსკი და კრასნოვი პეტროგრადის გუბერნიაში იყვნენ მომდგარი, ხოლო 7 ნოემბერს ჩვენ უკვე მივმართეთ ჩვენს მოკავშირეებსა და მოწინააღმდეგეებს საყოველთაო ზავის ჩამოგდების წინადადებით. ამის საპასუხოდ მოკავშირეთა მთავრობებმა თავისი სამხედრო აგენტების საშუალებით მიმართეს მაშინდელ მთავარ-სარდალს, გენერალ დუხონინს, განცხადებით, რომ შემდეგ ნაბიჯებს ზავის ჩამოგდების შესახებ სეპარატიული მოლაპარაკების გზით მეტად მძიმე შედეგები მოყვებაო. ჩვენ ვუპასუხეთ ამ პროტესტზე 11 ნოემბრის მოწოდებით ყველა მუშებისა, ჯარისკაცებისა და გლეხებისადმი, და ამ მოწოდებაში ჩვენ განვაცხადეთ, რომ არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებთ ჩვენი ლაშქრის სისხლის ღვრას უცხოელი ბურჟუაზიის ჯოხის ქვეშ. ჩვენ დავტოვეთ უყურადღებოდ დასავლელ იმპერიალისტთა მუქარები და ვიკისრეთ მთელი პასუხისმგებლობა ზავის პოლიტიკისათვის საერთაშორისო მუშათა კლასის წინაშე. უწინარეს ყოვლისა ჩვენ, ჩვენი პრინციპიალური დაპირებების ასასრულებლად, გამოვაქვეყნეთ საიდუმლო ხელშეკრულებანი და განვაცხადეთ, რომ უარვყოფთ მათში ყველაფერს, რაც კი ეწინააღმდეგება ყველა ქვეყნის ხალხთა მასების ინტერესებს. კაპიტალისტური მთავრობანი შეეცადენ გამოეყენებინათ ჩვენ მიერ გამომჟღავნებული ხელშეკრულებანი ურთ-ერთის წინააღმდეგ. მაგრამ ხალხთა მასები მიხვდა ჩვენს გულისთქმას და გვცნო ჩვენ. ვერც ერთმა სოციალ-პატრიოტულმა გაზეთმა ვერ გაბედა, რამდენადაც ვიცით ჩვენ, განეცხადებინა პროტესტი მუშათა და გლეხთა მთავრობის მიერ დიპლომატიის ყველა მეთოდების ძირითადი შეცვლის წინააღმდეგ, ჩვენ მიერ ამ დიპლომატიის ყველა სიფლიდისა და ხრიკებისგან ხელის აღების წინააღმდეგ. ჩვენ დავსახეთ ჩვენი დიპლომატიის მიზნად განათლება ხალხთა მასებისა, მათთვის თვალის ახელა და დანახვება მათი მთავრობების პოლიტიკის არსებისა, შეკავშირება-შედუღება მათი ბრძოლაში და სიძულვილში ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური წესწყობილებისადმი. გერმანული ბურჟუაზიული პრესა ბრალს გვდებდა ჩვენ იმაში, რომ ჩვენ „ვაჭიანურებთ“ მოლაპარაკებას: მაგ-

რამ ყველა ხალხები გამახვილებული ყურადღებით ისმენდენ
ბრესტ-ლიტოვსკის დიალოგს, და ამითი ორ თვე ნახევარში,
რა ხნის განმავლობაშიც სწარმოებდა საზავო მოლაპარაკება,
გავუწიეთ ზავის საქმეს დიდი სამსახური, რაც აღიარებული იქ-
ნა თვით ჩვენივე უფრო მეტად პატიოსანი მტრების მიერაც.
საკითხი პირველადვე იქნა დასმული გადაჭრით ისე, რომ უკვე
აღარ შეიძლებოდა მისი შეთითხნა რაიმე კულისებს იქით და-
ხინაკიებით. 22 ნოემბერს ჩვენ მოვაწერეთ ხელი შეთანხმე-
ბას საომარ მოქმედებათა შეჩერების შესახებ მთელ ფრონტზე,
ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე. ჩვენ ხელახლა მივმართეთ მო-
კავშირეებს წინადადებით—შემოგვერთებოდენ და დაეწყოთ
ჩვენთან ერთად საზავო მოლაპარაკება. პასუხს ჩვენ ვერ ველო-
სეთ, თუმც კი მოკავშირეებს ახლა უკვე აღარ უცდიათ ჩვენი
შეშინება მუქარებით. საზავო მოლაპარაკება დაიწყო 9 დეკემ-
ბერს—თვე-ნახევრის შემდეგ ზავის დეკრეტის მიღებიდან, და
ამიტომ ყალბი და ცრუა ბრალდებანი მოსყიდული და სო-
ციალ-გამცემლური პრესისა, ვითომც ჩვენ არ ვცდილიყვეთ
მოვლაპარაკებოდით მოკავშირეებს. ჩვენ თვე-ნახევრის განმავ-
ლობაში ყოველთვის ვაცნობებდით ხოლმე მათ თვითეულ
ჩვენს ნაბიჯს და განუწყვეტლივ მოვუწოდებდით მათ შემო-
ერთებოდენ საზავო მოლაპარაკებას. ჩვენი სინიდისი წმინდაა
საფრანგეთის, იტალიის, ინგლისის და სხვა ხალხთა წინაშე.
ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რაც შეგვეძლო, რომ დაგვეყო-
ლიებინა საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობაზე ყველა მეო-
მარი სახელმწიფოები. ის გარემოება, რომ ჩვენ იძულებული
გავხდით დაგვეწყო სეპარატიულად საზავო მოლაპარაკება, გვე-
დება ბრალად არა ჩვენ, არამედ დასავლელ იმპერიალისტებს,
და აგრეთვე რუსეთულ იმ პარტიებს, რომლებიც განუწყვეტ-
ლივ უწინასწარმეტყველებდა რუსეთის მუშურსა და გლეხურ
მთავრობას ადრე სიკვდილს და ურჩევდა მოკავშირეებს არ
გამოხმაურებოდენ ჩვენს საზავო ინიციატივას. ასე თუ ისე,
9 დეკემბერს დაიწყო საზავო მოლაპარაკება. ჩვენმა დელეგა-
ციამ შეიტანა პრინციპიალური განცხადება, რომელიც ახა-
სიათებდა სიყოველთაო დემოკრატიული ზავის საფუძვლებს ისე,
როგორც ეს ჩამოთვლილი იყო 26 ოქტომბრის—8 ნოემბრის
დეკრეტში, თვით ამ უკანასკნელისავე სიტყვებით. მოპირდა-
პირე მხარემ მოითხოვა სხდომის შეწყვეტა და მუშაობის გა-

ნაბლება, კაუცკის წინადადებით, იდებოდა უფრო და უფრო შორეული ღროისთვის. ცხადი იყო, რომ ოთხთა კავშირის დელეგაციები განიცდიდენ არა მცირე სიძნელეს ჩვენს დეკლარაციაზე პასუხის ჩამოყალიბებაში. 25 დეკემბერს ჩვენ ეს პასუხი მივიღეთ. ოთხთა კავშირის დიპლომატები უერთდებოდენ დემოკრატიულ ფორმულას ზავისას—უანექსიოდ და უკონტრიბუციოდ ხალხთა თვითგამორკვევის საფუძველზე. ჩვენთვის სრულიად ცხადი იყო, რომ ეს წარმოადგენდა მხოლოდ პირფერობას. მაგრამ ჩვენ მათგან არ მოველოდით პირფერობის გამოჩენასაც, ვინაიდან, როგორც სთქვა ერთმა ფრანგმა მწერალმა, პირფერობა წარმოადგენს იმ ხარკს, რომელსაც ბიწიერება აძლევს ქველობას. და რომ გერმანულმა იმპერიალიზმმა ჩასთვალა აუცილებლად მიეცა ეს ხარკი დემოკრატიული პრინციპებისთვის, მოწმობდა ჩვენი აზრით მას, რომ მდგომარეობა გერმანიაში საკმაოდ სერიოზული იყო... მაგრამ თუ ჩვენ, საზოგადოდ, არ შეგვქმნია ილლიუზიები ბ. ბ. კაუცკისა და ჩერნინის დემოკრატიზმის შესახებ,—ამისათვის ჩვენ საკმაოდ კარგად ვიცნობდით გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მმართველი კლასების ბუნებას,—სამაგიეროდ უნდა მაინც ვთქვათ, რომ ჩვენ აზრადაც არ მოგვსვლია ის უფსკრული, რომელიც, როგორც გამოირკვა რამდენიმე დღის შემდეგ, აშორებდა გერმანული იმპერიალიზმის ნამდვილ წინადადებას იმ ფორმულებისგან, რომელიც წარმოადგინა 25 დეკემბერს ბ. ფონ-კაუცკიმ და რომელიც წარმოადგენდა პლაგიატს რუსული რევოლიუციიდან. ასეთ უსირცხვილობას ჩვენ არ ველოდით...

რუსეთის მუშათა მასებზე კაუცკიანის პასუხმა მოახდინა დიდი შთაბეჭდილება. იგი ისე იქნა გაგებული, როგორც შედეგი ცენტრალური იმპერიების მბრძანებელი კლასების შიშისა, გერმანიის მუშათა მასების უკმაყოფილებისა და თანდათან მზარდი მოუთმენლობის წინაშე. 28 დეკემბერს პეტროგრადში მოხდა უდიდესი დემონსტრაცია დემოკრატიული ზავის პატივსაცემად. მეორე დილით კი დაბრუნდა ბრესტ-ლიტოვსკიდან ჩვენი დელეგაცია და ჩამოგვიტანა ჩვენ ის მტაცებლური მოთხოვნანი, რომლებიც ბ. ფონ-კაუცკიმ წარმოგვიდგინა ჩვენ ცენტრალური იმპერიების სახელით, თავისი „დემოკრატიული“ ფორმულების განსამარტებლად. ერთი შეხედვით კაცს შეიძლება

მოუჩვენოს გაუგებრად, თუ საკუთრივ რა ჭონდა მხედველობაში გერმანულ დიპლომატიას, როდესაც გვიდგენდა თავის დემოკრატიულ ფორმულებს მხოლოდ იმიტომ, რომ 2—3 დღის შემდეგ გამოეჩინა თავისი მგლისებური მადა. ყოველ შემთხვევაში საალალბედოს წარმოადგენს ის თეორეტიული კამათი, რომელიც დაიწყო დემოკრატიული ფორმულების გარშემო, უმეტეს ნაწილად თვით კაულმანისავე ინიციატივით. რომ ამ გზით ცენტრალური იმპერიების დიპლომატიას არ შეუძლია დიდ გამარჯვებათა მიღწევა, ეს წინდაწინვე აშკარა უნდა ყოფილიყო უწინარეს ყოვლისა მისთვისვე. მაგრამ კაულმანის დიპლომატიის საიდუმლოება მდგომარეობდა შემდეგში: ეს ვაჟბატონი გულწრფელად იყო დარწმუნებული იმაში, რომ ჩვენ მზად ვიყავით გვეთამაშა მასთან შეთანხმებულად. ის მსჯელობდა მაშინ მიახლოებით ასე: რუსეთისთვის აუცილებელია ზავი. ბოლშევიკებმა მიიღეს ძალა-უფლება ზავისათვის ბრძოლის წყალობით. ბოლშევიკებს სურთ შეინარჩუნონ ძალა-უფლება. ეს მათთვის შესაძლებელია მხოლოდ ზავის ჩამოგდების შემთხვევაში. მართალია, მათ იკისრეს ჩამოგდება ზავისა განსაზღვრული დემოკრატიული პროგრამის მიხედვით, მაგრამ რაღასთვის არსებობს ქვეყანაზე დიპლომატია, თუ არა იმისთვის, რომ მოაჩვენოს შავი თეთრად? ჩვენ, გერმანელები, შევუმსუბუქებთ ბოლშევიკებს მდგომარეობას, თუ დავფარავთ ჩვენს მტაცებლობას დემოკრატიული ფორმულებით. ბოლშევიკურ დიპლომატიას ექნება საკმაო საფუძველი იმისთვის, რომ არ გამოიძიოს საქმის პოლიტიკური არსება ანუ, უკეთ, არ გადაშალოს მთელი ქვეყნის წინაშე მოსატყუებელი ფორმულების შინაარსი...—სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, კაულმანს იმედი ჭონდა მიეღწია ჩუმი შეთანხმებისთვის ჩვენთან: ის დაგვიბრუნებს ჩვენ ჩვენს კარგ ფორმულებს, ჩვენ მივცემთ მას შესაძლებლობას პროვინციებისა და ხალხების უპროტესტოდ მიღებისას გერმანიის განკარგულებაში. გერმანელი მუშების თვალში ნაძალადევი დაპყრობა მიიღებს, ამგვარად, რუსეთის რევოლიუციის სანქციას. როდესაც ჩვენ დავანახვეთ კამათის დროს, რომ ჩვენთვის საქმე შეეხება არა ცალიერ სიტყვებს და არა დეკორატიულ მიფარებას კულისებს იქითი შეთანხმებისას, არამედ ხალხთა ყოფა-ცხოვრების დემოკრატიულ პრინციპებს, კაულმანმა ჩამოგვართვა ეს,

როგორც ბოროტ-განზრახვითი დარღვევა ჩუმი ხელშეკრულებისა. მას არაფრის გულისთვის არ უნდოდა დაენებებინა თავი 25 დეკემბრის ფორმულის პოზიციისთვის; ის ეყრდნობოდა თავის დახელოვნებას დიპლომატიურ-იურიდიულ ლოგიკაში და ცდილობდა დაემტკიცებინა მთელი ქვეყნისთვის, რომ თეთრი არაფრით არ განსხვავდება შავისგან და რომ მხოლოდ ჩვენი ბოროტი ნებისყოფა გვაიძულებს ჩვენ ამ განსხვავების მტკიცებას. გრაფი ჩერნინი, ავსტრია-უნგრეთის წარმომადგენელი, თამაშობდა ამ მოლაპარაკებაში როლს, რომელსაც ვერავინ ვერ უწოდებს პატივსაცემს, ან ღირსეულს. ის უხეშად ასრულებდა სეკუნდანტის როლს და კიდულმანის დავალებით კისრულობდა ყველა კრიტიკულ მომენტებში უმეტესად მკვეთრი და ცინიკური განცხადებების შეტანას. გენერალ ჰოფმანს შეჰქონდა გამომაცოცხლებელი ნოტა მოლაპარაკებაში. ეს გენერალი, რომელიც არ იჩენდა დიდ სიმპატიებს კიდულმანის დიპლომატიური კონსტრუქციებისადმი, ზოგჯერ სდებდა მაგიდაზე თავის სალდათურ წადას, რომლის გარშემოც იმართებოდა რთული იურიდიული კამათი. ჩვენ, ჩვენი მხრით, არა დროს არ შეგვპარვია იქვი იმაში, რომ სწორედ გენერალი ჰოფმანის წადა წარმოადგენდა ერთადერთ სერიოზულ რეალობას ამ მოლაპარაკებაში.

უდიდეს უპირატესობას ბ. კიდულმანის ხელში შეადგენდა მონაწილეობა მოლაპარაკებაში კიევის რადის დელეგაციისა. უკრაინელ მეშჩანებს, რომლებსაც ჩაუვარდათ ხელში ძალაუფლება, გადამწყვეტი მნიშვნელობის საქმედ მიაჩნდათ თავისი „ცნობა“ ევროპის კაპიტალისტური მთავრობების მიერ. პირველად რადა მსურველი იყო მოკავშირე იმპერიალისტების განკარგულებაში გადასვლისა, მიიღო მათგან ჯიბის ხარჯად ზოგიერთი თანხები, ხოლო შემდეგ მან გაგზავნა თავისი წარმომადგენლები ბრესტლიტოვსკში იმისთვის, რომ რუსეთის ხალხების ზურგს უკნიდან გამოეცინცლა ავსტრია-გერმანიის მთავრობისთვის ცნობა თავისი სახელმწიფოებრივი შობის კანონიერობისა. „საერთაშორისო“ არსებობის გზაზე დადგომისთანავე კიევის დიპლომატიამ გამოიჩინა ისეთივე მსოფლმხედველობა და ისეთივე ზნეობრივი დონე, რომელიც ყოველთვის ახასიათებდა ბალკანეთის ნახევარ-კუნძულის უსუსურ პოლიტიკოსებს. ბ. ბ. კიდულმანები და ჩერნინები არ

იქმნიდენ, რასაკვირველია, არავითარ ილუზიებს მოლაპარაკების ახალი მონაწილის დარბაისლობისა და მისი ფასიანობის შესახებ. მაგრამ ისინი სწორად ანგარიშობდენ, რომ კიევის დელეგაციის მონაწილეობა ართულებდა თამაშს არა უსაგებლოდ მათთვის.

თავისი პირველი გამოჩენისას ბრესტ-ლიტოვსკში, კიევის დელეგაცია ახასიათებდა უკრაინას, როგორც ნაწილს რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკისას. ეს აშკარად აფერხებდა ცენტრალური დიპლომატების მუშაობას, რომლებმაც თავის უმთავრეს ამოცანად მიიჩნიეს ის, რომ გადაექციათ რუსეთის რესპუბლიკა ახალ ბალკანეთის ნახევარ-კუნძულად. თავისი მეორე გამოსვლისას რადის დელეგატებმა განაცხადეს ავსტრია-გერმანიის დიპლომატების კარნახით, რომ ამიერიდან უკრაინა ამბობს უარს რუსეთის ფედერაციაში ყოფნაზე და ხდება სრულიად დამოუკიდებელ რესპუბლიკად.

რომ მივცე შესაძლებლობა მკითხველებს უფრო ნათლად და გარკვევით გაიგონ ის მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა საბჭოთა ხელის-უფლებისთვის საზავო მოლაპარაკების უკანასკნელ მომენტში, მე მიზანშეწონილად მიმაჩნია მოვიყვანო აქ მთავარი ნაწილები იმ სიტყვისა, რომელიც ამ სტრიქონების ავტორმა, როგორც გარეშე საქმეთა სახალხო კომისარმა, წარმოსთქვა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე 1918 წ. თებერვლის 14-ს.

გარეშე საქმეთა სახალხო კომისრის სიტყვა.

ამხანაგებო! საბჭოთა რუსეთს უხდება არა მხოლოდ შენება ახლისა, არამედ გამორკვევა ძველისაც, და ამასთანავე გასწორება ძველი ანგარიშებისა, უწინარეს ყოვლისა ომის ანგარიშებისა, რომელიც გაგრძელდა 3 ნახ. წელიწადს. ომი შეიქნა მეომარი ქვეყნების ეკონომიური ძლიერების გამოცდის საშუალებად. რუსეთისთვის, როგორც უფრო ღარიბი, უფრო ჩამორჩენილი ქვეყნისთვის, მისი ბედი გაჭიანურებულ ომის დროს წინდაწინვე გადაწყვეტილი იყო. სარმარი აპარატების ძლიერ შეტაკებაში საბოლოოდ სწყვეტდა საკითხს სახელმწიფოს უნარი თავისი მრეწველობის შეწყობისა სამხედრო

რო მოთხოვნებთან, უნარი ამ მრეწველობის გადაკეთებისა მცირე ხნის განმავლობაში საჭიროებისამებრ და მომსპობი იარაღების წარმოებისა დიდი რაოდენობით, რომელიც ცვდებოდა ასე სწრაფად ამ ხალხთა სასაკლაოში. თვითეულ, ან თითქმის თვითეულ, სახელმწიფოს, მათ შორის ძლიერ ჩამორჩენილსაც, შეეძლო ომის დასაწყისში ქონოდა ძლიერი მომსპობი იარაღები, ე. ი. შეეძლო მათი შეძენა უცხოურ ბაზარზე. ასეც შვრებოდა ყველა ჩამორჩენილი ქვეყნები, ასევე იქცეოდა რუსეთიც. მაგრამ ომი ძლიერ მალე სცვეთს თავის მკვდარ კაპიტალს და მოითხოვს მის განუწყვეტლივ განახლებას. სამხედრო ძლიერება ყველა ცალკე ქვეყნისა, რომელიც ჩათრეულ იქნა მსოფლიო სასაკლაოს მორევში, განისაზღვრებოდა ნამდვილად მისი ზარბაზნებისა, ყუმბარებისა და სხვა მომსპობ იარაღების დამოუკიდებლად წარმოების უნარით თვით ომის დროს.

ომს რომ გადაეწყვიტა ძალთა განწყობილების პრობლემა მცირე ხნის განმავლობაში, მაშინ რუსეთისთვისაც დარჩებოდა თეორეტიული შესაძლებლობა აღმოჩენილიყო სანგრების იქითა მხარეზე, სადაც იქნებოდა გამარჯვება. მაგრამ ომი გაგრძელდა დიდხანს და გაგრძელდა არა შემთხვევით. უკვე მხოლოდ იმ გარემოებას, რომ მთელი საერთაშორისო პოლიტიკა უკანასკნელ ნახევარ საუკუნის განმავლობაში მიმართული იყო ევროპის ეგრეთ-წოდებულ „წონასწორობის" შექმნისკენ, ე. ი. იმისკენ, რომ მტრული ძალები დაახლოებით შეწონასწორებულიყვნენ, უნდა მიეცა ომისთვის, თანამედროვე ბურჟუაზიული ერების სიძლიერისა და სიმდიდრის დროს, მეტად გაჭიანურებული ხასიათი. ეს უპირველეს ყოვლისა ნიშნავდა ეკონომიურად უფრო სუსტ, უფრო ნაკლებად განვითარებულ ქვეყნების გამოფიტვა-დაძაბუნებას.

სამხედრო საქმეში ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა გერმანია თავისი ინდუსტრიის ძლიერების წყალობით, ამ ინდუსტრიის თანამედროვე, ახალი, რაციონალური წყობილების წყალობით, მიუხედავად დაძველებული სახელმწიფო წესწყობილებისა. საფრანგეთი, თავისი უმეტეს ნაწილად წვრილბურჟუაზიული მეურნეობით, ძლიერ ჩამორჩენილი აღმოჩნდა გერმანიისგან, და თვით ძლიერი კოლონიალური სახელმწიფო, როგორიცაა ინგლისი, თავისი მრეწველობის უმეტესად კონ-

სერვატიული, რუტინული ხასიათის გამო, აღმოჩნდა უფრო სუსტი გერმანიასთან შედარებით. როდესაც ისტორიამ რუსეთის რევოლიუციის წინაშე დასვა საკითხი საზავო მოლაპარაკების შესახებ, ჩვენთვის ეჭვს გარეშე იყო, რომ ამ მოლაპარაკებაში, ვიდრე მასში არ ჩარეულა მსოფლიო რევოლიუციური პროლეტარიატის გაღამწყვეტი ძალა, ჩვენ იძულებული ვიქნებოდით გაგვესწორებინა ანგარიშები 3½ წლიანი ომისა. ჩვენთვის ეჭვს გარეშე იყო, რომ გერმანიის იმპერიალიზმი წარმოადგენდა ისეთ მოწინააღმდეგეს, რომელიც გაღენთილი იყო თავისი კოლოსალური ძლიერების შეგნებით, რაიც ასე ნათლად გამოჩნდა ეხლანდელი ომის დროს.

ყველა ის მოსაზრებანი ბურჟუაზიული „კლიკებისა", ვითომ ჩვენ ვიქნებოდით გაცილებით უფრო ძლიერი, რომ ეს მოლაპარაკება გვეწარმოებინა ჩვენ მოკავშირეებთან ერთად, მოკლებულია ყოველგვარ შინაარსს. იმისათვის, რომ ჩვენ გაურკვეველ მომავალში გვეწარმოებინა მოლაპარაკება ჩვენ მოკავშირეებთან ერთად, ჩვენ მოვალე ვიქნებოდით უწინარეს ყოვლისა განგვეგრძო ომი მოკავშირეებთანვე ერთად, ხოლო თუ ჩვენი ქვეყანა გამოფიტულია და დასუსტებული, სწორედ ომის გაგრძელება, და არა მისი შეწყვეტა, უფრო კიდევ მეტად დაასუსტებდა და დააძაბუნებდა მას. ჩვენ მოგვიხდებოდა გამორკვევა ომის შედეგებისა და მათი ჯარის გამოყვანა ჩვენთვის უფრო მეტად არა-ხელსაყრელ პირობებში. თუნდაც რომ ის ბანაკი, რომლის შემადგენლობაშიც რუსეთი შეთრეულ იქნა ცარიზმისა და ბურჟუაზიის საერთაშორისო კომბინაციებით, ბანაკი, რომლის სათავეშიც იდგა დიდი ბრიტანეთი, გამოსულიყო ომიდან სრულიად ძლევამოსილად—დავუშვათ ერთი წუთით ასეთი საეჭვო ბოლო—ეს სრულიადაც არ იქნებოდა, ამხანაგებო, იმის მომასწავლებელი, რომ ჩვენი ქვეყანა გამოვიდოდა ძლევამოსილად, ვინაიდან უფრო მეტად ხანგრძლივი ომის დროს სუსტი აღმოჩნდებოდა ძლევამოსილი ბანაკის შიგნით უფრო მეტად გამოფიტული და გალატაკებული, ვიდრე იგი არის ახლა. ამ ბანაკის პატრონები, რომლებიც დაეუფლებოდენ სავსებით ამ გამარჯვების ნაყოფებს, ე. ი. ინგლისი და ამერიკა, მოეპყრობოდენ ჩვენ ქვეყანას ისევე, როგორც მოექცა მას გერმანია საზავო მოლაპარაკების დროს. უაზრო და უბადრუკი ბავშვობა იქნებოდა იმპერიალისტური

ქვეყნების პოლიტიკის შეფასებაში გამოსვლა სხვა მოსაზრე
ბიდან, გარდა შიშველი ინტერესისა და მატერიალური ძალის
მოსაზრებისა. მაშასადამე, თუ ახლა ჩვენ, როგორც სახელმწი-
ფო, დასუსტებული ვართ მსოფლიო იმპერიალიზმის წინაშე,
დასუსტებული ვართ არა მით, რომ გამოვგლიჯეთ ჩვენი თა-
ვი ომის ცეცხლის რკალიდან საერთაშორისო სამხედრო ვალ-
დებულებათა მუხრუჭიდან თავის წინასწარი დაღწევით,—არა,
ჩვენ დასუსტებული ვართ ცარიზმისა და ბურჟუაზიული კლა-
სების სწორედ იმ პოლიტიკით, რომლის წინააღმდეგაც ვიბრ-
ძოდით ჩვენ, როგორც რევოლიუციური პარტია, ახლანდელ
ომამდე და ომის დროს.

თქვენ გახსოვთ ამხანაგებო, რა პირობებში გაემგზავრა უკანასკნელად ბრესტ-ლიტოვსკში თქვენი დელეგაცია სრულიად რუსეთის საბჭოთა მე-3 ყრილობისა პირდაპირ ერთ-ერთი სხდომიდან. მაშინ მოგახსენეთ თქვენ მოლაპარაკების მდგომარეობა და მოპირდაპირე მხარის მოთხოვნანი. ეს მოთხოვნანი, როგორც გახსოვთ თქვენ, წარმოადგენდა დანიღაბებულ, ანუ, უკეთ, ნახევრად დანიღაბებულ ანექსიონისტურ გულისთქმას ლიტვისა, კურლიანდიისა, ლიფლიანდიის ნაწილისა და მოლზუნდის კუნძულებისადმი და ნახევრად დანიღაბებული კონტრიბუციისადმი, რომელიც, ჩვენი ანგარიშით, უდრიდა 6—8, თითქმის 10 მილიარდ მანეთსაც. მოლაპარაკების შეწყვეტის დროს, რომელიც გაგრძელდა 10 დღეს, ავსტრია-უნგრეთში მოხდა მუშების აღელვება, დაიწყო გაფიცვები, და ეს გაფიცვები იყო პირველი ცნობა ჩვენი საზავო მოლაპარაკების წარმოების მეთოდისა ცენტრალური იმპერიების პროლეტარიატის მიერ გერმანული იმპერიალიზმის ანექსიონისტურ მოთხოვნათა წინაშე. რა უბადრუკია მტკიცება ბურჟუაზიული პრესისა, როდესაც ის ამბობს. რომ ჩვენთვის საჭირო იყო ორი თვე ლაპარაკი კაულმანთან იმის გასაგებად, რომ გერმანული მილიტარიზმი წარმოგვიდგენდა მტაცებლურ პირობებსო. არა, ეს ჩვენ წინდაწინვე ვიცოდით. მაგრამ გერმანული იმპერიალიზმის წარმომადგენლებთან „ლაპარაკიდან“ ჩვენ ვცდილობდით შეგვექმნა საშუალება იმ ძალთა გასადიდებლად, რომელიც ებრძვის გერმანულ მილიტარიზმს. ჩვენ აქ არ გპირდებოდით არავითარ სასწაულებს, მაგრამ ჩვენ ვამბობდით, რომ ის გზა, რომლითაც მივდივართ ჩვენ, არის ერ-

თად ერთი გზა, რომელიც დარჩენია რევოლიუციურ დემოკრატიას თავისი შემდეგი განვითარების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად.

შეიძლება დავიჩივლოთ, რომ სხვა ქვეყნებისა და, კერძოდ, ცენტრალური იმპერიების პროლეტარიატი ძლიერ ნელა გადადის აშკარა რევოლიუციური ბრძოლის გზაზე,—კი, მისი განვითარების ტემპი მართლაც რომ მეტად ნელია,—მაგრამ, ასე თუ ისე, ავსტრია-უნგრეთში ქონდა ადგილი მოძრაობას სახელმწიფოს თითქმის ყველა მხარეებში, რომელიც წარმოადგენდა პირდაპირსა და უშუალო გამოძახილს ბრესტის მოლაპარაკების გამო.

აქედან წასვლისას ჩვენ ვამბობდით თქვენთან ერთად, რომ ჩვენ არ გვაქვს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ სახელდობ ეს ტალღა გადარეცხავს ავსტრია-გერმანიის იმპერიალიზმსო. ჩვენ რომ ამაში დარწმუნებული ვყოფილვიყავით, ჩვენ დიდი სიამოვნებით დაგპირდებოდით იმას, რასაც მოითხოვდენ ჩვენგან ზოგიერთი პირები,—რომ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ მოვაწერთ ხელს სეპარატიულ ხელშეკრულებას გერმანიასთანო. მე მაშინვე ვთქვი, რომ ამის დაპირება ჩვენ არ შეგვიძლია, ვინაიდან ასეთი დაპირება გერმანული მილიტარიზმის დაძლევის კისრებას ნიშნავს მეთქი. ასეთი გამარჯვების საიდუმლო ჩვენ არა გვქონდა ხელთ. და რამდენადაც ჩვენ არ შეგვეძლო გვეკისრა მსოფლიო ძალთა განწყობილების შეცვლა მცირე ხნის განმავლობაში, ჩვენ აშკარად და პატიოსნად განვაცხადეთ, რომ რევოლიუციურ ხელისუფლებას განსაზღვრულ პირობებში შეიძლება მოუხდეს მიღება ანექსიონისტური ზავისაო. მისი (რევოლ. ხელისუფ.) დაცემის დასაწყისი იქნებოდა იქ, სადაც კი იგი შეეცდებოდა დაემალა თავისი ხალხისთვის ზავის მტაცებლური ხასიათი, და არა იქ, სადაც იგი ბრძოლის მსვლელობის გამო იძულებული შეიქნებოდა მიეღო ასეთი ზავი.

მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ მივუთითებდით იმასაც, რომ ჩვენ მივდიოდით მოლაპარაკების განსაგრძობად პირობებში, რომელიც თითქო ღებულობდა ხელშემწყობ ხასიათს ჩვენთვის და უარესდებოდა ჩვენი მტრებისთვის. ჩვენ ვადევნებდით თვალყურს მოძრაობას ავსტრია-ჰუნგრეთში და ბევრი რამ მომასწავებელი იყო იმისი—ამაზე მიუთითებდენ გერმანიის

სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენლებიც რეიხსტაგში, — რომ გერმანია იმყოფებოდა ამგვარივე ამბების კარ წინ. ჩვენ მივდიოდით ამ იმედით. და ჩვენი ბრესტში ჩასვლის პირველ დღეებშივე რადიოტელეგრაფმა მოგვიტანა ვილნოდან პირველი ცნობები იმის შესახებ, რომ ბერლინში დაიწყო დიდი გაფიცვითი მოძრაობა, რომელიც, როგორც ავსტრია-ჰუნგრეთში, პირდაპირ და უშუალოდ იყო დაკავშირებული ბრესტის მოლაპარაკების მსვლელობასთან. მაგრამ, როგორც ეს ხშირად ხდება ხოლმე კლასიური ბრძოლის დიალექტიკის წესით, სწორედ ფართე ხასიათს პროლეტარიატის გამოსვლისას, როგორიც გერმანიას ჯერ არა დროს არ ენახა, უნდა გამოეწვია შეძლებული კლასების უფრო მჭიდროდ შეკავშირება და დაებადა მათში უფრო მეტი შეურიგებლობა. გერმანიის მმართველი კლასები გამსჭვალულია თავდაცვის საკმაოდ მტკიცე ინსტინქტით, რომ შესძლებოდა მიეცა ანგარიში თავისთვის იმაში, რომ დათმობა იმ მდგომარეობის დროს, რომელშიც იმყოფებოდენ ისინი, შევიწროებული თავისივე ხალხის მიერ, დათმობა, თუნდაც ნაწილობრივი, იქნებოდა კაპიტულაცია რევოლიუციის იდეის წინაშე. და ამიტომ იყო, რამ დაფანტულობის პირველი პერიოდის შემდეგ, როდესაც კაულმანი შეგნებულად აჭიანურებდა მოლაპარაკებას და ან არ ნიშნავდა სხდომებს, ან ხარჯავდა მათ მეორე-ხარისხოვან ფორმალურ საკითხებზე, როგორც კი გაფიცვა ჩაქრობილ იქნა, როგორც კი ის დარწმუნდა, რომ მაშინ მის პატრონებს არ მოელოდა საშინელი საფრთხე, ის დაუბრუნდა უკმეხსა და გაორკეცებული აგრესივობის კილოს.

ჩვენი მოლაპარაკება გააართულა კიევის რადის მონაწილეობამ. ჩვენ მოგახსენეთ ამის შესახებ ამას წინადაც, რომ კიევის რადის დელეგაცია ჩამოვიდა იმ დროს, როდესაც რადა წარმოადგენდა საკმაოდ ძლიერ ორგანიზაციას უკრაინაში და როდესაც ჯერ კიდევ ძნელი გამოსაცნობი იყო ვის სასარგებლოდ გათავდებოდა ბრძოლა. სწორედ იმ დროს ჩვენ მივმართეთ რადას ოფიციალური წინადადებით — დაედო ჩვენთან განსაზღვრული ხელშეკრულება, რომლის პირობადაც ჩვენი მხრივ იყო ერთი მოთხოვნა: რომ რადას ეცნო კალედინი და კორნილოვი კონტრ-რევოლიუციონერებად და არ შეეშალა ჩვენთვის ხელი მათთან ბრძოლის წარმოებაში. კიევის რადის

დელეგაცია ჩამოვიდა იმ დროს, როდესაც ჩვენ იმედი გვქონ-
და მიგვეღწია მასთან შეთანხმებისთვის იქ ც და აქაც. და იქ
ჩვენ განვაცხადეთ, რომ მის ცნობამდე უკრაინელი ხალხის
მიერ ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია დაშვება მისი ამ მოლაპა-
რაკებაზე, როგორც დამოუკიდებელი მონაწილისათ. მაგრამ
რამდენადაც უფრო ფართე ხასიათს იღებდა ამბები რუ-
სეთისა და უკრაინის ტერიტორიაზე, რამდენადაც უფრო
ღრმავდებოდა ანტაგონიზმი უკრაინელი ხალხის დაბალ ფენებსა
და რადის შორის, მით უფრო მეტად ხდებოდა რადა მოსუ-
რნე რანაირიც არ უნდა ზავისა ცენტრალურ იმპერიებთან
და იგი მზად იყო, თუ საჭირო იქნებოდა, ჩაერია რუსეთის
რესპუბლიკის შინაგან საქმეებში გერმანული იმპერიალიზმი,
რომ ამ უკანასკნელს დაეცვა რადა რუსეთის რევოლიუციისა-
გან. თებერვლის 9-ს, ახალი სტილით, ჩვენ გავიგეთ, რომ მო-
ლაპარაკება, რომელიც სწარმოებდა ჩვენს ზურგს უკან რადასა
და ცენტრალურ სახელმწიფოებს შორის, დასრულებულიყო
ხელის მოწერით. თებერვლის 9, ეს დაბადების დღეა ლეო-
პოლდ ბავარიელისა და, როგორც ეს მიღებულია მონარქიულ
ქვეყნებში, საზეიმო ისტორიული აქტი შეუთანხმეს — არ ვი-
ცი, კიევის რადის თანხმობით თუ არა — ამ საზეიმო დღეს. გე-
ნერალი ჰოფმანი შეხვდა ამ დღეს სალაუტით ლეოპოლდ
ბავარიელის პატივსაცემად, იმ სალაუტისთვის კი წინდაწინ
გამოსთხოვა ნებართვა კიევის დელეგაციას, ვინაიდან, ვანა-
ხმად საზავო ხელშეკრულებისა, ბრესტ-ლიტოვსკი გადაეცა
უკრაინას. მაგრამ გარემოება მოეწყო ისე, რომ იმ დროს, რო-
დესაც გენერალი ჰოფმანი სთხოვდა ზარბაზნებით სალაუტის
ნებართვას, კიევის რადას, ბრეს-ლიტოვსკის გამოკლებით, რჩე-
ბოდა უკვე ძლიერ მცირე ტერიტორია. იმ დეპეშების მიხედ-
ვით, რომელსაც ჩვენ ვიღებდით პეტროგრადიდან, ჩვენ ოფი-
ციალურად ვაცნობეთ ცენტრალური იმპერიების დელეგაცი-
ებს, რომ კიევის რადა უკვე აღარ არსებობს, რაც უშნი-
შვნელო არ არის საზავო მოლაპარაკების მსვლელობისთვისო.
ჩვენ ვეუბნებოდით გრაფ ჩერნინს გაეგზავნა ჩვენი ოფიცრე-
ბის თანხლებით თავისი წარმომადგენლები უკრაინის ტერი-
ტორიაზე იმის სანახად, არსებობს თუ არა მისი კონტრ-აგენ-
ტი — კიევის რადა. ჩერნინი პირველად თითქო მოეჩვენა ამ
აზრს, მაგრამ, როდესაც ჩვენ დავუყენეთ მას საკითხი, ნიშ-

ნავს ეს თუ არა, რომ ხელშეკრულებას კიევის დელეგაციასთან ისინი არ მოაწერენ ხელს მისი გაგზავნილების დაბრუნებამდეო, მაშინ ის შეფიქრიანდა და დაგვპირდა შეკითხვა კაულმანს, ხოლო შეკითხვის შემდეგ გამოგვიგზავნა უარყოფითი პასუხი. ეს იყო თებერვლის 8-ს, — 9-სთვის მათ უნდა მოეწერათ ხელი ხელშეკრულებისთვის, ამის გადადება ყოვლად შეუძლებელი იყო, რა მხოლოდ ლეოპოლდ ბავარიელის დაბადების დღის გამო, არამედ უფრო სერიოზული მიზეზის გამო, რომელსაც კაულმანი უეჭველია განუმარტავდა ჩერნინს: „ჩვენ რომ ახლა გავგზავნოთ ჩვენი წარმომადგენლები უკრაინაში, მათ მართლაც შეუძლიათ დარწმუნდენ, რომ რადა არ არსებობს, და მაშინ ჩვენ გვექნება საქმე ერთად-ერთ სრულიად რუსეთის დელეგაციასთან, ხოლო ეს გააუარესებს ჩვენს შანსებს მოლაპარაკებაშიო“. ავსტრია-ჰუნგრეთის დელეგაციის მხრით ჩვენ გვეუბნებოდენ: „დაანებეთ თავი პრინციპების ნიადაგს, დასვით საკითხი უფრო პრაქტიკულ ნიადაგზე, — მაშინ გერმანიის დელეგაცია წავა დათმობაზეო... შეუძლებელია, რომ გერმანია დაადგეს ბრძოლის განგრძობის გზას, მაგალითად, მოოზუნდის კუნძულების გამო, თუ თქვენ ამ მოთხოვნას დასვამთ კონკრეტულადო“. ჩვენ ვუპასუხეთ: „კარგი, ჩვენ მზად ვართ გამოვცადოთ დამთმობელობა თქვენი კოლლეგებისა გერმანიის დელეგაციიდან. აქამდის ჩვენ ვაწარმოებდით ლაპარაკს ლიტველთა, პოლონელთა, ლიფლიანდიელთა, ლატიშთა, ესტონელთა და სხვ. თვითგამორკვევის შესახებ და ყველა ამ საკითხებში გამოირკვა, რომ თვითგამორკვევის შესახებ ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ახლა ვნახოთ, თუ რას უმზადებთ თქვენ კიდევ ერთი ხალხის, სახელდობ რუსი ხალხის, თვითგამორკვევას, როგორია აზრები და გეგმები სამხედრო-სტრატეგიული ხასიათისა, რომელიც ამოფარებულია მოოზუნდის კუნძულების თქვენ მიერ დაპყრობის იქით? ვინაიდან მოოზუნდის კუნძულებს, როგორც შემადგენელ ნაწილს ესტონიის რესპუბლიკისას, ან როგორც საკუთრებას რუსეთის ფედერატიული რესპუბლიკისას, აქვს თავდაცვითი მნიშვნელობა, ხოლო გერმანიის ხელში — შეტევითი, რომელიც ემუქრება ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ცენტრებს და მეტადრე პეტროგრადს.“ მაგრამ არავითარ დათმობაზე, თავის-თავად იგულისხმება, ჰოფმანი არ თანხმდებოდა. მაშინ

დადგა გადაწყვეტის საათი. ომის გამოცხადება ჩვენ არ შეგვეძლო. ჩვენ ძლიერ სუსტი ვიყავით. ლაშქარმა დაკარგა შინაგანი კავშირი. ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად, შინაგანი ნგრევის დასაძლევად, საჭიროა აღდგენა შინაგანი კავშირისა მუშათა მასებში. ეს ფსიქოლოგიური კავშირი შეიძლება აღდგენილ იქნეს მხოლოდ შემოქმედებითი მუშაობის გზით მინდორზე, ქარხანაში, სახელოსნოში. ჩვენთვის საჭიროა დაბრუნება მშრომელი მასებისა, რომელიც იმყოფებოდა აუწერელ მდგომარეობაში ფრონტზე და იტანდა კატასტროფიულ განცდას ომში, მინდორ-ველზე, ქარხნებში, სადაც ისინი შეუდგება მშვიდობიან შრომას, განმტკიცდება მასში და აღადგენს შინაგან დისციპლინას. ეს არის ერთად-ერთი გზა ჩვენი ქვეყნის ხსნისა, რომელიც აგებს ახლა პასუხს ცარიზმის ცოდვათათვის: „ზავი, რომელსაც თქვენ გვახვევთ თავს, არის ომის ზავი, და ჩვენ გაგვყავს ლაშქარი სასაკლაოდან". ამასთანავე ჩვენ ვუთხარით გერმანულ მილიტარიზმს: „ზავი, რომელსაც თქვენ გვახვევთ თავს, არის ზავი ძალადობისა და ძარცვა-გლეჯისა. ჩვენ არ შეგვიძლია დაშვება იმისი, რომ თქვენ, ბატონ დიპლომატებს, შეგეძლოთ უთხრათ გერმანულ მუშებს: „თქვენ უწოდებდით ჩვენს მოთხოვნებს მტაცებლურს, ანექსიონისტურს, მაგრამ ნახეთ—მოთხოვნების ქვეშ ხელი მოაწერა რუსეთის რევოლიუციამო". დიახ, ჩვენ სუსტები ვართ, ჩვენ არ ძალგვიძს ახლა ომი, მაგრამ ჩვენ შეგვწევს საკმაო რევოლიუციური ძალა ვთქვათ, რომ ჩვენ ჩვენი ნებით არ მოვაწერთ ხელს იმ ხელშეკრულებას, რომელსაც თქვენ სწერთ თქვენი ხმლით ცოცხალი ხალხების სხეულზეო". ჩვენ უარი განვაცხადეთ ხელის მოწერაზე, და მე ვფიქრობ, ამხანაგებო, რომ ჩვენ კარგა მოვიქეცით (ტაში).

ამხანაგებო, მე არ მინდა ვთქვა, რომ გერმანიის შემოტევას უკვე აღარ ექნება ადგილი. ასეთი განცხადება ძლიერ საალერბედო იქნებოდა, თუ ვიქონიებთ მხედველობაში გერმანული იმპერიალისტური პარტიის ძლიერებას. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ პოზიციამ, რომელიც ჩვენ დავიკავეთ ამ საკითხში, ძლიერ გაუძნელა გერმანულ მილიტარიზმს შეტევა. რა იქნებოდა, ის რომ კიდევ მაინც განაგრძობდეს შეტევას? ამის საპასუხოდ შეიძლება მხოლოდ ერთის თქმა: თუ ჩვენს ქვეყანაში, დაქვეითებულში, მიყვანილში სასოწარკვეთილ

მდგომარეობამდე, შესაძლებელია აღდგენა უმეტესად რევოლიუციური, სიცოცხლის უნარის მქონე ელემენტებისა, თუ შესაძლებელია ჩვენში ბრძოლა ჩვენი რევოლიუციისა და ამ რევოლიუციის ტერიტორიის დაცვისთვის, ეს შედეგია იმ მდგომარეობისა, რომელიც შეიქმნა ახლა, როგორც შედეგი ჩვენი გამოსვლისა ომიდან და ჩვენ მიერ უარის თქმისა საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერაზე (ტაში).

მეორე ომი და ზავის ხელის მოწერა.

გერმანიის მთავრობა პირველ დღეებში საზავო მოლაპარაკების შეწყვეტის შემდეგ ირყეოდა, არ იცოდა რა გზა აერჩია. პოლიტიკოსები და დიპლომატები, ეტყობა, იმ აზრისა იყვნენ, რომ უმთავრესი მიღწეული იყო და ჩვენი ხელის მოწერა მაინცა და მაინც დიდ ინტერესს არ წარმოადგენდა. სამხედროები ყოველ შემთხვევაში მზად იყვნენ აეფეთქებინათ ჩარჩოები, გამოყვანილი გერმანიის მთავრობის მიერ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაში. პროფესორმა კრიგგემ, გერმანიის დელეგაციის მრჩეველმა, უთხრა ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთ წევრს, რომ გერმანიის ჯარების ხელახლა შემოტევაზე შექმნილ პირობებში ლაპარაკიც კი ზედმეტიაო. გრაფი მირბახი, რომელიც იმ დროს ედგა სათავეში გერმანიის მისიას პეტროგრადში, წავიდა ბერლინში რწმუნებით, რომ შეთანხმება სამხედრო ტყვეების გაცვლის შესახებ უკვე მიღწეულიო. ყველა ამაებმა სრულიადაც არ დაუშალა გენერალ ჰოფმანს—მეხუთე დღეს ბრესტის მოლაპარაკების შეწყვეტიდან—გამოეცხადებინა დროებითი ზავი დამთავრებულად, და ამასთან ერთად შვიდი დღის ვადას ის ანგარიშობდა უკანა რიცხვით, ბრესტ-ლიტოვსკის უკანასკნელი სხდომის დროდან. ჰეშმარიტად უადგილო იქნებოდა აქ ხარჯვა ზნეობრივი აღშფოთებისა ასეთი უპატიოსნების გამო: იგი ჩინებულად თავსდება გაბატონებული კლასების დიპლომატიურ და სამხედრო მორალის საერთო ჩარჩოებში.

ახალი შეტევა გერმანელებისა დაიწყო რუსეთისთვის მეტად მძიმე პირობებში. ერთი კვირით ადრე ცნობების მაგივრად ამის შესახებ, როგორც ეს პირობაში იყო აღნიშნული, ჩვენ მივიღეთ ცნობა მხოლოდ ორი დღით წინ. ამ გარემოე-

ბამ უფრო გაადიდა პანიკა ლაშქარში, რომელიც ქრონიული დაშლის მდგომარეობაში იმყოფებოდა. წინააღმდეგობის შესახებ თითქმის ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. ჯარის-კაცებს არ უნდოდათ დაეჯერებიათ, რომ გერმანელები დაიწყებდენ შეტევას მას შემდეგ, რაც ჩვენ გამოვაცხადეთ ომი გათავებულად. პანიკურმა უკან დახევამ მოადუნა ნებისყოფა თვით იმ ცალკე რაზმებისაც, რომლებიც მზად იყვნენ დაეკავებიათ საომარი პოზიციები. პეტროგრადისა და მოსკოვის მუშათა უბნებში აღშფოთებამ გერმანელების ვერაგული და ჭეშმარიტად ყაჩაღური თავდასხმის წინააღმდეგ მიაღწია უკიდურეს წერტილამდე. მუშები მზად იყვნენ ათეული ათასობით ჩაწერილიყვნენ ლაშქარში დღეობით და ღამეობით. მაგრამ საქმის საორგანიზაციო მხარე მეტად ჩამორჩენილი იყო. ცალკე პარტიზანული რაზმები,—აღფრთოვანებულნი, რწმუნდებოდენ თავის უძლურებაში პირველ შეტაკებებისთანავე გერმანულ რეგულიარულ ჯარებთან. ამას მოყვა შემდეგი დაცემა სულით. ძველი ლაშქარი უკვე დიდი ხანია დაკოდილი იყო სასიკვდილოდ, იშლებოდა ნაწილებად და ავსებდა თავისით ყველა გზებსა და გზაჯვარედინებს. ახალი ლაშქარი კი ქვეყნის საერთო გამოფიტვისა და მრეწველობისა და ტრანსპორტის საშინელი ნგრევის გამო ეწყობოდა ძლიერ ნელა. ერთად-ერთ სერიოზულ დაბრკოლებას გერმანელთა თავდასხმისთვის წარმოადგენდა სივრცე...

მთავარი ყურადღება ავსტრია-უნგრეთის მთავრობისა მიმართული იყო უკრაინაზე. რადამ თავისი დელეგაციის საშუალებით მიმართა ცენტრალური იმპერიების მთავრობებს სამხედრო დახმარების პირდაპირი თხოვნით საბჭოთა წინააღმდეგ, რომელსაც იმ დროსთვის ხვდა წილად სრული გამარჯვება უკრაინის მთელ ტერიტორიაზე. ამგვარად, უკრაინის წვრილბურჟუაზიულმა დემოკრატიამ მუშათა კლასთან და უღარიბეს გლეხობასთან საბრძოლველად თავისი ნებით გაუღო კარი უცხოურ ძალებს.

ამავე დროს სვინვუხუდის მთავრობა ცდილობდა გერმანული ჯარების მიწვევას ფინეთის პროლეტარიატის წინააღმდეგ. გერმანული მილიტარიზმი კისრულობდა ამ კარად, მთელი ქვეყნის წინაშე, რუსეთის მუშათა და გლეხთა რევოლიუციის ჯალათის როლს.

ჩვენი პარტიის წრეებში დაიწყო გაცხარებული კამათი იმის შესახებ, უნდა დავეშორჩილოთ თუ არა ჩვენ არსებულ პირობებში გერმანულ ულტიმატუმს და მოვაწეროთ ხელი ახალ ხელშეკრულებას, რომელშიც—ამაში არც ერთს ჩვენგანს არ ეპარებოდა ეჭვი—იქნება გაცილებით უფრო მძიმე პირობები, ვინემ ისინი, რომლებიც წამოგვიყენეს ბრესტ-ლიტოვსკში. ერთი მიმდინარეობის წარმომადგენლები ფიქრობდენ, რომ ახლა, როდესაც გერმანელები შეიარაღებული ხელით ერევიან რესპუბლიკის ტერიტორიაზე წარმოებულ საშინაო ბრძოლაში, შეუძლებელია შექმნა ზავის მდგომარეობისა რუსეთის ერთ-ერთი ნაწილისთვის და დარჩენა პასიურად იმ დროს, როდესაც სამხრეთითა და ჩრდილოეთით გერმანული ჯარები დაიწყებენ ბურჟუაზიული დიქტატურის რეჟიმის აღდგენას. მეორე მიმდინარეობა, რომლის სათავეშიც იდგა ლენინი, ფიქრობდა, რომ ყოველივე დახანებას, ყოველივე, თუნდ სულ მცირე, შესვენებას ექნება დიდი მნიშვნელობა რუსეთის შინაგანი განმტკიცებისა და თავდაცვის უნარის შეძენისთვის. მას შემდეგ, რაც მთელ სახელმწიფოსა და მთელი ქვეყნის წინაშე ასე ტრაღიკულად გამომჟღავნდა ჩვენი უძლურება ასეთ პირობებში მტრის შემოტევისგან თავდაცვისა, ზავის ჩამოგდებას ყველა ჩამოგვართმევდა როგორც მოქმედებას, გამოწვეულს ძალთა განწყობილების სასტიკი კანონის მიერ. განყენებული რევოლიუციური მორალის მოსაზრებიდან გამოსვლა ბავშვობა იქნებოდა. ამოცანას შეადგენს არა ის, რომ დავიღუპოთ სახელოვნად, არამედ ის, რომ ბოლოს და ბოლოს, ასე თუ ისე, გავიმარჯვოთ. რუსეთის რევოლიუციას სურს სიცოცხლე, მან უნდა იცოცხლოს და იგი მოვალეა ყველა მისთვის შესაძლებელი საშუალებებით გაარიდოს თავი მისთვის აუტანელ ომს და ამით მოიგოს დრო იმის მოლოდინში, მანამ მას დაეხმარებოდეს დასავლეთის რევოლიუციური მოძრაობა. გერმანიის იმპერიალიზმი ჯერ კიდევ სასტიკი ბრძოლის მდგომარეობაშია ინგლისურ და ამერიკულ მილიტარიზმთან. მხოლოდ ამიტომ არის შესაძლებელი ჩამოგდება ზავისა რუსეთისა და გერმანიის შორის. საჭიროა ამ მდგომარეობის გამოყენება. რევოლიუციის კეთილდღეობა—უმაღლესი კანონია! საჭიროა მიღება ზავისა, რომლის უკუგდებაც ჩვენ არ ძალგვიძს, საჭიროა უზრუნველყოფა შესვე-

ნებისა, რომ იგი გამოყენებულ იქნეს გაასკეცებული მუშაობისთვის სახელმწიფოს შიგნით და, კერძოდ, ლაშქრის შექმნისთვის.

კომუნისტური პარტიის ყრილობაზეც, როგორც საბჭოთა მე 4-ე ყრილობაზე, გაიმარჯვეს ზავის ჩამოგდების მომხრეებმა. მათ მიემხრო ბევრი იმათგანიც, რომელიც იანვარში სთვლიდა შეუძლებლად ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ხელის მოწერას. „მაშინ,—ამბობდენ ისინი,—ჩვენ მიერ ხელის მოწერას ინგლისელი და ფრანგი მუშები გაიგებდენ, როგორც უბადრუკ კაპიტულიაციას ბრძოლის უცდელად. ინგლის-საფრანგეთის შოვინისტების თვით უსინდისო ინსინუაციები საბჭოთა ხელისუფლების საიდუმლო შეთანხმების შესახებ გერმანელებთან, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მოვაწერდით ხელს ხელშეკრულებას, შეიძლება დაეჯერებია კიდეც დასავლეთ-ევროპის მუშების ზოგიერთ წრეებს. მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენ უარი ვთქვით ხელშეკრულების ხელის მოწერაზე, გერმანელთა ახალი შემოტევის შემდეგ, ჩვენ მიერა მისთვის წინააღმდეგობის გაწევის ცდის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ჩვენი სამხედრო სისუსტე საშინელი უეჭველობით გამომჟღავნდა მთელი ქვეყნის წინაშე, ვერავინ ვერ გაბედავს გვისაყვედუროს დათმობა პოზიციებისა უბრძოლველად“. ბრესტ-ლიტოვსკის მეორე ხელშეკრულებას, პირველზე გაცილებით უფრო გალრმავებულს, მოეწერა ხელი და იგი დამტკიცებულ იქნა რატიფიკაციით.

ამასობაში უკრაინასა და ფინეთში ჯალათები აკეთებდენ თავის საქმეს და, რაც დრო გადიოდა, მით უფრო მეტად ემუქრებოდენ ველიკოროსიის სასიცოცხლო ცენტრებს. ამგვარად, საკითხი თვით რუსეთის, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის, არსებობის შესახებ განუწყვეტლად არის ამიერიდან დამოკიდებული ევროპის რევოლიუციის საკითხთან.

დ ა ს კ ვ ნ ა.

როდესაც ჩვენი პარტია იღებდა ხელში ძალა-უფლებას, ჩვენ ვიცოდით წინდაწინვე ყველა ის სიძნელენი, რომელნიც მოგველოდენ წინ. ეკონომიურად ქვეყანა გალატაკებული იყო ომისგან უკანასკნელ შესაძლებლობამდე. რევოლიუციამ და-

ანგრია ძველი ადმინისტრატიული აპარატი და ჯერ ვერ მოასწრო შექმნა ახლისა მის სამაგიეროდ. მილიონობით მუშები გამოგლეჯილი იყვნენ სახელმწიფოს სამეურნეო ერთეულებიდან, იყვნენ დაქსაქსული და ფსიხიკურად დაძაბუნებული სამ-წლიანი ომის გამო. კოლოსალური სამხედრო მრეწველობა, არა-საკმაოდ შემზადებული სამეურნეო საფუძველზე, ითქავდა ხალხის სასიცოცხლო ძალებს, მისი დემობილიზაცია უდიდეს სიძნელეს წარმოადგენდა. სამეურნეო და პოლიტიკური ანარქიის მოვლენანი ხშირი იყო საჴელმწიფოს ყველა კუთხეებში. რუსეთის გლეხობა საუკუნეების განმავლობაში სტიქიურად იყო შებოჭილი მიწის ბარბაროსული დისციპლინით და გასუნთქული ზევიდან ცარიზმის რკინის დისციპლინით. ეკონომიურმა განვითარებამ გამოუთხარა ძირი პირველს, რევოლუციამ დაანგრია მეორე. ფსიქოლოგიურად რევოლიუცია ნიშნავდა ადამიანურ პიროვნების გაღვიძებას გლეხთა მასაში. ანარქიული ფორმები ამ გაღვიძებისა წარმოადგენდა აუცილებელ შედეგს წინანდელი ჩაგვრისას. დამყარება ახალი წესწყობილებისა, რომლის საფუძველიც იქნება თვით მუშათა კანტროლი წარმოებაში, შეიძლება მხოლოდ რევოლიუციის ანარქიულ მოვლენათა თანდათანი და შინაგანი მოხნელების გზით.

მეორე მხრით, შეძლებულ კლასებს, თუნდაც ხელიდან ძალა-უფლება გამოცლილებს, არ სურთ დათმობა თავისი პოზიციებისა უბრძოლველად. რევოლიუციამ გადაჭრით დასვა საკითხი კერძო საკუთრების შესახებ მიწაზე და წარმოების საშუალებებზე, ე. ი. ექსპლოატატორ კლასების სიცოცხლესა ან სიკვდილზე. პოლიტიკურად ეს ნიშნავს გამწვავებულ, განუწყვეტელ—ხან ფარულ, ხან ცხად—სამოქალაქო ომს. თავის მხრით სამოქალაქო ომი აუცილებლად ასაზრდოებს ანარქიულ ტენდენციებს მშრომელთა მასების მოძრაობაში. მრეწველობის, ფინანსიური მეურნეობის, ტრანსპორტისა და სასურსათო საქმის დაშლის დროს ომი ქმნის, ამგვარად, უდიდეს სიძნელეს შემოქმედებითი ორგანიზატორული მუშაობის გზაზე. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ხელისუფლებას აქვს უფლება სრული ნდობით უცქიროს მომავალს. მხოლოდ ზედმიწევნითი ანგარიში სახელმწიფოს ყველა რესურსებისა, მხოლოდ რაციონალური, ე. ი. ერთად ერთი საერთო გეგმიდან გამომდინარე, ორგანიზაცია წარმოებისა, მხოლოდ გონივრული

და ყაირათიანი განაწილება ყველა პროდუქტებისა შესძლებს სახელმწიფოს ხსნას. და სოციალიზმიც სწორედ ეს არის. ან საბოლოო დაქვეითება კოლონიის ხარისხამდე, ან სოციალისტური აღორძინება—ასეთია ალტერნატივა, რომლის წინაშეც სდგას ჩვენი ქვეყანა.

ომმა დანაღმა მთელი კაპიტალისტური ქვეყნის ნიადაგი. ამაში მდგომარეობს ჩვენი უძლეველი ძალა. იმპერიალისტურ რკალს, რომელიც შემორტყმული გვაქვს ჩვენ გარშემო, ააფეთქებს პროლეტარული რევოლიუცია. ჩვენ ერთი წუთითაც არ გვეპარება ეჭვი ამაში, როგორც ჩვენი არა ლეგალური ბრძოლის ათეულ წლების განმავლობაში არ შეგვპარვია ეჭვი ცარიზმის დამხვრევის აუცილებლობაში.

ბრძოლა, შეკავშირება, შრომითი დისციპლინის შემოღება და სოციალისტური წესრიგის დამყარება, შრომის ნაყოფიერების გადიდება და ყოველგვარ დაბრკოლებათა წინაშე ქედის მოუხრელობა—ასეთია ჩვენი პაროლი. ისტორია მუშაობს ჩვენს მაგივრად. პროლეტარული რევოლიუცია ევროპასა და ამერიკაში მოხდება ერთი დღით ადრე ან გვიან და მოუტანს ხსნასა და შვებას არა მხოლოდ უკრაინას, პოლონეთს, ლიტვას, კურლიანდიას და ფინეთს, არამედ მთელ ჩაგრულ კაცობრიობას.